# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
26 სექტემბერი **ხუთშაბათი** 2013
№ 227 (14 143) ფასი 80 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


## მცირე ოქრო და დიდი ვერცხლი ბალინიდან

ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. U23




↳12

# დინამოს 9 გოლი

დილამ ბათუმს ერთი აკმარა, სპარტაკმა ქუთაისში ფრეს მიაღწია, სიონმა ზესტაფონი დაამარცხა...



**დილა–დინამო (ბთ)**

**1:0**

1:0 მოდებაძე (63)

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

↳2-3

**კოლხეთი (ხ)–დინამო (თბ)**

**0:9**

| | |
|---|---|
| 0:1 მიქაბერიძე | (10) |
| 0:2 კვარაცხელია | (16) |
| 0:3 ჩისკო | (19) |
| 0:4 მიქაბერიძე | (21) |
| 0:5 გლიშიჩი | (24) |
| 0:6 გლიშიჩი | (30) |
| 0:7 ჩისკო | (67) |
| 0:8 მერებაშვილი | (74) |
| 0:9 ვუო | (85) |




ხობის კოლხეთს ბოლო გოლი პატრიკ ვუომ გაუტანა, ჩისკომ კი დუბლი შეასრულა

ფოტო: fcdinamo.ge



## ბაიერნმა ჰანოვერი უპრობლემოდ გაიარა

გერმანიის თასის მეორე ეტაპი

↳6



## რობერტ ლევანდოვსკიმ ბაიერნი დაადასტურა

კონტრაქტი იანვარში გაფორმდება?

↳6



## გატუზო პალერმოდან გააგდეს

ძამპარინი თავის სტიქიაში...

↳5

# იტალიაში რომა დომინირებს!

სასუოლომ ნაპოლი გაამწარა, მილანი ბოლო წამს გადარჩა, იუვემ მოიგო




**სამპდორია–რომა**

**0:2**

| | |
|---|---|
| 0:1 ბენატია | (65) |
| 0:2 ფლორენცი | (89) |

↳10

**ელჩე–რეალი**

**1:2**

| | |
|---|---|
| 0:1 კ. რონალდო | (51) |
| 1:1 ბოაკიე | (91) |
| 1:2 კ. რონალდო | (95-პენ) |




↳5

# მსაჯმა რეალს 3 ქულა აჩუქა!

95-ე წუთზე, რონალდოს პენალტით...

ეროვნული ბიბლიოთეკა



● საქართველოს თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები


გიორგი მიქაბერიძემ დუბლი შეასრულა

# გლიშიჩისკო და პატრიკი

25.09. ფოთი. ფაზისი.
500 მაყურებელი

**კოლხეთი (ხ) 0**

**დინამო (თბ) 9**

0:1 მიქაბერიძე (10), 0:2 კვარაცხელია (16. ჩისკოს პასით), 0:3 ჩისკო (19), 0:4 მიქაბერიძე (21. ვუოს პასით), 0:5 გლიშიჩი (24. ვუოს პასით), 0:6 გლიშიჩი (30), 0:7 ჩისკო (67. გლიშიჩის პასით), 0:8 მერებაშვილი (74), 0:9 ვუო (85. ლექვთაძის პასით)

| კოლხეთი (ხ) 4-4-1-1 | დინამო 4-1-3-2 |
|---|---|
| ჯურღულია | ლორია |
| ლ. გოგენია | სეთურიძე |
| ჭითანავა | კვარაცხელია |
| პაჭკორია | გველესიანი |
| გ. გოგენია | კვირკველია |
| ფიფია | პაპავა |
| ვართაგავა | მიქაბერიძე |
| ბუკია | ძარია |
| გერგაია | გლიშიჩი |
| გაბრავა | ჩისკო |
| ღლონტი | ვუო |
| მწვრთნელი ლ. ნოდია | მწვრთნელი დ. უჰრინი |

**კოლხეთი (ხ)**

46. ლ. გოგენია - **მეფიშვილი**
46. გაბრავა - **ცოზეხია**
83. ვართაგავა - **ქაშიბაძე**
*სათადარიგოები: გელაშვილი, კ. გოგენია, ლომაია, ფირცხელავა*

**დინამო (თბ)**

59. კვარაცხელია - **შაშიაშვილი**
68. ჩისკო - **მერებაშვილი**
79. პაპავა - **ლექვთაძე**
*სათადარიგოები: მიგინეიშვილი, დვალი, ხურცილავა, გოგა*
გაფრთხილება: ვართაგავა (31), ჩისკო (68)
არბიტრი: თ. გვანცელაძე

ამ წყვილის უპირობო ფავორიტი უკვე წილისყრისას იყო ცნობილი. წინა ეტაპზე უმაღლესლიგელი „ზუგდიდის“ გამოგდების მიუხედავად, ხობის „კოლხეთმა“ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია თასის მოქმედ მფლობელს.

სულ ორჯერ მიეცათ შანსი „მასპინძლებს“ - ტაიმების საწყის წუთებში: ჯერ 0:0-ზე „დინამოს“ მცველმა გადაუგდო თავზე წინგამოსულ მეკარეს, მაგრამ **გიორგი ლორიამ** ბურთს იოლად მიუსწრო, ხოლო მეორე შემთხვევაში, უკვე 0:6-ზე, ხობელ ფორვარდებს შეეძლოთ იმავე ლორიასთვის ბურთის თავზე გადაგდება, მაგრამ უხეიროდ გაისარჯნენ.

თბილისელებს კი სამი ლეგიონერი ეყოთ პირველლიგელის გასანადგურებლად - **ჩისკომ, გლიშიჩმა** და ვუომ ჯამში 5 გოლი და 4 საგოლე გადაცემა მიითვალეს და თანაბრადაც გადაინაწილეს - პირველმა ორმა წყვილ გოლებს თითო საგოლე გადაცემაც დაუმატა, ხოლო ვუომ მატჩისთვის წერტილის დასმამდე ორი საგოლე პასი მიითვალა.

მათ გარდა, აღსანიშნავია **გიორგი მიქაბერიძის** დუბლიც და შეცვლაზე შესული მისი სეხნია **მერებაშვილის** ლამაზი გოლიც. ერთხელაც თავი **გივი კვარაცხელიამ** გამოიჩინა.

**მათე გურული**
ფოთიდან

# კოკამ წყალი მოიტანა...

25.09. თბილისი. მ. მესხი.
300 მაყურებელი

**სიონი 1**

**ზესტაფონი 0**

1:0 მიკუჩაძე (85-პენ)

| სიონი 5-2-3 | ზესტაფონი 4-4-2 |
|---|---|
| ბათიაშვილი | რ. კვასხვაძე |
| ფოფხაძე | თორ. გრიგალაშვილი |
| ქემოკლიძე | თედ. გრიგალაშვილი |
| აბრამიძე | ფერეირა |
| თოთაძე | კანდელაკი |
| გოგოხიაშვილი | აჩურა |
| განუგრავა | ჭანტურიშვილი |
| პარუნაშვილი | ენდელაძე |
| სამხარაძე | გურული |
| კახელიშვილი | ადამია |
| მადუბუკე | ქობალია |
| მწვრთნელი: გ. კიკნაძე | მწვრთნელი: რ. დოსტანიჩი |

**სიონი**

46. თოთაძე - **ბიბილეიშვილი**
65. განუგრავა - **იმედაშვილი**
80. მადუბუკე - **მიკუჩაძე**
*სათადარიგო: მერლანი, სვანიძე, უგრეხელიძე, ჩივაძე*

**ზესტაფონი**

46. ადამია - **ლომია**
76. გურული - **კუტალია**
86. ლომია - **შარიქაძე**
*სათადარიგო: მეშველიანი, სარდალიშვილი, ტერზიჩი, გაგოშიძე*
გაფრთხილება: განუგრავა (11), ქობალია (48), ბიბილეიშვილი (88)
გაძევება: კანდელაკი (85)
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ამ წყვილს უპირობო ფავორიტი არ ჰყოლია, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ „ზესტაფონს“ „სიონზე“ უკეთესი პირობები აქვს, **რატკო დოსტანიჩის** გუნდს თასის მომდევნო ეტაპზე გასვლის მეტი შანსი უნდა ჰქონოდა, თუმცა, გუშინდელი შედეგიდან გამომდინარე, შანსები ალბათ გათანაბრდა.

პირველ ტაიმში „ზესტაფონი“ უფრო მეტ ხანს ფლობდა ბურთს. სტუმრებს დიდი უპირატესობა არ ჰქონიათ, თუმცა „სიონზე“ ოდნავ უკეთ თამაშობდნენ. „სიონი“ კი თითქოს თავს ზოგავდა, **გიორგი კიკნაძის** გუნდს ეტყობოდა, რომ ძალა 90 წუთზე გამოზომილად ჰქონდა გადანაწილებული.

„ზესტაფონი“ სწრაფად ვერ თამაშობდა, ვერ დავინახეთ ამ გუნდის აფეთქებები, ბურთის ნელი გაგორებით კი გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული „სიონის“ დამარცხება ძნელია. „სიონის“ შემადგენლობას თუ გადავავლებთ თვალს, ბოლნისელებს მეოთხედფინალში გასვლის კარგი შესაძლებლობა აქვთ. გუშინაც მათ მეტოქეს პირველ რიგში გამოცდილების ხარჯზე მოუგეს. „ზესტაფონის“ ლეგიონერებისგან ვერ ვნახეთ ის თამაში, რაც, წესითა და რიგით, უნდა მოეთხოვებოდეთ ამ სტატუსის მოთამაშეებს - ასე იყო გუშინ და, შესაძლოა, სხვა მატჩებში მათ უკეთ წარმოაჩინონ თავი.

ერთი მატჩით არც ლეგიონერი ფასობს და არც მწვრთნელი, უბრალოდ, „ზესტაფონი“ მოწინავე გუნდად ითვლება და მისგან ყველა კარგ თამაშს ელის.

ზესტაფონელებს პირველ ტაიმში ჩინებული საგოლე შანსი ჰქონდათ - „სიონის“ საჯარიმოში ჩასულმა მცველმა **თორნიკე გრიგალაშვილმა** გარე ტერფით ისეთი „მოჭრა“, **ზურაბ ბათიაშვილმა** ოდენ თვალი გააყოლა და მერე ბურთი ძელს მოხვდა.

„სიონს“ კონტრშეტევაზე ჰქონდა შანსი - მეტოქის საჯარიმოში შეჭრილმა **გიორგი კახელიშვილმა** ერთი მცველი კი გააცურა, მაგრამ მეორე მის დარტყმას ვარდნაში გადაელობა.

„სიონს“ ორი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა - **ლადო ახალაია** ტრავმირებულია, **არჩილ ტვილდიანი** კი გადაღლილი ყოფილა და დაშავებულიც - ასე გვითხრეს „სიონში“.

შესვენების შემდეგ „ზესტაფონს“ მოედნის ცენტრში ის მცირე უპირატესობა აღარ ჰქონდა, რითიც პირველ ტაიმში შეეძლო თავის მოწონება. „სიონი“ კი ოდნავ აქტიურად ათამაშდა შეტევაში და მხოლოდ კონტრიერიშების იმედად აღარ იყო.


ერთადერთი გოლი კოკა მიკუჩაძემ გაიტანა — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ბოლნისელთა დაცვაში ჩინებულად გაისარჯა გამოცდილი **ვალერი აბრამიძე**, რომელმაც თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგო, „ზესტაფონის“ ბევრი იერიში გააუვნებლა.

75-ე წუთზე სტუმრებმა კარგი შანსი გაფლანგეს - **ირაკლი ქობალიას** პასით **სანდრო გურული** გავიდა საკმაოდ ხელსაყრელ პოზიციაზე და ბურთი მაინცდამაინც ბათიაშვილის ხელებს „დაუმიზნა“.

„სიონის“ ცენტრფორვარდი, ახმახი ნიგერიელი **კრისტიან მადუბუკე** ინერტულად ირჯებოდა და ამით, სტადიონზე მისული მცირერიცხოვანი ქომაგის ირონიულ ღიმილს იწვევდა. კიკნაძემ ის მატჩის ბოლოსკენ შეცვალა და მიზანშიც მოარტყა - **კოკა მიკუჩაძემ** ბოლნისელთა იერიშები გამოაკეთა, 11-მეტრიანი კი ასე მოინაგრა: **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** მარცხნიდან ჩააწოდა, **ირაკლი სამხარაძემ** თავით გადააწოდა ბურთი მიკუჩაძეს და **ილია კანდელაკი** მასთან ბოლო იმედის ჯარიმით დაჯარიმდა. მიკუჩაძემ პენალტი უზადოდ შეასრულა.

დარჩენილ დროში საინტერესო არაფერი მომხდარა, საპასუხო შეხვედრას კი ინტრიგა მოემატა.

და ერთიც: 33 წლის აბრამიძე კარგა ხანს უგუნდოდ იყო, გუშინ პირველად ითამაშა „სიონში“ და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესოც გამოდგა.

**დავით თავართქილაძე**

# სოლიდური ჰანდიკაპი

25.09. რუსთავი. ფოლადი.
200 მაყურებელი

**მეტალურგი 2**

**კოლხეთი (ფ) 0**

1:0 კირკიტაძე (27. ფიფიას პასით), 2:0 გენაძე (68)

| მეტალურგი 4-2-3-1 | კოლხეთი 3-2-4-1 |
|---|---|
| ბედიაშვილი | ძაგანია |
| ორბელაძე | გ. კილასონია |
| მახვილაძე | ცხვიტარია |
| კაკუბავა | ლემონჯავა |
| თ. კაკულია | ჩადუნელი |
| დობროვოლსკი | კრასოვსკი |
| ქავთარაძე | ჭედია |
| კირკიტაძე | გოგონაია |
| ფიფია | დ. სიჭინავა |
| გენაძე | ლ. კაკულია |
| სიხარულიძე | ქანთარია |
| მწვრთნელი: გ. სანაია | მწვრთნელი: ზ. ინიაშვილი |

**მეტალურგი**

69. სიხარულიძე - **ტულუში**
79. ფიფია - **კორღალიძე**
87. დობროვოლსკი - **რაზმაძე**
*სათადარიგოები: შერმადინი, დ. საჯაია, მაისაშვილი, ვასაძე*

**კოლხეთი (ფ)**

46. ჩადუნელი - **ხოშტარია**
57. ქანთარია - **კუკავა**
75. ლ. კაკულია - **ქორჩილავა**
*სათადარიგოები: მაღრაძე, ბარამიძე, სარსანია, ა. ჯანელიძე*
გაფრთხილება: ლემონჯავა (67)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

პირველ მატჩში მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა სოლიდურ ჰანდიკაპად უნდა მივიჩნიოთ და, ალბათ, ამ წყვილში გამარჯვებულის ვინაობაც გარკვეულია. მით უფრო, რომ „კოლხეთს“ ამ სეზონში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მიზანი აქვს, ვიდრე თასზე წარმატებული ასპარეზობაა: **ზაზა ინიაშვილის** გუნდი პირველ ლიგაში თავისი ზონის უპირობო ფავორიტია და უმაღლესში დაბრუნებაც, წესით, არ უნდა გაუჭირდეს.

გუშინდელ მატჩამდე „კოლხეთს“ პირველ ლიგაშიც აბსოლუტური შედეგი ჰქონდა (ოთხიდან ოთხი მოგება) და თასის წინა ეტაპზეც ორივე მატჩში გაიმარჯვა. და აი, ახალი სეზონის პირველი მარცხიც: ფაქტობრივად, ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარებულ მატჩში „მეტალურგმა“ ორი უპასუხო გოლი გაუტანა სტუმრებს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ მასპინძელთა თავკაცმა **გელა სანაიამ** ძირითად შემადგენლობაში გარკვეული როტაცია მოახდინა (ძირითადში პირველად გამოჩნდა ახალგაზრდა მარცხენა მცველი **თედო კაკულია**), „კოლხეთი“ კი, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით წარსდგა.

სხვათა შორის, ვიდრე „მეტალურგი“ პირველ გოლს გაიტანდა, „კოლხეთის“ მთავარ მწვრთნელს ერთობ ორიგინალური განლაგება ჰქონდა მოფიქრებული: სამი მცველის წინ ორი ჩამშლელი (ახალგაზრდა **გია ჩადუნელი** და გამოცდილი **გიორგი კრასოვსკი**) მოქმედებდნენ, შემდეგ „ეშელონს“ შეტევაზე ორიენტირებული ოთხი ნახევარმცველი წარმოადგენდა, წინა ხაზზე კი გუნდის ახალწვეული **ზვიად ქანთარია** მოქმედებდა. თუმცა შემდეგ „კოლხეთი“ ოთხმცველიან ტაქტიკაზე „გადაერთო“, მაგრამ სტუმრებს ამან ვერ უშველათ.

იმის მიუხედავად, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მასპინძლები ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას და „კოლხეთის“ მეკარეს **ლაშა ძაგანიასაც** რამდენიმე რთული ბურთის მოგერიება მოუხდა, სტუმრებმა მაინც მოახერხეს და რამდენჯერმე ახლოსაც იყვნენ მიზანთან. განსაკუთრებით კი **დათა სიჭინავას** არ უმართლებდა: გარკვეული პაუზის მერე „კოლხეთში“ დაბრუნებულმა შემტევმა ორჯერ შორიდან შეასრულა თავისი „საფირმო“ საჯარიმოები და ორჯერვე ბურთი „მეტალურგის“ კარის ხარიხას მოხვდა!

ერთ ეპიზოდში კი სტუმრებმა გოლიც გაიტანეს, მაგრამ დამხმარე მსაჯს ალამი უკვე აღმართული ჰქონდა, - ანუ, თამაშგარე მდგომარეობა დაფიქსირდა; კიდევ იმ მომენტის აღნიშვნაც გვინდა, სიჭინავა მოხდენილი ფინტებით მარცხენა ფლანგზე რომ გაიჭრა, მაგრამ მის სახიფათო გამჭოლ გადაცემას პარტნიორებმა ვერ მიუსწრეს.


გოგა ფიფია გამორჩეული იყო — ნინო გელაშვილის ფოტო

აი, რაც შეეხებათ მასპინძლებს, პირველ ტაიმში **გოგა ფიფიას** სახიფათოდ შესრულებული ჯარიმაა აღსანიშნავი და **ირაკლი სიხარულიძის** მშვენიერი რეიდი. თუმცა ორივე ეპიზოდში სტუმრები გადარჩნენ. ფიფია, საერთოდაც, გამორჩეული გახლდათ მასპინძელთა შემადგენლობაში და მის ჩინებულ ფლანგურ გარღვევას მოჰყვა კიდეც პირველი გოლი - **დავით კირკიტაძემ** ახლო მანძილიდან, ბურთი თავით, ვარდნაში გადაგზავნა სტუმართა კარში.

მეორე ტაიმის დასაწყისში ირაკლი სიხარულიძეს ზედიზედ ორჯერ შეექმნა ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ორჯერვე ლაშა ძაგანიამ იყოჩაღა. თუმცა, „კოლხეთის“ მეკარე უძლური გახლდათ იმ ეპიზოდში, როცა **რევაზ გენაძემ** თავის „საფირმო ცაციათი“ საჯარიმო ზუსტად შეასრულა და თავის გუნდს საპასუხო მატჩის წინ სოლიდური უპირატესობა მოუტანა.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# მოინდომეს და გაიტანეს

25.09. გორი. თ. ბერძენიშვილი.
1 000 მაყურებელი

**დილა 1**

**დინამო (ბთ) 0**

1:0 მოდებაძე (63)

| დილა 4-2-3-1 | დინამო ბთ 4-5-1 |
|---|---|
| რევიშვილი | ალავიძე |
| ალადაშვილი | თოდუა |
| კვახაძე | ბებუნაშვილი |
| ხიზანეიშვილი | ჟვანია |
| გურული | მაკარიანი |
| აბურჯანია | თევდორაძე |
| დიასამიძე | ვარშანიძე |
| ახალკაცი | ბ. მახარაძე |
| ქვილითაია | მუჯირი |
| გორელიშვილი | ჩირიკაშვილი |
| მოდებაძე | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი გ. დევდარიანი | მწვრთნელი ა. ყორძიაშვილი |

**დილა**

46. ახალკაცი - **ფილიევი**
68. ქვილითაია - **სადალაშვილი**
სათადარიგოები: შეყრილაძე, გაგნიძე, ლონლაძე, წიქარიძე, გაბარაევი

**დინამო (ბთ)**

69. მახარაძე - **მანჭკავა**
69. მუჯირი - **ბერიძე**
85. თევდორაძე - **კვერენჩხილაძე**
სათადარიგოები: პიცანი, ადეიშვილი, ჭილვარია, გოგიტიძე
გაფრთხილება: ჩიმაკაძე (60), აბურჯანია (79)
არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი



დილამ ირაკლი მოდებაძის (ბურთით) გოლით მოიგო
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ბოლო წლებია, გორის „დილა" აქცენტს საქართველოს თასზე აკეთებს. მიმდინარე გათამაშებაში ისინი მერვედფინალიდან ჩაერთვნენ. პირველლიგელ ბათუმის „დინამოსთან" საშინაო დაპირისპირებაში **გიორგი დევდარიანის** შეგირდებმა მინიმალური ანგარიშით კი გაიმარჯვეს, მაგრამ ეტყობოდათ, რომ მეტიც შეეძლოთ - როგორც კი საგოლედ მოუმატეს, მაშინვე გაიტანეს. აქედან გამომდინარე, „დილას" ამ ეტაპის გადალახვა არ უნდა გაუჭირდეს, მით უფრო, რომ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე ისვენებდა.

გუნდები თამაშში, ცოტა არ იყოს, მძიმედ შევიდნენ (ასე იყო მეორე ტაიმის სტარტზეც). მართალია ტერიტორიულ უპირატესობას „დილა" ფლობდა, მაგრამ გორელთა მეკარე **რევიშვილს** ორჯერ მოუწია თავის გამოჩენამ. მან ჯერ **თევდორაძეს** ააცალა ფეხიდან ბურთი, ხოლო შემდეგ **მუჯირის** მიერ საშუალო მანძილიდან დარტყმულიც მოიგერია.

ამის მერე „დილასაც" შეეძლო გატანა, თან - რამდენჯერმე. მიზანთან ახლოს იყვნენ **მოდებაძე** და **კვახაძე**, **გორელიშვილის** თავური კი **ალავიძემ** სასწაულებრივ მოიგერია.

მასპინძელთა შორის უნდა გამოვარჩიოთ ახალწვეული **გიორგი დიასამიძე**, რომელმაც ორივე ტაიმში მოახერხა სტუმართა კართან სერიოზული ხიფათის შექმნა. მართალია, გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ მონდომებული გარჯით მაყურებელს თავი კარგად დაამახსოვრა.

...და როგორც კი „დილამ" გატანა მოინდომა, მე-60 წუთის შემდეგ ალავიძის კართან დაახლოებით ხუთწუთიანი შტურმი მოაწყო. ამას ბათუმელთა შეცდომები მოჰყვა და **ირაკლი მოდებაძემ** მშვენიერი გოლიც შეაგდო - 1:0.

დარჩენილ დროში მასპინძლებს ანგარიშის გასაზრდელად დიდი ჟინით აღარ უბრძოლიათ. შესაბამისად, ბათუმელებს ბურთის ფლობის საშუალება მიეცათ და მასპინძელთა კართან ხელსაყრელი მომენტებიც შექმნეს. უნდა გამოვარჩიოთ შეცვლაზე შესული **თორნიკე ბერიძის** კარგი თამაში. ერთ ეპიზოდში მან მოედნის შუაში მოპოვებული ბურთით სწრაფი იერიში წამოიწყო და გორელები ლამის დაამწუხრა კიდეც, ხოლო შემდეგ საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილ **ჩირიკაშვილს** ზუსტად ჩაუწოდა, თუმცა ამ უკანასკნელის უძლიერესი დარტყმა მიზანს ოდნავ ასცდა, საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე კი თავადაც დასცხო ძლიერად...

ერთი სიტყვით, „დილამ" მეოთხედფინალში გასასვლელად მცირე, მაგრამ ფასეული ნაბიჯი გადადგა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან.

25.09. ქუთაისი. ტორპედო.
500 მაყურებელი

**ტორპედო 2**

**სპარტაკი 2**

0:1 ფანცხავა (18. კილასონიას პასით), 1:1 საბანაძე (46), 1:2 ფანცხავა (52), 2:2 საბანაძე (75. უბილავას პასით)

| ტორპედო 4-3-3 | სპარტაკი 4-4-2 |
|---|---|
| ქვილითაია | ნანიევი |
| მთივლიშვილი | ჯაფოძე |
| ჯანტურია | კვეკვესკირი |
| ჯელიძე | ქურდაძე |
| უბილავა | ხიზანეიშვილი |
| სულთანიშვილი | თუხარელი |
| ცინცაძე | კილასონია |
| გოროზია | შონია |
| მზევაშვილი | ჩაფიძე |
| ფანცულაია | მებრეველი |
| საბანაძე | ფანცხავა |
| მწვრთნელი: ჟ. სარაგოსა | მწვრთნელი: ვ. ხაჩიძე |

**ტორპედო**

46. ჭანტურია - **სანდოხაძე**
46. სულთანიშვილი - **კუხიანიძე**
60. მზევაშვილი - **პაპანაძე**
სათადარიგოები: კუპატაძე, მარკოზაშვილი, გაბაძე, ახვლედიანი

**სპარტაკი**

65. თუხარელი - **თექთურმანიძე**
70. შონია - **ბურძენაძე**
80. ფანცხავა - **კაკაშვილი**
სათადარიგოები: ნადირაძე, მეგრელიშვილი, ცერცვაძე, მაქაცარია
გაფრთხილება: სულთანიშვილი (39)
არბიტრი: გ. ყრუაშვილი

# დუბლები, ლამაზი გოლები და თანაბარი შანსები

ცივ და წვიმიან ამინდში გუნდებმა ისეთი თამაში გააჩაღეს, თქვენი მოწონებული. მთელი მატჩის განმავლობაში მასპინძლები ბევრს მოძრაობდნენ და დროს ძირითადად შეტევაში ატარებდნენ, თუმცა ცხინვალელებისგან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ - **ვლადიმერ ხაჩიძის** შეგირდები ქუთათურებს სწრაფი და ძალზე სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდნენ. შედეგად, ორივე კართან მომენტები უხვად იქმნებოდა.

პირველი ათი წუთი ქუთაისელთა უპირატესობით წარიმართა. სახიფათოდ დაარტყეს **სულთანიშვილმა** და **საბანაძემ**, რომელმაც მეორე ტაიმში ულამაზესი გოლიც გაიტანა, თუმცა მანამდე არა ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი იყო.

ცხინვალელებმა ჯერ თამაში გაათანაბრეს, ხოლო შემდეგ ქუთათურები რამდენჯერმე კონტრშეტევაზე დაიჭირეს. **თუხარელს** ზედიზედ ორჯერ მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ჯერ **ჩაფიძის** კარგი გადაცემა ვერ გამოიყენა, მერე მეკარესთან პირისპირ გასულმა **ქვილითაიას** ვერ აჯობა. სტუმრების გარჯამ ნაყოფი მალევე გამოიღო - მორიგი კონტრშეტევისას **ფანცხავამ კილასონიას** პასით მეკარისგან ახლო კუთხეში გაიტანა.

პირველ ტაიმში ორივე გუნდს შეეძლო ანგარიშის შეცვლა. მასპინძელთაგან მზევაშვილს, საბანაძეს, **ცინცაძესა** და **ფანცულაიას** ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ ხან მეკარე **ნანიევი** იყო მოწოდების სიმაღლეზე, ანდაც ქუთათურები ვერ ურტყამდნენ ზუსტად.

თავის მხრივ, „სპარტაკიც" არ იყო უქმად. **შონიას** ძლიერი დარტყმა ქვილითაიამ მოიგერია, ჩაფიძის ეპიზოდში კი ბურთი მცველმა გამოიტანა ცარიელი კარიდან. მდგომარეობის გამოსასწორებლად **ჟერარდ სარაგოსამ** შეცვლებს მიმართა - მეორე ტაიმის დასაწყისშივე მოედანზე **კუხიანიძე** და **სანდოხაძე** შეუშვა, მოგვიანებით კი მათ **პაპანაძეც** მიაშველა. „ტორპედომ" კიდევ უფრო აგრესიულად შეუტია სტუმარს და თამაშის განახლებიდან ორიოდე წუთში ანგარიში საბანაძის ულამაზესი გოლით გათანაბრდა - დაახლოებით 30 მეტრიდან „მოჭრილი" (თან ძლიერი დარტყმით) ბურთი ძელიდან კარში აღმოჩნდა.

საბანაძემ და კუხიანიძემ მორიგეობით კვლავ შეაწუხეს ცხინვალელთა მეკარე, თუმცა ნანიევმა ორივე დარტყმა მოიგერია. ამასობაში, წინ წასულ მასპინძლებს „სპარტაკის" კონტრშეტევა გამოეპარათ - მეკარის შეცდომით **ფანცხავამ** ისარგებლა, დუბლი გაიფორმა და სტუმრები კვლავ დააწინაურა.

„ტორპედო" მოვლენების ასეთ განვითარებას არ შეურიგდა და გასათანაბრებლად გაიწია. ზედიზედ ორჯერ ახლოს იყო მიზანთან კუხიანიძე, თუმცა მისი სახიფათო დარტყმები მეკარემ მოიგერია, მერე ნანიევმა არც **ფანცულაიას** გაატანინა, **გოროზიას** დარტყმა კი მიზანს მცირედით ასცდა.

სამაგიეროდ, კვლავ შეუდარებელი იყო საბანაძე, რომელმაც **უბილავას** გადაცემას მოხდენილი თავური მიაყოლა და ანგარიში გაათანაბრა. დარჩენილ დროში გუნდებმა თითო რეალური საგოლე მომენტი გაცვალეს - ჯერ ბრწყინვალედ ითამაშა გოროზიამ, რომელმაც **ხიზანეიშვილი** ჩამოიცილა და მახვილი კუთხიდან ხარიხას მოარტყა ბურთი, ბოლოს კი სტუმრებს ჰქონდათ უაღრესად ხელსაყრელი მომენტი, თუმცა ჩაფიძის მიერ ხუთიოდე მეტრიდან დარტყმული ქვილითაიამ ფეხით მოიგერია, დამატებაზე კი კილასონიამ ახლო მანძილიდან ვერ ივარგა, თორემ კარი დაუცველი იყო...

საპასუხო მატჩის წინ 2:2 „სპარტაკისთვის" უფრო ხელსაყრელი ანგარიშია, თუმცა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს ორივე გუნდი ინარჩუნებს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

**სხვა მატჩები**

| | |
|---|---|
| გურია-მერანი | 1:2 |
| ლოკომოტივი-ჩიხურა | 0:3 |

**დღეს**

16:00 შუქურა-ვიტ ჯორჯია

*საპასუხო მატჩები 30 ოქტომბერს გაიმართება*

ფუტსალი. უეფას თასი

# იბერია სტარი პირდაპირ ეთერში

1 ოქტომბერს „იბერია სტარი" უეფას თასის გათამაშებაში ჩაერთვება. ფუტსალის უეფას თასის ძირითადი ეტაპის II ჯგუფის მატჩებს უნგრეთის ქალაქი დიორი უმასპინძლებს. საქართველოს ჩემპიონისა და უეფას თასის ბოლო გათამაშების ოთხთა ფინალის მონაწილის შეხვედრების განრიგი უკვე ცნობილია. შეგახსენებთ, რომ ელიტრაუნდში ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის. „იბერია სტარის" ყველა მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი ინტერნეტით გადაიცემა. მატჩების განრიგი კი ასეთია:

**1 ოქტომბერი**

18:30 იბერია სტარი-
გრანდ პრო ვარნა (ბულგარეთი)
21:00 დიორი ეტო (უნგრეთი)-
ტანგო სარაევო (ბოსნია)

**2 ოქტომბერი**

18:30 ტანგო-იბერია
21:00 გრანდ პრო ვარნა-დიორი ეტო

**4 ოქტომბერი**

19:00 გრანდ პრო ვარნა-ტანგო
21:30 იბერია-დიორი ეტო

** - მითითებულია თბილისის დრო*

ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ, კლუბის გადარჩენის იმედი გაჩნდა და, როგორც ვწერდით, სავარაუდოდ, მომავალი წლიდან „იბერია სტარი" ბათუმში გადაბარგდება. წლეულს კი სეზონისთვის გუნდი ისე ვერ მოემზადა, როგორც წინა წლებში - მხოლოდ საქართველოში ვარჯიშობდა. ამ დანაკლისის კომპენსირება გარკვეულწილად ქვეყნის ჩემპიონატს შეეძლო, მაგრამ... ფუტსალში მთავარი ქართული ტურნირი ჯერაც არ დაწყებულა.

**მერაბ მამულაშვილი**



ისევ საქართველოს ნაკრებზე

# არა, ასე არ გამოვა...

ის, რომ ქართულ ფეხბურთში კატასტროფაა, სანაკრებო და საკლუბო დონეზეც გამოჩნდა. საუკეთესო ქართულმა კლუბებმა ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპამდე ვერ გააღწიეს და პლეი ოფის 4 შეხვედრაში 1 გოლიც ვერ გაიტანეს. ცხადია, დაბალი დონის ჩემპიონატი ნაკრების მდგომარეობაზეც აისახება და მისი ცუდი მდგომარეობა მხოლოდ **თემურ ქეცბაიას** ბრალი ვერ იქნება. ასეც არის - შესარჩევი ციკლის 7 მატჩში „ჯვაროსნებმა" მეტოქის კარის ბადე მხოლოდ 3-ჯერ შეარხიეს და ხუთგუნდიან ჯგუფში ბოლოსწინა მე-4 ადგილზე ვიმყოფებით.

მაგრამ ვფიქრობ, ჩვენს ნაკრებს ოდნავ უკეთესი შემტევი პოტენციალი გააჩნია, ვიდრე სატურნირო ცხრილიდან და თამაშებიდან ჩანს. რამდენიმე მოთამაშის უთამაშებლობა კი კითხვებს ბადებს. მაგალითად - **ოთარ მარცვალაძისა** და **დავით სირაძის.**



ოთარ მარცვალაძე

28 წლის მარცვალაძე ვლადიკავკაზის „ალანიას" უახლოეს პერიოდში ვერ დაეხმარება, რადგან ქართველი თავდამსხმელი რუსეთის ნაციონალური დივიზიონის (რანგით მეორე ლიგა) მე-15 ტურში კრასნოიარსკის „ენისეისთან" მოგებულ (2:1) მატჩში დაშავდა. „ალანიას" ლეგიონერს ბარძაყის კუნთი დაუზიანდა და უცნობია, როდემდე დაისვენებს. ცხადია, გამოცდილ თავდამსხმელს ესპანეთთან შეხვედრაში ვერც ქეცბაია გამოიყენებს.

მაგრამ აღარც გვახსოვს, ბოლოს მარცვალაძემ ეროვნული ნაკრების ფორმა როდის მოირგო. ჯერ იყო და, ტრავმის გამო დიდი დრო გაუცდა, მაგრამ მას შემდეგ ნაკრებში აღარ უთამაშია. საინტერესოც სწორედ ეს არის - მარცვალაძე გამოჯანმრთელდა, ფორმა აღიდგინა და „ალანიას" სასტარტო შემადგენლობაში რეგულარულად ხვდებოდა, ეროვნულ ნაკრებში კი აღარ ჩანდა - რატომ აღარ ეძახოდა მას ქეცბაია?

გასაგებია, რომ ეროვნული ნაკრების პრესტიჟისთვის რუსეთის პირველი ლიგიდან მოთამაშის გამოძახება სასურველი არ არის, მაგრამ გუნდის დღევანდელი კონტინგენტი ევროპაში მოასპარეზე ფეხბურთელებით გაძეძგილი არ გახლავთ - სამწუხარო რეალობაა, რომ საუკეთესო ქართველები ჩვენთვის სასურველ ევროპულ ლიგებში აღარ თამაშობენ. თუ რაიმე არ შეიცვალა, საქმე იქითკენ მიდის, რომ შესაძლოა, ნაკრების მწვრთნელმა (არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება) მოთამაშეებზე დაკვირვება სომხეთისა და ყაზახეთის ჩემპიონატშიც დაიწყოს.

ბევრი ამბობს - რუსეთის პირველი ლიგის მოთამაშე ნაკრებს არ გამოადგება. მაგრამ ვინ იტყვის, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩემპიონატები უფრო მაღალი დონისაა, საიდანაც ბოლო წლებში ფეხბურთელებს იწვევენ? იმასაც ვერ ვიტყვით, რომ, მაგალითად, ამ ლიგებიდან აყვანილი **ელგუჯა გრიგალაშვილი** და **ნიკა გელაშვილი** ნაკრებში ზედმეტნი არიან.

ცხადია, რუსეთის პირველი ლიგა განსაკუთრებული დონით არ გამოირჩევა, მაგრამ რაც ვართ, ეს ვართ - ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი მარცვალაძე სწორედ ამ ლიგის კლუბში თამაშობს, მაგრამ მას ნაკრებში აღარ იყენებენ. ეს კი იმ დროს, როცა ადვილად შევეგუეთ ნაკრებიდან **დავით სირაძის** გაშვებას, რომელიც ეროვნული გუნდის 10-მატჩიანი წაუგებელი სერიის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იყო. ნალჩიკის „სპარტაკის" თავდამსხმელი კლუბში დიდი შედეგიანობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სანაკრებო შეხვედრებს ყოველთვის გამორჩეული მონდომებით ეკიდებოდა და, რაც მთავარია, ბოლო წლებში ძირითადად გადამწყვეტი გოლების ავტორი იყო.

შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მარცვალაძისა და სირაძის გამოჩენა ნაკრებს იმდენად გააძლიერებდა, რომ ფინეთს „გადავუვლიდით" ან ესპანეთ-საფრანგეთს მძაფრ კონკურენციას გავუწევდით. მაგრამ ლოგიკურად იბადება კითხვა - რატომ ხდება ასე?

სირაძე ქეცბაიამ თავად დაიწუნა - უნდა ითქვას, საკმაოდ ბუნდოვანი მიზეზით. მარცვალაძის საკითხი კი ჩრდილში მოექცა. ვრცელდება ხმები, თითქოს „ალანიას" თავდამსხმელს ნაკრებში ჩამოსვლა აღარ სურს. იქნებ, მცდარი ვერსიაც არის. საერთოდ, ვის ვისთან აქვს თუ არ აქვს უსიამოვნება ნაკრების გასახდელში, ეს გულშემატკივრამდე არ მიდის. მაგრამ ჩვენ ისეთი მდიდრები არ ვართ, ასეთ გამოცდილ ფეხბურთელებზე უარი ვთქვათ - უფრო მნიშვნელოვანია, ნაკრებში ყველა საუკეთესო თამაშობდეს.

ეროვნულ ნაკრებში აღარ არიან სირაძე, მარცვალაძე, **ლევან ყენია,** თუნდაც „მოურჯულებელი" **გოგიტა გოგუა** - თითოეული მათგანი შემტევია. გნებავთ ამას მიაწერეთ და გნებავთ სხვა რამეს, მაგრამ ფაქტია - შესარჩევ ციკლში მხოლოდ 3 გოლი გავიტანეთ, იმდენივე, რამდენიც ფარერებისა და ლიხტენშტაინის ნაკრებებმა. ნაკლები მხოლოდ ანდორასა და სან მარინოს აქვთ.

ამაზე ვწერდით და შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის (ევროპის ზონა) შესარჩევ ციკლში ჩვენზე მეტი გოლი გაიტანეს ბოლოადგილოსანმა უელსმა (7), მალტამ (4), კვიპროსმა (4), აზერბაიჯანმა (4) და ბელარუსმა (5). ჩვენი გაბარიტის გუნდებიდან ასევე მეტჯერ აილეს მეტოქეთა კარი ჩრდილოეთ ირლანდიამ, ალბანეთმა, ლატვიამ (8-8), ლუქსემბურგმა, ლიტვამ (7-7), ესტონეთმა (6), ყაზახეთმა, მოლდოვამ, აზერბაიჯანმა (4-4). ანუ, ევროპის 53 ნაკრებში შედეგიანობით 49-51-ე ადგილს ვიყოფთ ფარერებსა და ლიხტენშტაინთან. გამართლებად ის თუ გამოგვადგება, რომ ევროპის ერთადერთ 5-გუნდიან ჯგუფში გამოვდიოდით და რომ ანდორა-ფარერების მსგავსი „გასართობი" მეტოქეები არ გვყოლია.

მაგრამ 7 შეხვედრაში 3 გოლს ესეც ვერ გაამართლებს. **ექტორ კუპერის** დროსაც კი, როცა ჩვენი ნაკრების ისტორიაში ყველაზე უსუსური გუნდი გვყავდა, 7 გოლი გავიტანეთ. ასევე მოხდა წინა ციკლშიც, სადაც წილისყრამ მეტისმეტად სუსტი მეტოქეები ასევე არ გვარგუნა.



დავით სირაძე

ამიტომ არის დასაფიქრებელი ეს ამბავი - რა პერსპექტივა აქვს ნაკრებს, რომელსაც გოლი ვერ გააქვს და საერთოდ, ამ შედეგიანობით რომელ ევროპის ჩემპიონატზე მივდივართ? ქეცბაიამ დაცვა მეტ-ნაკლებად მოაწესრიგა, მაგრამ გუნდის პროგრესი ძირითადად შემტევი პოტენციალის გაძლიერებაში გამოიხატება. ეს კი ნამდვილად არ იგრძნობოდა. არადა, ორი ციკლია, რაც ნაკრებში მუშაობს, ეს კი გუნდის ასაშენებლად არცთუ მცირე დროა.

ქეცბაიას უკვირს, როცა მისგან შემტევ ფეხბურთს ითხოვენ. ამ დონის მოთამაშეებით, საფრანგეთ-ესპანეთთან ეს შეუძლებელიაო, - ამბობს ის და ამაში ლოგიკა არის. მაგრამ გოლებიც აღარ მოვითხოვოთ და მიზეზებიც აღარ ვიკითხოთ? ასე არ გამოვა...

ლეგიონერი



ასე სცემენ პატივს გურამ კაშიას ჰოლანდიაში

# კაშია დიდ პატივშია

ჰოლანდიის ჩემპიონატის მე-7 ტურში არნემის „ვიტესმა" ლიდერ „ზვოლეს" უმასპინძლა, უშანსოდ დაამარცხა - 3:0 და მე-2 ადგილზე დააქვეითა. ამ შეხვედრაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრების მცველი (ერთ-ერთი პოპულარული ჰოლანდიური გამოცემის ვერსიით, გასული სეზონის საუკეთესო მცველი) **გურამ კაშია** არნემელ გულშემატკივრებს განსაკუთრებით უყვართ - „ზვოლესთან" მატჩამდე, „ვიტესის" გულშემატკივრებმა სტადიონის ტრიბუნაზე კაშიას უზარმაზარი ბანერი გამოფინეს.

*„გუნდში ახალი მწვრთნელი მოვიდა, რომელსაც წინასგან განსხვავებული საფეხბურთო შეხედულებები გააჩნია და უყვარს შეტევა, რაც ჭანტურიასა და ყაზაიშვილზე კარგად აისახა. ყაზაიშვილი დუბლებიდან გადმოიყვანეს, რადგან ძალიან მოუმატა და დაამტკიცა, რომ „ვიტესის" ძირითადში თამაშის ღირსია, მან რამდენიმე კარგი თამაშიც ჩაატარა. ჭანტურიამ ასევე ძალიან კარგად დაიწყო და მწვრთნელი მის მიმართაც დადებითად იყო განწყობილი, მაგრამ დისკვალიფიკაცია უშლის ხელს და ამის გამო საკმაოდ დიდი დრო გაუცდება",* - გვითხრა ეროვნული ნაკრების მცველმა და „ვიტესის" კაპიტანმა.

მიმდინარე სეზონის დაწყებამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ კაშია „ვიტესიდან" წასვლას აპირებდა, რადგან მისით რამდენიმე ევროპული კლუბი იყო დაინტერესებული, მათ შორის, „ანდერლეხტი". ბელგიურ კლუბს არნემელთა ყოფილი დამრიგებელი **იონ ვან დენ ბრომი** წვრთნის, რომლის პერიოდშიც კაშია „ვიტესის" ერთ-ერთ წამყვან ფიგურად იქცა და კაპიტნადაც დაანინაურეს.

გურამს ამაზეც ვკითხეთ: *„ჩემი ოცნება ჩემპიონთა ლიგაში თამაშია და თუ ასეთი ვარიანტი გამოჩნდება, სიამოვნებით გადავალ სხვა კლუბში. სამწუხაროდ, ეს იმედები არ გამართლდა, თუმცა „ვიტესშიც" კარგად ვგრძნობ თავს, კლუბშიც პატივს მცემენ და ასეთივე დონის კლუბში გადასვლის აზრს ვერ ვხედავ".*

ლეგიონერები გუშინ

# ქართული გოლი ჰერკულესის კარში

გუშინ ევროპაში, ჩემპიონატების გარდა, სათასო მატჩებიც უხვად იყო. ჰოლანდიაში არნემის „ვიტესმა" გასვლაზე „ჰერკულესს" 3:1 მოუგო. თავი გამოიჩინა **გურამ კაშიამ,** რომელმაც 65-ე წუთზე თავისიანები 2:1 დააწინაურა. მან და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა **ვალერი ყაზაიშვილმა** შეხვედრა ძირითადში დაიწყეს. ეს უკანასკნელი 74-ე წუთზე შეცვალეს. დისკვალიფიკაციის გამო, **გიორგი ჭანტურიას** ამჯერადაც არ უთამაშია.

დანიის თასზე „ორჰუსი" პირველი ლიგის „ბრონსჰოის" ესტუმრა და 3:1 გაიმარჯვა. „ორჰუსის" შემადგენლობაში არც ერთი ქართველი არ გამოჩენილა. **მათე ვაწაძე** განაცხადში იყო, **დავით სხირტლაძე** და **დავით დევდარიანი** - არა. პირველი ჯანმრთელად კი არის, მაგრამ მისი უთამაშებლობის მიზეზი უცნობია. დევდარიანი ტრავმირებული გახლდათ.

რუსეთის პრემიერლიგაში „კრილია სოვეტოვი" სამარაში სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან" 1:4 დამარცხდა. საქართველოს ნაკრების მცველმა **ალეკო ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა.

მისმა პარტნიორმა ნაკრებში და ყოფილმა თანაგუნდელმა **გია გრიგალავამ** კი მახაჩყალის „ანჟის" ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი და მოსკოვში „სპარტაკის" წინააღმდეგაც ითამაშა. ის საიმედოდ გამოიყურებოდა და გასვლაზე ფრედ (0:0) დასრულებულ შეხვედრაში საკუთარი წვლილიც შეიტანა.

ლვოვის „კარპატიმ" უკრაინის თასიდან „სევასტოპოლი" გამოთიშა - 1:0. ლვოველთა შორის გამოჩნდა **ევგენი ბოხაშვილი,** რომელიც 89-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა, მაგრამ არ ჩანდა **მურთაზ დაუშვილი,** რომელსაც კლუბის დატოვება სურს. „სევასტოპოლში" **მათე ღვინიანიძემ** შეუცვლელად ითამაშა.

მარიუპოლის „ილიჩივეცმა" კი სახლში დონეცკის „შახტართან" 0:3 დათმო და გათამაშებას დაემშვიდობა. მარიუპოლელთა ძირითად შემადგენლობაში იყვნენ **თორნიკე ოქრიაშვილი** და **დავით თარგამაძე.** ეს უკანასკნელი 67-ე წუთზე შეცვალეს. ეს ქართული კლუბებისთვის საინტერესო ამბავი უნდა იყოს, რადგან ორივეს ტრანსფერი „შახტარს" ეკუთვნის, თუმცა დონეცკელები მათ წინააღმდეგ თამაშს არ უკრძალავენ.

დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ" გასვლაზე „ბუკოვინას" 2:0 სძლია. **ჯაბა კანკავა** 57-ე წუთზე სშეცვალეს. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესული **სანდრო კობახიძე** კი ძალიან აქტიური იყო, ორი საგოლე მომენტიც ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა.

ლუგანსკის „ზორია" პირველი ლიგის ბინადარ „ავანგარდთან" კრამატორსკში 1:3 დამარცხდა და გავარდა. **ჯაბა ლიპარტია** ლუგანსკელთა შორის მეორე ტაიმში გამოჩნდა.

პოლონეთის ექსტრაკლასაში არ შედგა ქართული დერბი „იაგელონიასა" და „ლეგიას" მატჩში - 2:3. „იაგელონიაში" 61-ე წუთიდან ითამაშა **გიორგი ფოფხაძემ,** ხოლო **ნიკა ძალამიძე,** რომელსაც ტრავმის გამო ბევრი გაუცდა, სათადარიგოთა შორის იყო. **ლადო დვალიშვილი** კი „ლეგიას" განაცხადში არ ყოფილა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. VI ტური

# ბარსა და ატლეტიკო დანაკარგის გარეშე

**გრანადა-ვალენსია 0:1**

**გოლი:** 0:1 ჟონასი (90+4)

**გრანადა** (4-4-1-1): რობერტო - ნიომი, დიახატე, მურილიო, ანგულო - მ. პერეირა (85. ალვარო გარსია), იტურა, რესიო, ბრაჰიმი - ბუონანოტე (80. იგალო) - ელ-არაბი (69. რიკი)

**ვალენსია** (4-2-3-1): დიაგო ალვეში - ჟოაო პერეირა, ვიქტორ რუისი, მატიო, გუარდადო - ხავი ფუეგო, ბანეგა - პაბონი (65. ბერნატი), ჟონასი, კარტაბია (74. ფეგული) - ელდერ პოშტიგა (71. კანალესი)

**გაფრთხილება:** ბუონანოტე, ნიომი, მ. პერეირა, ანგულო - ხავი ფუეგო, ჟონასი

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 19-15; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 13-14 (4-3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 13 060

**სევილია-ვალეკანო 4:1**

**გოლები:** 1:0 რაკიტიჩი (17-პენ), 2:0 რაკიტიჩი (53), 2:1 ადრიანი (55), 3:1 ბაკა (81), 4:1 ბაკა (88)

**სევილია** (4-2-3-1): ბეტუ - კოკე, კალა, პარეხა, ა. მორენო - მბია, რაკიტიჩი - ხაირო სამპერიო (77. რაბელიო), მარინი (70. ბაკა), ჩერიშევი (16. ტროხოვსკი) - გამეირო

**ვალეკანო** (4-2-3-1): რუბენი - არბილია, რაულ ბაენა (73. ლარივეი), გალვესი, მოხიკა - ტრაშორასი, საულ ნიგესი - ლ. ბანგურა, ადრიანი, ხ. ვიერა - ა. ბუენო (73. სება ფერნანდესი)

**გაფრთხილება:** კალა, მარინი, ტროხოვსკი - არბილია, გალვესი, საულ ნიგესი, მოხიკა, ლ. ბანგურა

**გაძევება:** გალვესი (66. რაიო ვალეკანო), ხ. ვიერა (82. რაიო ვალეკანო)

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 14-18; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 16-10 (7-4); **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 27 943

**ელჩე-რეალი 1:2**

**გოლები:** 0:1 კრიშტიანო რონალდო (51), 1:1 ბოაკიე (90), 1:2 კრიშტიანო რონალდო (90+6-პენ)

**ელჩე** (4-3-2-1): მანუ ერერა - დ. სუარესი, ბოტია, ლომბანი, ედუ ალბაკარი - კ. სანჩესი, რუბენ პერესი, ხავი მარკესი (62. ბოაკიე) - კარლეს ხილი, მანუ დელ მორალი (59. ფიდელი) - კორომინასი (81. აარონ ნიგესი)

**რეალი** (4-2-3-1): დიეგო ლოპესი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო - ხედირა, მოდრიჩი (81. დანი კარვახალი) - დი მარია (89. მორატა), ისკო (70. ილიარამენდი), კრიშტიანო რონალდო - ბენზემა

**გაფრთხილება:** მანუ დელ მორალი, ბოტია, დ. სუარესი, კორომინასი, ფიდელი, მანუ ერერა, რუბენ პერესი, კ. სანჩესი - სერხიო რამოსი, კრიშტიანო რონალდო

**გაძევება:** კ. სანჩესი (90+8. ელჩე, თამაშის შემდეგ)

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 17-7; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 8-12 (3-5); **ბურთის ფლობა:** 36%-64%

**მაყურებელი:** 28 754

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 0 | 22-5 | 18 |
| 2. ატლეტიკო | 6 | 6 | 0 | 0 | 18-5 | 18 |
| 3. რეალი | 6 | 5 | 1 | 0 | 14-6 | 16 |
| 4. ვილიარეალი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| 5. ესპანიოლი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-5 | 11 |
| 6. ბილბაო | 5 | 3 | 0 | 2 | 10-9 | 9 |
| 7. ვალენსია | 6 | 3 | 0 | 3 | 9-10 | 9 |
| 8. მალაგა | 6 | 2 | 2 | 2 | 9-4 | 8 |
| 9. ლევანტე | 6 | 1 | 4 | 1 | 5-11 | 7 |
| 10. სოსიედადი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-7 | 6 |
| 11. სელტა | 5 | 1 | 3 | 1 | 7-7 | 6 |
| 12. ბეტისი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| 13. სევილია | 6 | 1 | 2 | 3 | 10-12 | 5 |
| 14. გრანადა | 6 | 1 | 2 | 3 | 3-5 | 5 |
| 15. ვალიადოლიდი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-7 | 5 |
| 16. ხეტაფე | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 4 |
| 17. ალმერია | 6 | 0 | 3 | 3 | 10-15 | 3 |
| 18. ელჩე | 6 | 0 | 3 | 3 | 5-10 | 3 |
| 19. ოსასუნა | 6 | 1 | 0 | 5 | 5-12 | 3 |
| 20. ვალეკანო | 6 | 1 | 0 | 5 | 5-20 | 3 |

**ბომბარდირები:** 7 - მესი (ბარსელონა), დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 6 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 5 - პედრო (ბარსელონა); 4 - რაულ გარსია (ატლეტიკო), როდრი (ალმერია), ისკო (რეალი)

**ბილბაო-ბეტისი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ბალენსიაგა, კიკე სოლა, ეკისა - ხუან კარლოსი, ედერ ვილარჩაო

ურთიერთშეხვედრები

**სულ 34 თამაში: +8 =14 -12 (34:40)**

**ხეტაფე-სელტა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** მიჩელი (ხეტაფე)

**ტრავმა:** ლასენი - სამუელ ლორკა, ბერმეხო

ურთიერთშეხვედრები

**სულ 6 თამაში: +2 =1 -3 (7:7)**

**ვილიარეალი-ესპანიოლი 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ფარინოსი - ვიქტორ ალვარესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 26 თამაში: +9 =13 -4 (33:19)**

**ლა ლიგის მე-6 ტური დღეს სამი მატჩით დასრულდება, რომელთაგანაც ყველაზე დიდ ინტერესს ორი დაუმარცხებელი გუნდის, „ვილიარეალის“ და „ესპანიოლის“ შეხვედრა იწვევს, თუმცა სანამ დღევანდელ მატჩებზე ვისაუბრებდეთ, იქამდე რამდენიმე სიტყვა სამშაბათს გამართულ შეხვედრებზე ვთქვათ...**

## მესი რაულს გაუტოლდა

„ბარსელონამ“ „რეალ სოსიედადს“ უმასპინძლა და წინა სეზონში მეოთხე ადგილზე გასულ გუნდთან ყველაფერი მე-8 წუთისთვის დაამთავრა. ამ დროისთვის კატალონიელები უკვე ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ. ანგარიში მეხუთე წუთზე **ნეიმარმა** გახსნა - ლა ლიგაში თავისი პირველი გოლი გაიტანა, რამდენიმე წუთში კი ბრაზილიელმა უკვე საგოლე გადაცემა გააკეთა, ბურთი თავზე დაასვა **ლიონელ მესის**, რომელმაც ახლო მანძილიდან არ ააცილა - 2:0.

ალსანიშნავია, რომ სტუმართა დამრიგებელმა **იაგობა არასატემ** მინდორზე შერეული შემადგენლობა გაიყვანა, რის გამოც მალე დაისაჯა. როგორც ჩანს, ბასკთა დამრიგებელი მარცხს თავიდანვე შეგუებული იყო და ამიტომ, რამდენიმე ლიდერს დასვენების საშუალება მისცა. „ბარსელონა“ ძალიან დიდ უპირატესობას ფლობდა და საოცარ კომბინაციებს ათამაშებდა. ერთ-ერთი მორიგი ლამაზი შეტევის დროს, მესი ვალდებული იყო გაეტანა, მაგრამ არგენტინელმა ჯერ ქუსლით ვერ შეაგდო, შემდეგ კი ბურთი ხარიხას მოარტყა, თუმცა დამატებაზე ყველას **სერხიო ბუსკეტსმა** აჯობა და კარიერაში



მესიმ და ნეიმარმა თითო გოლი გაიტანეს

მე-9 (პრიმერაში მე-5) გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში თავი **მარკ ბარტრამაც** გამოიჩინა, რომელიც პირველივე ტაიმში **ხავიერ მასკერანოს** ნაცვლად გამოვიდა - არგენტინელს ტრავმა ბუსკეტსმა მიაყენა.

მატჩის დასრულებამდე **ხერარდო მარტინომ** ნეიმარი და მესი შეცვალა. არგენტინელი უკმაყოფილი ჩანდა და პრესაში უმალ დაიწყეს ამ საკითხზე სპეკულირება, რაზეც „პულგამ“ პასუხი სოციალური ქსელის მეშვეობით გასცა:

*„მწვრთნელის მიმართ უპატივისცემლობა არ გამომიხატავს და ამაზე ერთი წამითაც არ მიფიქრია. მოედნიდან გასვლა არავის მოსწონს, მაგრამ ეს კარგია ჩვენი გუნდისთვის და როტაცია ყველასთვის მისაღებია, სამაგიეროდ, მიულებელია ზოგიერთი გამოცემის ქმედება, რომელიც ჩემ შესახებ ხშირად ტყუილს წერს,“* - დაწერა მესიმ „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე.

განცხადება „ტატა“ მარტინომაც გააკეთა: *„მესის მოედნის დატოვება არასდროს სურს, მაგრამ ჩემი მოვალეობაა, რომ მას მოვუარო და ტრავმები ავარიდო. ჩვენ ის ჯანმრთელი და ძლიერი გვჭირდება“.*

სხვათა შორის, მესის „ბარსელონაში“ (ყველა ტურნირზე) უკვე 323 გოლი აქვს გატანილი, რაც ზუსტად იმდენია, რამდენიც „რეალში“ **რაულმა** გაიტანა.

## ატლეტიკო დერბის კარგი განწყობით ხვდება

„ბარსას“ არ ჩამორჩა მადრიდის „ატლეტიკო“ და მანაც მეექვსე გამარჯვება მოიპოვა. „როხიბლანკოს“ მორიგი მეტოქე აუტსაიდერი „ოსასუნა“ იყო, რომელმაც მასპინძლებს ჯიუტი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მაინც დამარცხდა. მომავალ ტურში „ატლეტიკოს“ მადრიდული დერბი ელის, რის გამოც, **დიეგო სიმეონემ** პამპლონელებთან რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა **დიეგო კოშტამ**, რომელმაც დუბლი შეასრულა და გოლების რაოდენობა 7-მდე გაზარდა. „ატლეტიკოს“ ფორვარდი მესის წამოეწია და არგენტინელთან ერთად ლა ლიგის ბომბარდირთა დავაში გალიდერდა. ალვნიშნოთ **კოკეს** მორიგი საგოლე პასიც - ახალგაზრდა ფეხბურთელის ანგარიშზე უკვე 5 საგოლე გადაცემაა, რაც მთელი ლიგის მასშტაბით საუკეთესო შედეგია.

ამ გამარჯვების წყალობით „ატლეტიკომ“ საკუთარი რეკორდი გაიმეორა. სეზონის სტარტზე ზედიზედ ექვსი გამარჯვების მოპოვება „როხიბლანკომ“ აქამდე სულ ორჯერ, 1964/65 და 1991/92 წლების სეზონში მოახერხა. იმისთვის, რომ რეკორდი დაამყარონ, მადრიდელებმა ერთი საკმაოდ ხანგრძლივი და უსიამოვნო სერია უნდა დაასრულონ: დაამარცხონ „რეალი“, რაც „ატლეტიკოს“ ჩემპიონატში 1999 წლის შემდეგ არ გაუკეთებია.

საკუთარი შეგირდების გარჯით კმაყოფილი იყო **დიეგო სიმეონე**: *„2:1 სახიფათო ანგარიში კი არის, მაგრამ დღეს ჩვენ კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. მართალია, წინ დერბი გველის, მაგრამ დღეს ბიჭები მხოლოდ ამ შეხვედრაზე ფიქრობდნენ“.*

არგენტინელმა დიეგო კოშტაზეც ისაუბრა: *„დიეგო ძალიან ჭკვიანი და ამბიციური ფეხბურთელია. ის შესანიშნავ ფორმაშია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის კიდევ მოუმატებს - მხოლოდ მას შეუძლია, რომ საკუთარი შესაძლებლობების ზღვარი დაანგრიოს“.*

## მალაგას მორიგი გამარჯვება

პირველ ორ ტურში განცდილი ორი მარცხის შემდეგ, „მალაგას“ უკვე 4 მატჩია, არ წაუგია, სამშაბათს კი **ბერნდ შუსტერის** გუნდმა ანდალუსიურ დერბიში იმარჯვა. „ალმერიასთან“ შეხვედრაში ანგარიში არგენტინელმა **ფერნანდო ტისონემ** გახსნა და ბოლო 2 წლის განმავლობაში პირველი გოლი გაიტანა. „ალმერიამ“ ამ სეზონში პირველად ვერ შეძლო გოლის გატანა, თუმცა მასპინძლები კი ანერვიულა. შეხვედრას წერტილი არბიტრის მიერ დამატებულ პირველ წუთზე ახალგაზრდა **პორტილიომ** დაუსვა და საკუთარ გუნდს სამი ქულა გაუნაღდა.

## წაუგებლების დუელი

დღევანდელი სამი მატჩიდან ყველაზე დიდ ინტერესს „ვილიარეალის“ და „ესპანიოლის“ შეხვედრა იწვევს. პრიმერაში დაბრუნებულმა „ყვითელმა წყალქვეშა ნავმა“ ბევრისთვის მოულოდნელი სტარტი აიღო და 5 ტურში 11 ქულა მოაგროვა. ასევე მოულოდნელია ის, რომ კატალონიის მეორე გუნდი კვლავ წაუგებელია და მასაც 11 ქულა აქვს.

ბოლო ტურში **ხავიერ აგირეს** გუნდმა ბილბაოს „ატლეტიკი“ დაამარცხა, „ვილიარეალმა“ კი ვიგოდან ქულა წამოიღო. ისტორიულად, ამ გუნდების მატჩები ძალიან მწირგოლიანი გამოდის. თავად განსაჯეთ - ბოლო ორი მატჩი 0:0 დასრულდა, ხოლო უკანასკნელი მატჩი, როდესაც გოლის გატანა ორივე გუნდმა მოახერხა, 2007 წელს გაიმართა. „ესპანიოლს“ მეტოქის კარში ბურთი უკვე 5 წელი (!) და 9 მატჩია არ გაუტანია. ამ 9 შეხვედრიდან ვალენსიელებმა 4 მოიგეს, 5 მატჩი კი 0:0 დასრულდა (ბურთების სხვაობა: 8:0 „ვილიარეალის“ სასარგებლოდ).

„ვილიარეალისგან“ ძლეული ბილბაოს „ატლეტიკი“ კი „ბეტისს“ უმასპინძლებს, რომელთანაც ტრადიციულად ძალიან უჭირს. ამ გუნდების ბოლო 4 მატჩიდან 3 სევილიელებმა მოიგეს, ერთი კი ფრედ დასრულდა. გამარჯვების შემთხვევაში ბასკები მინიმუმ ერთი ადგილით დაწინაურდებიან და სატურნირო ცხრილში მეხუთე პოზიციაზე გადაინაცვლებენ.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები



## პალერმომ გატუზო დაითხოვა

სერია B-ში გავარდნილი „პალერმოს“ ოდიოზურმა პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** დიდი ზარ-ზეიმით მიიყვანა კლუბში „მილანის“ ყოფილი ფეხბურთელი **ჯენარო გატუზო** და თქვა, რომ სიცილიურ კლუბში გატუზოს ერა იწყებოდა.

რა თქმა უნდა, მას არავინ დაუჯერა და აი, 6 ტურის გასვლის შემდეგ - ძამპარინიმ გატუზო გუნდიდან გააგდო, ისევე, როგორც მანამდე ათეულობით მწვრთნელი.

„მილანის“ ლეგენდას „ბარისთან“ 1:2 მარცხი ალარ ეპატია. 6 ტურში „პალერმოს“ მხოლოდ 7 ქულა აქვს. გატუზოს შემცვლელი უკვე ნაპოვნია - **ბეპე (ჯუზეპე) იაკინი**.

*„დიდი მწუხარებით მინდა გაუწყოთ, რომ მომიხდა ჯენარო გატუზოს განთავისუფლება. მე ძალიან მომწონს ჯენარო, ის მონდომებული სპეციალისტია და დიდი საფეხბურთო წარსული აქვს. მაგრამ მგონი, მე და მან ვიჩქარეთ, როცა „პალერმოს“ მწვრთნელობა ჩავაბარე - დებიუტანტისთვის ეს ძალიან დიდი ნაბიჯი გამოდგა და მან წაიფორხილა. შედეგებმა დამაჯერეს, რომ შევცდი“,* - განაცხადა ძამპარინიმ.

## გალამ თერიმი დაითხოვა და ადვოკაატს ელაპარაკება

სტამბოლის „გალათასარაის“ ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან დაითხოვნა თურქი დამრიგებელი **ფატიჰ თერიმი**. ამის შესახებ თურქული გრანდის დირექტორთა საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, რომ გუნდის შედეგები არ შეესაბამება მის პოტენციალს. თურქეთის ჩემპიონატში „გალა“ ჯერჯერობით მე-10 ადგილზეა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში „ლომები“ შინ მადრიდის „რეალთან“ შერცხვნენ - 1:6.

უკვე ცნობილია, „გალათასარაის“ სავარაუდო დამრიგებელი - 65 წლის ჰოლანდიელი **დიკ ადვოკაატი**. ჰოლანდიური მედიის თანახმად, თურქული კლუბის ხელმძღვანელობა უკვე მართავს მოლაპარაკებას ადვოკაატთან.

შეგახსენებთ, რომ „გალაში“ ერთი ჰოლანდიელი თამაშობს - **ვესლი სნეიდერი**. სავარაუდო კანდიდატებში ასახელებენ იტალიელ რობერტო მანჩინისაც.

## ვინ მიახლის სიმართლეს ჯუკიჩს პირში



ადილ რამი

„ვალენსიაში“ მწვრთნელ **მიროსლავ ჯუკიჩსა** და ზოგიერთ ფეხბურთელს შორის დაპირისპირებაა. ამის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც „ვალენსიას“ ფრანგმა მცველმა **ადილ რამიმ** ალიმაღლა ხმა.

„ჯუკიჩზე საუბარი არ მსურს, ის გემის კაპიტანია. მაგრამ უნდა ალვნიშნო, რომ მასთან არ მაქვს კარგი ურთიერთობა. ვნახოთ, სად იქნება გუნდი სეზონის ბოლოს. სეზონის წინ ისეთი ფეხბურთელები გავუშვით, როგორიც დავიდ ალბელდა, რობერტო სოლდადო და ტინო კოსტაა. ისინი ნამდვილი ლიდერები არიან და სათქმელის პირდაპირ თქმა შეუძლიათ. ახლა კი გუნდში არავინაა ისეთი, რომ მწვრთნელს სიმართლის თქმა გაუბედოს. ჩვენს გასახდელში მხოლოდ ბურთები დარჩა. რაც მთავარია, ჯუკიჩი ფეხბურთელებთან არ არის გულწრფელი“, - განაცხადა 30 წლის ადილ რამიმ.

და აი, შედეგიც: მიროსლავ ჯუკიჩმა გადაწყვიტა, ადილ რამი დასაჯოს. პირველ რიგში, ის „გრანადასთან“ მატჩის წინ შემადგენლობიდან ამოაგდო.

კლუბის ხელმძღვანელობამ, რა თქმა უნდა, მწვრთნელის პოზიცია დაიკავა. *„ვალენსია“ და კლუბის ინტერესები ნებისმიერის ინტერესებზე წინ უნდა იდგეს“*, - ვკითხულობთ „ლამურების“ ოფიციალური საიტის განცხადებაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გერმანიის თასი. II ეტაპი



მიუნხენ 1860-დორტმუნდი. უბერებელი გაბორ კირალისა და სოკრატისის ორთაბრძოლა

# დორტმუნდს გაუჭირდა, მაინცი გავარდა

**ჰოფენჰაიმი–კოტბუსი 0:0 (3:0 დ.დ.)**

**გოლები:** 1:0 ზიულე (95), 2:0 რობერტო ფირმინო (103), 3:0 შიპლოკი (117)

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** გრალი - ბეკი, ზიულე, ვესტერგაარდი, ფ. ჯონსონი - პოლანსკი, სალიჰოვიჩი - შტრობლი (74. ელიუნუსი), რობერტო ფირმინო (112. ჰერდლინგი), ფოლანდი - მოდესტე (62. შიპლოკი).

**მაყურებელი:** 11 579

**მაინცი–კიოლნი 0:1**

**გოლი:** 0:1 რისსე (53)

**მაინცი (4-2-3-1):** ვეტკლო - პოსპეხი, სვენსონი, ნოვესკი, პარკი - მორიტცი, სოტო (46. მალი) - ნ. მიულერი, ზიმლინგი (77. დ. შაჰინი), ოკაზაკი - პოლტერი (59. ჩუპო-მოტინგი).

**კიოლნი (4-2-3-1):** ჰორნი - ბრეჩკო, ვიმერი, მარო, ექტორი - მ. ლემანი, მატუშიკი - რისსე (92. გოლობარტი), გერჰარდტი, პეჟკო (74. დ. ჰალფარი) - უჯა.

**მაყურებელი:** 22 782

**ჰამბურგი–ფიურტი 1:0**

**გოლი:** 1:0 ლასოგა (64)

**ჰამბურგი (4-2-3-1):** ადლერი - ვესტერმანი, თაა, ჯურუ, იანსენი - ბადელი, არსლანი (82. ლ. ზობიეხი) - ბაისტერი (91. ჟ. ლამი), ვან დერ ვაარტი, ჩალჰანოღლუ - ლასოგა (84. ზუა).

**მაყურებელი:** 26 842

**არმინია–ლევერკუზენი 0:2**

**გოლები:** 0:1 სონი (62), 0:2 სემი (89)

**ლევერკუზენი (4-3-3):** ლენო - დონატი, სპაჰიჩი, ვოლშაიდი, ჩანი - ლ. ბენდერი, რაინარტცი, როლფესი - რ. კრუსი (75. სემი), დერდიოკი (67. კისლინგი), სონი (91. ბიონიში).

**მაყურებელი:** 23 709

**მიუნხენი–დორტმუნდ 0:0 (0:2 დ.დ.)**

**გოლები:** 0:1 ობამეიანგი (105-პენ), 0:2 მხითარიანი (107)

**მიუნხენ 1860 (4-3-2-1):** კირალი - ფოლცი (112. ტომასოვი), შინდლერი, ბიულოვი, ვოიტკოვიაკი - დ. შტალი, ვანენვიტში, ი. შტარკი - შტოპელკამპი, ადლუნგი - ლაუთი (112. ფრენდი).

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ლანგერაკი - გროსკროიტცი, სოკრატისი, ჰუმელსი, დურმი - ნ. შაჰინი, ს. ბენდერი (69. ი. ჰოფმანი) - ბლაშჩიკოვსკი (99. ობამეიანგი), მხითარიანი, როისი - ლევანდოვსკი (105+3. შიბერი).

**გაძევება:** დ. შტალი (104. მიუნხენ 1860)

**მაყურებელი:** 71 000

**მიუნსტერი–აუგსბურგი 0:3**

**გოლები:** 0:1 ტო. ვერნერი (45+1), 0:2 ტო. ვერნერი (57), 0:3 მიოლდერსი (59)

**აუგსბურგი (4-1-4-1):** მანინგერი - ვერჰეგი, კალსენ-ბრაკერი, კლავანი, მ. დე იონგი - ბაიერი - ჰანი (78. ფილპი), ფოგტი, ჰალილ ალთინთოფი (62. ჰოლცჰოიზერი), ტო. ვერნერი - მიოლდერსი (67. მილიკი).

**მაყურებელი:** 14 379

**ვიდენბრიუკი–ზანდჰაუზენი 1:3**

**გოლები:** 1:0 სუმელკა (40), 1:1 იოვანოვიჩი (62), 1:2 ულმი (65), 1:3 იოვანოვიჩი (67)

**ვოლფსბურგი–აალენი 2:0**

**გოლები:** 1:0 დიეგო (45+2), 2:0 კლოზე (82)

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ტრეში, ნალდო, კლოზე, როდრიგესი (46. კოო) - ვიეირინია (34. დ. კალიჯური), ლუის გუსტავო - პერიშიჩი, დიეგო (83. პოლაკი), მ. შეფერი - ოლიჩი.

**მაყურებელი:** 6 718

**კაიზერსლაუტერნი–ჰერტა 3:1**

**გოლები:** 0:1 ნიმაიერი (25), 1:1 იდრისუ (52), 2:1 მატმური (53), 3:1 ოუშენი (83)

**კაიზერსლაუტერნი (4-2-2-2):** ზიპელი – დიკი, შიმუნეკი, ტორეხონი, ლიოვე – კარლი, რინგი (82. ორბანი) – მატმური, გაუსი (69. ფორტუნისი) – ოუშენი, იდრისუ.

**ჰერტა (4-2-2-1-1):** კრაფტი – იანკერი, ფრანცი, ლუსტენბერგერი, ჰოლანდი – ნიმაიერი, ჩიგერჩი (84. რონი) – საჰარი (79. რამოსი), ნ. შულცი – ვაგნერი – ალაგუი.

**მაყურებელი:** 24 291

**ზაარბრიუკენი–პადერბორნი 2:1**

**გოლები:** 1:0 რათგებერი (7), 2:0 რათგებერი (38), 2:1 ზალიკი (71)

**აინტრახტი–ბოხუმი 2:0**

**გოლები:** 1:0 ინუი (24), 2:0 აიგნერი (25)

**აინტრახტი (4-2-3-1):** ტრაპი – ს. იუნგი, სამბრანო, ანდერსონი, ჯაპკა – რუსი (72. ლანიგი), როდე (46. ფლუმი) – აიგნერი, ბარნეტა (69. ლაკიჩი), ინუი – კადლეცი.

**მაყურებელი:** 28 100

**ფრანკფურტი–ინგოლშტადტი 0:2**

**გოლები:** 0:1 ჰაინალი (27), 0:2 პ. ჰოფმანი (47)

**ბაიერნი–ჰანოვერი 4:1**

**გოლები:** 1:0 თ. მიულერი (17), 2:0 პისარო (27), 2:1 ია კონანი (37), 3:1 თ. მიულერი (64), 4:1 რიბერი (78)

**ბაიერნი (4-1-4-1):** ნოიერი – რაფინია, ვან ბუიტენი, დანტე, კონტენტო (82. კირხჰოფი) – ლამი – თ. მიულერი, შვაინშტაიგერი (68. ალაბა), ტ. კროოსი, შაჩირი – პისარო (62. რიბერი).

**ჰანოვერი (4-2-3-1):** ცილერი – ჰ. საკაი, მარსელო, სანე, პოკონიოლი – შტინდლი, ადნრეასენი (71. შმიდებახი) – ბიტენკური (78. კადაჰი), ჰუსტი, პრიბი (46. შლაუდრაფი) – ია კონანი.

**მაყურებელი:** 66 000

**ფრაიბურგი–შტუტგარტი 2:1**

**გოლები:** 1:0 გინტერი (52), 2:0 ჰანკე (70), 2:1 იბიშევიჩი (87)

**ფრაიბურგი (4-2-3-1):** ბაუმანი – ზორგი, კრმასი, გინტერი, კ. გიუნტერი – ფერნანდესი, შუსტერი – შმიდი, მეჰმედი (89. ჰიოფლერი), კოკელინი (80. კერკი) – ჰანკე (70. ფრაისი).

**შტუტგარტი (4-2-2-2):** კირშბაუმი – გ. საკაი, შვააბი, რიუდიგერი, რაუში – გენტნერი, კვისტი (86. კაკაუ) – ჰარნიკი (75. მაქსიმი), ტრაორე – აბდელაუ (61. ტი. ვერნერი), იბიშევიჩი.

**მაყურებელი:** 22 500

**დარმშტადტი–შალკე 1:3**

**გოლები:** 0:1 ფარფანი (35-პენ), 1:1 ბერენსი (36), 1:2 ჰიოვედესი (58), 1:3 მ. მაიერი (86)

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი – ჰიოგერი, ჰიოვედესი, მატიპი, აოგო – ნოიშტედტერი, ჯონსი – ფარფანი (91. ასამოა), მ. მაიერი, კლემენსი (87. ფელიპე სანტანა) – სალაი (75. გორეტცკა).

**მაყურებელი:** 17 000

**ოსნაბრიუკი–უნიონი 0:1**

**გოლი:** 0:1 მატუშკა (14-პენ)

გერმანიის თასის მეორე რაუნდში, რომელიც სინამდვილეში 1/16-ფინალია, სამშაბათს მხოლოდ ერთი სენსაცია მოხდა - „მაინცი“ საკუთარ მოედანზე მეორებუნდესლიგელ „კიოლნთან“ 0:1 დამარცხდა და თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა. თუმცა ამ მოვლენას ხმაურიან სენსაციას ვერ დავარქმევთ, რადგან მაინცელები ბოლო დროს საშინელ ფორმაში არიან, „კიოლნი“ კი ამბიციურ კლუბად რჩება, რომლის მიზანი ელიტაში დაბრუნებაა. საინტერესო ისაა, რომ „კიოლნმა“ მაინცში 1962 წლის შემდეგ პირველად მოიგო...

მართლა ხმაურიან სენსაციასთან ახლოს იყო „მიუნხენ 1860“ - „ბაიერნის“ მოსისხლე მტერი დორტმუნდის „ბორუსიას“ მასპინძლობდა და გადაჭედილ „ალიანს არენაზე“ (71 000 მაყურებელი) ჩემპიონთა ლიგის ფინალისტს დაუნდობელი ბრძოლაც გაუმართა. დორტმუნდელებმა ქვედალიგელს ძირითად დროში ვერაფერი მოუხერხეს (0:0) და „ლომები“ მხოლოდ დამატებით დროშილა გატეხეს.

*„ეს იყო მარცხი, რომლითაც უნდა ვიამაყოთ,“* - აღნიშნა მატჩის შემდეგ მიუნხენელთა დამრიგებელმა **ფრიდჰელმ ფუნკელმა.** ფაქტია, რომ 1860-ის ფანებს ეს მატჩი დიდხანს ეხსომებათ. „ლომები“ მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ უდიდესი მონდომებით იბრძოდნენ, რაც ფუნკელის ტაქტიკის დამსახურებაცაა - მან ძირითად შემადგენლობაში სამი ჩამშლელი ნახევარმცველი (**შტალი, შტარკი, ვანენვიტში**) გაამწესა.

*„დორტმუნდთან“ ძირითად დროში 0:0-ის მიღწევა მშვენიერი შედეგია. ბუნდესლიგაში ეს ერთი ქულის მომტანი მატჩი იქნებოდა,“* - გულდაწყვეტილი გახლდათ „მიუნხენის“ ვეტერანი მეკარე **გაბორ კირალი.** „1860“ დამატებით დროშილა გატყდა - თითქმის ზუსტად ისე, როგორც 2008 წელს, გერმანიის თასის მეოთხედფინალში, „ბაიერნთან“. „ბორუსიამ“ ანგარიში 105-ე წუთზე პენალტით გახსნა (2008-ში **რიბერიმაც** პენალტით გაიტანა, ოღონდ სულ ბოლოს, 120-ე წუთზე) - ეს **პიერ-ემერიკ ობამეიანგმა** გააკეთა და „ლომების“ ფანების ოცნებები დაამსხვრია. მიუნხენელებმა სოლიდური პრემიაც დაკარგეს - მატჩის წინ 1860-ის პრეზიდენტ **გერჰარდ მაირჰოფერს** ნათქვამი ჰქონდა, ინვესტორი **ჰასან ისმაიკი ბიჭებს** „ბორუსიას“ დამარცხებისთვის ბევრ ფულს დაჰპირდაო.

საფინალო სასტვენის შემდეგ, „ბორუსიას“ თავკაცმა **იურგენ კლოპმა** მიუნხენელთა თავდამსხმელ **რობ ფრენდს** მაისურა გამოართვა და მოგვიანებით თქვა: *„როგორ არ უნდა ამელო მაისურა, რომელსაც უკან Friend აწერია?! ესეც რომ არ იყოს, რობ ფრენდი მგონი ერთადერთი მიუნხენელია, რომლის მაისურაც მომერგებოდა...“*

აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ალიანს არენა“ „მიუნხენ 1860-ის“ საშინაო მატჩზე 2007 წლის შემდეგ პირველად გაივსო (71 000)! „დორტმუნდს“ მიუნხენში 15 000 ფანი, ანუ, იმაზე მეტი ქომაგი ჩაჰყვა, ვიდრე 1860-ის ბოლო საშინაო მატჩს, აუე-სთან ესწრებოდა (14 300)...

სავარაუდო ტრანსფერი

# ლევანდოვსკიმ ბაიერნი დაადასტურა

დორტმუნდის „ბორუსიას“ პოლონელმა თავდამსხმელმა **რობერტ ლევანდოვსკიმ** პირველად დაადასტურა, რომ გაისად მიუნხენის „ბაიერნში“ გადავა. გერმანელი ჟურნალისტის კითხვაზე, გამოცხადდება თუ არა მისი ტრანსფერი იანვარში, 25 წლის ლევანდოვსკიმ ასე უპასუხა: *„დიახ, რადგან კონტრაქტის ოფიციალურად გაფორმება სწორედ იანვარშია შესაძლებელი.“*

მანამდე პოლონური საფეხბურთო ჟურნალი “პილკა ნოჟნა” წერდა, ლევანდოვსკის „ბაიერნში“ გადასვლის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად 2014 წლის 2 იანვარს დადასტურდებაო. როგორც ირკვევა, რობერტი „ბაიერნთან“ 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. შეგახსენებთ, რომ „დორტმუნდთან“ ხელშეკრულების ვადა მას მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნში“ უფასოდ გადავა.



რობერტ ლევანდოვსკი

ამბები

## მანჯუკიჩი: პეპთან პრობლემები მქონდა!

„ბაიერნის“ თავდამსხმელმა **მარიო მანჯუკიჩმა** აღიარა, რომ სეზონის დასაწყისში რეკორდმაისტერის ახალ თავკაც **ხოსეპ გვარდიოლასთან** პრობლემები შეექმნა.

*„პეპი და მე თავიდან ერთმანეთს ვერ ვუგებდით. ვფიქრობ, ეს დიდწილად იმის ბრალი იყო, რომ გვარდიოლას სისტემასთან შესაგუებლად დრო მჭირდებოდა. მას უნდა, რომ გუნდმა ძალიან სწრაფი ფეხბურთი ითამაშოს, ფეხბურთელი ბურთს მხოლოდ ერთხელ ან მაქსიმუმ ორჯერ შეეხოს და რომ ფეხბურთელებმა პოზიციები ხშირად ცვალონ. ჩემს შემთხვევაში პრობლემა ის იყო, რომ ხშირად ფლანგ ზე გადასვლა მიწევდა, მე კი ფლანგ ზე მაინცდამაინც კარგად ვერ ვთამაშობ,“* - განაცხადა „გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში 27 წლის მანჯუკიჩმა, რომელიც ფორმაში ნელ-ნელა შევიდა და ბუნდესლიგის 6 ტურის შემდეგ 4 გოლი აქვს გატანილი.

გვარდიოლა მანჯუკიჩს მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს, ხორვატი თავდამსხმელი კი ამბობს, რომ კარიერის მიუნხენურ გრანდში დასრულება უნდა: *„მხოლოდ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, კარიერის ბოლომდე ბაიერნში ვითამაშებდი!“* - შეგახსენებთ, რომ მარიოს „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2016 წლამდე აქვს გაფორმებული.



მარიო მანჯუკიჩი ბაიერნში ბედნიერია

## ვიეირინია მძიმედ დაშავდა

„ვოლფსბურგს“ გერმანიის თასის მეორე ეტაპზე, „აალენთან“ გამარჯვება (2:0) ძვირად დაუჯდა: მატჩის 31-ე წუთზე „მგლების“ ნახევარმცველი **ვიეირინია** მძიმედ დაშავდა - პორტუგალიელმა მარცხენა მუხლის მყესი გაიწყვიტა და „ვოლფსბურგს“ 6 თვე ველარ დაეხმარება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ინგლისი. ლიგის თასი. გამოხმაურება

# ფავორიტთა მრისხანება



„ასტონ ვილა“-„ტოტენჰემის“ შეხვედრის ყველაზე სახალისო მომენტი: იან ვერტონგენი ნიკლას ჰელენიუსის წინააღმდეგ

**ვესტ ჰემი-კარდიფი 3:2**

**გოლები:** 1:0 მორისონი (1), 2:0 ჯარვისი (8), 2:1 ნუნი (45), 2:2 ოდემვინგე (76), 3:2 ვას ტე (88)

**ვესტ ჰემი:** ადრიანი, ლ. ჩემბერსი, ტომკინსი, კოლინსი, მაკარტი (82. რაცი), ჯარვისი, მორისონი (58. დიამე), მ. ტეილორი, კოლისონი, ვას ტე, მაიგა (46. პეტრიჩი)

**კარდიფი:** ლუისი, კონოლი, ჰადსონი, ბრეიფორდი (46. მაკნაუტონი), ო. ჯონი, ოდემვინგე, მატჩი, კაუი, ნუნი, ჯ. მეისონი, (56. ტ. სმიტი), მაინარდი (90. გესტედე)

**ფულჰემი-ევერტონი 2:1**

**გოლები:** 0:1 ნეისმიტი (12), 1:1 ბერბატოვი (54), 2:1 ბენტი (68)

**ფულჰემი:** სტოკდეილი, ცვეროტიჩი, ჰანგელანდი, სენდეროსი, რიისე (64. ამორებიეტა), ტაარაბტი (65. ბენტი), კარაგუნისი, პარკერი, კაჩანიკლიჩი, კასამი, ბერბატოვი

**ევერტონი:** რობლესი, კოულმანი, ჰეიტინგა (69. ბარი), დისტენი, სტოუნსი, ოვიედო, მაკარტი, გიბსონი (69. იაგიელკა), დეულოფეუ, ნეისმიტი (80. მირალიაში), ლუკაკუ

**ასტონ ვილა-ტოტენჰემი 0:4**

**გოლები:** 0:1 დეფო (45), 0:2 პაულინიო (49), 0:3 შადლი (86), 0:4 დეფო (90)

**ასტონ ვილა:** სტირი, ლოუტონი, ვლაარი, ბეიკერი, ე. ბენეტი, ელ-აჰმადი (46. ბოური),, სილა, ოლბრაიტონი, ბაკუნა, ტონევი (82. რობინსონი), კოზაკი (46. ჰელენიუსი)

**ტოტენჰემი:** ფრიდელი, უოლკერი (80. დოუსონი), კირიკეში, ვერტონგენი, ფრაიერსი, პაულინიო (64. დემბელე), სანდრო, ლამელა, ჰოლტბი, დეფო, კეინი (73. შადლი)

**მანჩესტერ სიტი-უიგანი 5:0**

**გოლები:** 1:0 ჯეკო (33), 2:0 იოვეტიჩი (60), 3:0 ი. ტურე (76), 4:0 იოვეტიჩი (83), 5:0 ხ. ნავასი (86)

**მანჩესტერ სიტი:** პანტილიმონი, რიჩარდსი, ბოაიტა, ლესკოტი, კლიში, ფერნანდინიო (46. ი. ტურე), ხ. გარსია, მილნერი, მ. ლოპეში (71. ხ. ნავასი), იოვეტიჩი, ჯეკო (79. ნეგრედო)

**სუინდონი-ჩელსი 0:2**

**გოლები:** 0:1 ტორესი (29), 0:2 რამირესი (35)

**ჩელსი:** შვარცერი, ასპილიკუეტა, კეჰილი, ლუისი, ბერტრანი, ვან გინკელი (10. რამირესი - 46. ტერი), ესიენი, დე ბრუინი (78. ბა), მატა, ვილიანი, ტორესი

**ჰალი-ჰადერსფილდი 1:0**

**გოლი:** 1:0 პროშვიტცი (59)

ჰალი: ჰარპერი, როსენიორი, ბრუსი, ფაიე, დადევჯონი, ბოიდი, მეილერი, ქუინი (74. ჰენდერსონი), ფრაიატი (68. გედო), პროშვიტცი, საგბო

**საუთჰემპტონი-ბრისტოლ ს. 2:0**

**გოლები:** 1:0 გ. რამირესი (15), 2:0 ჰოიველდი (83)

**საუთჰემპტონი:** კ. დევისი, კ. ჩემბერსი, იოშიდა, ჰოიველდი, ფოქსი, ს. დევისი (87. როუი), კორკი, ვორდ-პრაუსი, გ. რამირესი, დო პრადო (74. რიდი), ტ. ლი (74. ჯ. როდრიგესი)

**სანდერლენდი-პიტერბორო 2:0**

**გოლები:** 1:0 ჯაკერინი (32), 2:0 რობერჟი (74)

**სანდერლენდი:** ვესტვუდი, გ. გარდნერი, ოში (61. რობერჟი), კუელიარი, კოლბეკი, კი, ლარსონი, ა. ჯონსონი, ლ. კატერმოული, ჯაკერინი (81. ბორინი), ალტიდორი (85. უიკჰემი)

**უოტფორდი-ნორვიჩი 2:3 (დ.დ)**

**გოლები:** 1:0 აკუნა (23), 2:0 ფარაონი (55), 2:1 მერფი (77), 2:2 ჰუპერი (90), 2:3 ჰუპერი (116)

**ნორვიჩი:** ბენი, უიტაკერი, რ. მარტინი, რ. ბენეტი, გარიდო (46. ელმანდერი), რედმონდი, ბ. ჯონსონი (67. მერფი), ტეტი, ოლსონი, ჰულაჰანი (74. ფერი), ჰუპერი

**ბარნლი-ნოტინგემ ფორესტი 2:1**

**გოლები:** 0:1 დერბიშირი (24), 1:1 ინგსი (45), 2:1 ინგსი (68)

**ლესტერი-დერბი 2:1**

**გოლები:** 0:1 მარტინი (42), 1:1 ნოკერტი (78), 2:1 დრინკუოტერი (81)

## დაუნდობელი სიტი

„მანჩესტერ სიტი“-„უიგანის“ თამაშის დაწყებამდევე ცხადი იყო, რომ სტუმარს მიზერული შანსი ჰქონდა პრემიერლიგის ერთ-ერთ ფავორიტთან. მით უფრო, რომ უქმეებზე „ქალაქელებმა“ დიდი ანგარიშით მოგების გემო გაიხსენეს და თანაც ვისთან? - „მანჩესტერ იუნაიტედთან“. **მანუელ პელეგრინიმ** სასტარტო შემადგენლობა გადაახალისა და ქვედალიგელს მოტივირებული ფეხბურთელები დაუპირისპირა. განსაკუთრებით დაუნდობელი გახდა „სიტი“ მეორე ტაიმში, როცა „უიგანს“ ძალა უკვე გამოცლილი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ახალ გუნდში პირველად გამოიჩინეს თავი **სტევან იოვეტიჩმა** და **ხესუს ნავასმა**. შედეგი სახეზეა - 5:0.

**მანუელ პელეგრინი** (მანჩესტერ სიტი): „ფეხბურთელებისგან თამაშამდე მოვითხოვე, რომ ზუსტად ისე ეთამაშათ, როგორც ეს კვირას გავაკეთეთ „იუნაიტედთან“. შემადგენლობას რამდენჯერაც გინდა იმდენჯერ შეცვლი, ამ დროს მთავარია, თამაშის ხარისხი, მეტოქისადმი დამოკიდებულება და ინტენსიურობა შეინარჩუნო. ერთ კვირაში სამი თამაში ჩავატარეთ და 12 გოლი გავიტანეთ. ეს შესანიშნავი შედეგია“.

**ოუენ კოილი** (უიგანი): „წინა თამაშისგან განსხვავებით, ძირითადში ათი ახალი ფეხბურთელი დადგა, მაგრამ ამანაც არ გვიშველა. იმის მიუხედავად, თუ ვინ თამაშობს, ყოველთვის მოსაგებად ვიბრძვით, თუმცა „სიტისთან“ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია. კარგია, რომ ჩემი ფეხბურთელები ტრავმებს მაინც გადაურჩნენ. რაც მთავარია, დღეს მათ კარგი გაკვეთილი მიიღეს“.

## ჩელსის დუბლიც მაგარია

ლიგა 1-ის „სუინდონმა“ საკუთარ „ქაუნთი გრაუნდზეც“ კი ვერაფერი გააწყო „ჩელსისთან“, ვინც, **ჟოზე მოურინიოს** დაპირებისამებრ, სათამაშოდ „დუბლიორებით“ გამოვიდა. პორტუგალიელმა „ფულჰემთან“ პრემიერლიგის მატჩისგან განსხვავებით, სასტარტოში ათი ახალი მოთამაშე დააყენა. მათ შორის მის მიერ ათვალწუნებული ესპანელები **სესარ ასპილიკუეტა, ხუან მატა** და **ფერნანდო ტორესი**. უკანასკნელმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ შიდა ინგლისურ ტურნირებში პირველად გაიტანა (მატას პასით), რასაც შემდეგ საგოლე გადაცემამაც მიაყოლა. სამწუხაროა, რომ ტრავმის გამო „ჩელსიმ“ ორი ფეხბურთელი დაკარგა. ჯერ კიდევ შეხვედრის დებიუტში მუხლი სერიოზულად დაიზიანა **მარკო ვან გინკელმა**, შემდეგ კი მის ნაცვლად შესული რამირესიც დაზარალდა. ბრაზილიელს საშიში არაფერი სჭირს. ის მაქსიმუმ ერთ კვირას თუ იუქმებს.

**სტივ ჰოლანდი** (ჩელსი, მთავარი მწვრთნელის ასისტენტი): „ვერ ვიტყვი, რომ თამაში ჩვენთვის იდეალურად წარიმართა. როგორც ჩანს, ვან გინკელს სერიოზული ტრავმა აქვს. ყოველ შემთხვევაში წინასწარი პროგნოზი ასეთია. რამირესის შეცვლის მიზეზი კი ბარძაყის კუნთის დაჭიმვა გახდა. მესმის, რომ ის, რაც მატას თავს ხდება, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ხუანმა დღეს ძალიან კარგად ითამაშა. მან შეტევის გარდა, დიდი სამუშაო გასწია დაცვაშიც და ბერტრანს მუდმივად ეხმარებოდა ფლანგის კონტროლში. რასაც ჟოზე ფეხბურთელებისგან ითხოვს, მარტო მატას არ ეხება. კმაყოფილები ვართ ტორესის გარჯითაც. ის ჭკვიანურად ირჩევდა პოზიციას და მხოლოდ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. სწორედ ამას ველოდებით და ვითხოვთ ყველასგან. უქმეებზე პრემიერლიგაში „ტოტენჰემთან“ დერბი გველის. ამ თემაზე ლაპარაკი ნაადრევია. ხვალინდელ დღეს მთლიანად „სუინდონთან“ თამაშის ანალიზს მივუძღვნით და მხოლოდ ამის მერე დავიწყებთ მზადებას შემდეგისთვის“.

## ტრუსებში წვდა

ანგარიშიდან გამომდინარე „ასტონ ვილა“-„ტოტენჰემის“ შეხვედრაზე დიდხანს შეჩერება არ ღირს. უბრალოდ შეგახსენებთ, რომ „დეზების“ ბოლო სტუმრობა ამავე სტადიონზე შარშან ანალოგიური ანგარიშით დასრულდა. არის კიდევ ერთი მსგავსება, **ჯერმეინ დეფომ** მაშინაც მოახერხა თავის გამოჩენა. ჩრდილოლონდონელებმა მეტოქეს ამჯერადაც ყველა კომპონენტში აჯობეს. „სიტისა“ და „ჩელსის“ მსგავსად სერიოზულად გადაახალისა შემადგენლობა **ანდრე ვილაშ ბოაშმაც**, ვინც თამაშამდე გამოტყდა, რომ მისთვის ლიგის თასი სეზონის პრიორიტეტებს შორის არ შედიოდა. „დეზების“ რიგებში საუკეთესო იყო **ლუის ჰოლტბი**. გერმანელმა სამი საგოლე გადაცემა გააკეთა და სერიოზული განაცხადი გააკეთა „ჩელსისთან“ შეხვედრის წინ. მეორე ტაიმის სტარტზე თამაშის ყველაზე სახალისო ეპიზოდის მომსწრენი გავხდით. **იან ვერტონგენი** შეცვლაზე შესულ **ნიკლას ჰელენიუსს** ვარდნისას ფორმაზე ჩამოეკიდა და ფეხბურთელი საცვლების ამარა დატოვა. ამის მიუხედავად დანიელი არ დაიბნა და დარტყმა მაინც მოასწრო, თუმცა კი მიზანს ვერ მიაღწია.

**ანდრე ვილაშ ბოაში** (ტოტენჰემი): „შარშან აქ მარტო იმიტომ არ მოგვიგია, რომ ბეილმა სამჯერ გაიტანა. ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო გუნდისა, რომელიც ისედაც ძალიან ძლიერად თამაშობდა. მიმდინარე სეზონში ჩემს გუნდს უპირველესად გუნდური პასუხისმგებლობის შეგრძნება გაუღვივდა და მას წელსაც არანაკლებ სურს წარმატების მიღწევა, ვიდრე ბეილთან ერთად უნდოდა. თავის გამოჩენის შანსი ახლა სხვა ფეხბურთელებს აქვთ“.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები



გუსტავო პოიეტი

## ფავორიტი პოიეტია

მას შემდეგ, რაც **ჯანფრანკო ძოლამ** და **რობერტო დი მატეომ** „სანდერლენდში“ მუშაობაზე უარი თქვეს, მასმედიამ **პაოლო დიკანიოს** მემკვიდრეობის გადაბარების უმთავრეს პრეტენდენტად **გუსტავო პოიეტი** გამოაცხადა. 45 წლის ურუგვაელი ბოლოს „ბრაიტონში“ მუშაობდა. მისმა გუნდმა 2012/13 წლების სეზონი ჩემპიონშიპში მე-4 ადგილზე დაასრულა, თუმცა შემდეგ პლეი ოფში „კრისტალ პალასთან“ დამარცხდა (0:0 გასვლაზე, 0:2 შინ). „გუსი“ პოსტიდან გადადგა და მას მერე უმუშევარია.

## სილვას კიდევ ერთი კვირა სჭირდება

„მანჩესტერ სიტის“ 27 წლის ესპანელი ნახევარმცველი **დავიდ სილვა** მოედანზე უკანასკნელად 31 აგვისტოს „ჰალ სიტისთან“ გამოჩნდა. მას მერე ფეხბურთელი ორჯერ მოხვდა ესპანეთის ნაკრების განაცხადში ფინეთისა და ჩილეს წინააღმდეგ, თუმცა არ უთამაშია. სილვა ფეხის ტრავმამ შეაწუხა. „ექიმებმა უკეთ იციან დავიდის ჯანმრთელობის ამბავი, თუმცა მათ გარეშეც შემიძლია გითხრათ, რომ ჩემპიონატში „ასტონ ვილასთან“ ის არ იქნება. 2 ოქტომბერს კი „ბაიერნთან“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრისთვის, წესით, მზად უნდა იყოს,“ - განაცხადა „ქალაქელთა“ თავკაცმა მანუელ პელეგრინიმ.

**ლევან ბიბილაშვილი**



დავიდ სილვა

ჩემპიონთა ლიგა

# უეფამ დინამო დასაჯა

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ჩემპიონთა ლიგის მატჩებში რასისტული შეძახილებისთვის ხორვატიის ჩემპიონი, ზაგრების „დინამო“ დასაჯა.

ხორვატებს მხოლოდ ეს არ ედებათ ბრალად, ასევე „დინამომ“ ყვითელი ბარათების ლიმიტს (5 და მეტი მატჩში) გადააჭარბა, რასაც ავტომატურად მოჰყვება საჯარიმო სანქცია, ხოლო გუნდის ფანებმა პირო-ტექნიკით „გამოიჩინეს თავი“ ტრიბუნებზე.

საერთო ჯამში, „დინამომ“ სამ შეხვედრაში დაარღვია უეფას წესები - ჩემპიონთა ლიგის III საკვალიფიკაციო მატჩში შინ მოლდოვური „შერიფის“ წინააღმდეგ, და პლეი ოფის ორივე შეხვედრაში ავსტრიულ „აუსტრიასთან“.

ხორვატიის ჩემპიონი მომავალ ორ საშინაო საერთაშორისო მატჩს ცარიელი ტრიბუნების წინაშე გამართავს. კლუბი 70,2 ათასი ევროთიც დაჯარიმდა.

უეფამ თავის პრიორიტეტულ მისიად გაიხადა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ამიტომ, განსაკუთრებით ისჯება რასისტული ქცევები ტრიბუნებსა თუ მოედნებზე.

სხვათა შორის, ამას წინათ უეფას გადაწყვეტილებით, 6 კლუბს 2013/14 წლების სეზონში ევროთასებზე გამომუშავებული ჰონორარი აღარ მიეცემა, რადგან ამ კლუბებს ფინანსური დარღვევები აქვთ (ძირითადად დავალიანებები ყოფილ ფეხბურთელებთან თუ მომსახურე პერსონალთან).

აღსანიშნავია, რომ ამ კლუბებში **გიორგი ილურიძის** „ჰაიდუკიცაა“ (ხორვატია). აქვე გეტყვით სხვა კლუბებსაც, რომელთაც აღარ მიეცემათ ჰონორარი: „პლოეშტი“ (რუმინეთი), „მეტალურგი“ დონეცკი (უკრაინა), „ზრინსკი“ (ბოსნია), „სკონტო“ (ლატვია) და „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# კობი



გასულ უქმეებზე **ლევან კობიაშვილმა** ბუნდესლიგაში ერთხელაც ითამაშა და გაგვიხარდა - ის ერთადერთი ქართველია, ელიტურ ლიგაში ისევ რომ თამაშობს. კობიაშვილმა ეს დაიმსახურა...

ის არ ჰგავს იმ თაობას, ვინც ახლა თამაშობს ნაკრებში, არა მარტო იმიტომ, რომ სხეული ნაირგვარი ტატუებით არ აქვს მოხატული და შარდენის ქუჩაზე პისტოლეტით არ მიდის გასართობად. კობიაშვილი არ ჩარჩა ვლადიკავკაზის „ალანიაში" და ბევრად უფრო სახელიან თუ მდიდარ რუსულ გუნდში გადასვლას გერმანია ამჯობინა.

კობიაშვილი სტაბილურობის მაგალითია ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის. ის რესპექტაბელური მოთამაშეა გერმანიაში, სადაც საკუთარი დოგმები აქვთ - მსაჯის პატაკი ყოველთვის სწორია.

**ვოლფგანგ შტარკისა** და კობიაშვილის ამბავი ჩვენებურისთვის ცუდად დასრულდა - ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია ისე მისცეს, ბრალეულობა ვერ დაუმტკიცეს. 35 წლის ფეხბურთელს ასეთი რამ რომ შეემთხვევა, ძალაუნებურად გაუძლიერდება კარიერის დასრულების სურვილი, მაგრამ კობიაშვილი სხვა შემთხვევაა და კიდევ ამიტომ არის სამაგალითო.

ის ნაკრებშიც სტაბილური იყო, თავის საქმეს კარგად აკეთებდა. შესაძლოა, მისგან მეტსაც ველოდით ნაკრებში, მაგრამ საქართველოს ეროვნული გუნდი ხომ ძალიან თავისებურია, რომლის ავადობის მიზეზი დღემდე გამოსაკვლევია.

წინა შესარჩევში საქართველომ ხორვატიას გემრიელად რომ მოუგო, ბოლო წუთზე გოლი სწორედ კობიაშვილმა გაიტანა და, თითქოს, ასე დაემშვიდობა ქართველ გულშემატკივარს.

კაცმა 100 მატჩი ითამაშა ეროვნულ გუნდში და მწვრთნელმა ნაკრებიდან ისე გაუშვა, ძალიან გულნატკენი დარჩა. ამით მხოლოდ კობიაშვილს კი არ მოექცნენ ცუდად, არამედ საკუთარ თავს და ყველას, ვისაც გული შესტკივა ეროვნულ გუნდზე.

ჩვენთან საფეხბურთო კულტურა ჯერაც დაბალია, ალბათ იმიტომაც, რომ კობიაშვილისნაირი ფეხბურთელი დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთში ძალიან ცოტა გვყავდა - წარმატებული, სამაგალითო და ადამიანური თვისებებითაც გამორჩეული.

ამასწინათ, ერთმა ჩემმა მეგობარმა გაიხსენა კობიაშვილის გოლი საჯარიმო დარტყმით, თბილისში ირლანდიას რომ გაუტანა ფლანგიდან. ის ჯერჯერობით ერთადერთი ქართველია, ჩემპიონთა ლიგაში ჰეთ-თრიკიც რომ შეასრულა...

კობიაშვილი იყო **ფოლკერ ფინკეს** და **ოტო რეჰაგელის** ფავორიტი, უმუშავია **იუპ ჰაინკესთან** და **ფელიქს მაგათთან**, უთამაშია სახელიანი ფეხბურთელების მხარდამხარ და ვარსკვლავების წინააღმდეგ...

კობიაშვილი ფეხბურთელის კარიერას მალე დაასრულებს. ტრივიალურად კი გამომდის, მაგრამ სხვანაირად ვერც იქნება - ასეთი კაცი ქართული ფეხბურთის სამსახურში უნდა ჩადგეს, ის სჭირდება საქართველოს, სადაც ალბათ აღარ მოხდება ისე, რომ 100 კეპის მომნაგრებელი ფეხბურთელი უტიფრად გაუშვან ეროვნული გუნდიდან...

**დავით თავართქილაძე**

## ლევან კობიაშვილი

| | |
|---|---|
| დაიბადა: | 1977 წლის 10 ივლისს |
| დაბადების ადგილი: | თბილისი |
| სიმაღლე | 183 სმ |
| პოზიცია | ნახევარმცველი |



კარიერა

საკლუბო

| წელი | გუნდი | თამაში | გოლი |
|---|---|---|---|
| 1993-1994 | რუსთავი (საქ) | 48 | 0 |
| 1995-1998 | დინამო (საქ) | 36 | 3 |
| 1997 | ალანია (რუს) | 21 | 5 |
| 1998-2003 | ფრაიბურგი (გერ) | 149 | 30 |
| 2003-2010 | შალკე 04 (გერ) | 168 | 9 |
| 2010-დან | ჰერტა (გერ) | 90 | 6 |
| **სანაკრებო** | | | |
| 1996-2011 | საქართველო | 100 | 12 |













## ყველა გოლი ნაკრებში

| № | თარიღი | სტადიონი | მეტოქე | ანგ. გოლისას | საბოლ. ანგ. | შეჯიბრება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | 6 ივნისი 2001 | ნეპშტადიონი, ბუდაპეშტი | უნგრეთი | 1:4 | 1:4 | მუნდიალი-2002, შესარჩევი |
| 2. | 27 მარტი 2002 | მიხეილ მესხი, თბილისი | სამხრეთ აფრიკა | 1:0 | 4:1 | ამხანაგური |
| 3. | 29 მარტი 2003 | მიხეილ მესხი, თბილისი | ირლანდია | 1:1 | 1:2 | ევრო-2004, შესარჩევი |
| 4. | 4 ივნისი 2005 | ქემალ სტაფა, ტირანა | ალბანეთი | 2:3 | 2:3 | მუნდიალი 2006, შესარჩევი |
| 5. | 16 აგვისტო 2006 | სვანგასკარო, ტოფტირი | ფარერები | 4:0 | 6:0 | ევრო-2008, შესარჩევი |
| 6. | 15 ნოემბერი 2006 | ბორის პაიჭაძე, თბილისი | ურუგვაი | 1:0 | 2:0 | ამხანაგური |
| 7. | | | | | 2:0 | |
| 8. | 11 ოქტომბერი 2008 | ბორის პაიჭაძე, თბილისი | კვიპროსი | 1:1 | 1:1 | მუნდიალი 2010, შესარჩევი |
| 9. | 28 მარტი 2009 | ანტონის პაპადოპულოსი, ლარნაკა | კვიპროსი | 1:2 | 1:2 | მუნდიალი 2010, შესარჩევი |
| 10. | 14 ოქტომბერი 2009 | ვასილ ლევსკი, სოფია | ბულგარეთი | 2:6 | 2:6 | მუნდიალი 2010, შესარჩევი |
| 11. | 3 მარტი 2010 | ბორის პაიჭაძე, თბილისი | ესტონეთი | 1:0 | 2:1 | ამხანაგური |
| 12. | 26 მარტი 2011 | ბორის პაიჭაძე, თბილისი | ხორვატია | 1:0 | 1:0 | ევრო-2012, შესარჩევი |

| კლუბი | სეზონი | ლიგა | | თასი | | ევროპა | | ჯამი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თამ. | გოლი | თამ. | გოლი | თამ | გოლი | თამ | გოლი |
| ჰერტა (გერ) | 2011-12 | 33 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 36 | 2 |
| | 2010-11 | 32 | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 34 | 3 |
| | 2009-10 | 16 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 17 | 0 |
| ჯამი | | 81 | 5 | 5 | 0 | 1 | 0 | 87 | 5 |
| შალკე (გერ) | 2009-10 | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 |
| | 2008-09 | 29 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 37 | 0 |
| | 2007-08 | 13 | 1 | 2 | 0 | 5 | 0 | 20 | 1 |
| | 2006-07 | 29 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 34 | 4 |
| | 2005-06 | 32 | 1 | 3 | 0 | 13 | 4 | 48 | 5 |
| | 2004-05 | 32 | 3 | 7 | 0 | 13 | 3 | 52 | 6 |
| | 2003-04 | 29 | 0 | 1 | 0 | 8 | 0 | 38 | 0 |
| ჯამი | | 168 | 9 | 20 | 1 | 45 | 7 | 233 | 17 |
| ფრაიბურგი (გერ) | 2002-03 | 28 | 10 | 3 | 0 | 0 | 0 | 31 | 10 |
| | 2001-02 | 31 | 4 | 3 | 1 | 6 | 1 | 40 | 6 |
| | 2000-01 | 31 | 7 | 4 | 2 | 0 | 0 | 35 | 9 |
| | 1999-2000 | 33 | 6 | 4 | 1 | 0 | 0 | 37 | 7 |
| | 1998-99 | 26 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 27 | 3 |
| | 1997-98 | 15 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | 1 |
| ჯამი | | 164 | 31 | 15 | 4 | 6 | 1 | 185 | 36 |
| ალანია (რუს) | 1997 | 21 | 5 | 0 | 0 | 1 | 0 | 22 | 5 |
| ჯამი | | 21 | 5 | 0 | 0 | 1 | 0 | 22 | 5 |
| დინამო (საქ) | | | | | | | | | |
| | 1997-98 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 |
| | 1996-97 | 7 | 3 | 0 | 0 | 4 | 0 | 11 | 3 |
| | 1995-96 | 27 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 27 | 0 |
| ჯამი | | 36 | 3 | 0 | 0 | 4 | 0 | 40 | 3 |
| რუსთავი (საქ) | 1994-93 | 25 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 0 |
| | 1993-94 | 23 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 0 |
| ჯამი | | 48 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 48 | 0 |
| კარიერა, ჯამი | | 518 | 53 | 40 | 5 | 57 | 8 | 615 | 66 |

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. V ტური

# რომა გაფრინდა, ნაპოლიმ დაამუხრუჭა

მეხუთე ტურის შემდეგ სერია A-ს ერთპიროვნული ლიდერი გამოუჩნდა - „რომა“, რომელმაც გენუაში „სამპდორიას“ მოუგო (პირველად, 2007/08 წლების სეზონის შემდეგ), გუნდს, რომელსაც საკუთარ მოედანზე ჯერ გოლი არ გაუტანია. თუმცა ამჯერზე ეს უფრო „ჯალოროსის“ დამსახურებაა. **რუდი გარსიამ** დაცვა დაალაგა და შედეგიც სახეზეა. 5 მატჩი, 5 გამარჯვება - „რომას“ ასეთი სტარტი არასოდეს ჰქონია!

სენსაცია მოხდა ნეაპოლში, სადაც **რაფა ბენიტესის** „აძური“ თითქოსდა მკვდარ „სასუოლოს“ ვერ გაუმკლავდა - 1:1. ფაქტია - შემადგენლობის როტაციამ „ნაპოლის“ 2 ქულა დააკარგვინა.

„იუვენტუსმა“, რომელმაც ასევე სახეცვლილი შემადგენლობით ითამაშა, კიეველი **ალესანდრო ბერნარდინის** ავტოგოლის წყალობით მოიგო და „ნაპოლისთან“ მეორე-მესამე ადგილებს იყოფს.

მორიგი დრამა გათამაშდა „მილანის“ მონაწილეობით. ისევე, როგორც „ტორინოსთან“, **მასიმო ალეგრის** გუნდი ამჯერადაც 2 ბურთით აგებდა, მაგრამ „ბოლონიას“, ეტყობა, იმდენად არ სჯეროდა გამარჯვების, ბოლო წუთებზე ორი გოლი გაუშვა - 3:3.

### ბოლონია-მილანი 3:3

**გოლები:** 0:1 პოლი (12), 1:1 ლაქსალტი (33), 2:1 ლაქსალტი (52), 3:1 კრისტალდო (61), 3:2 რობინიო (89), 3:3 აბატე (90)

**ბოლონია (4-3-2-1):** კურჩი - დარიჩი, ანტონსონი, მანტოვანი, მორლეო - პერესი (85. კრშინი), პაციენცა (65. დელა როკა), ხრიტოდულოპულოსი (78. სორენსენი) - დიამანტი, ლაქსალტი - კრისტალდო.

**მილანი (3-4-1-2):** აბიატი - აბატე, მექსე, საპატა - კონსტანტი, პოლი (90. ემანუელსონი), დე იონგი, ნოჩერინო (74. მუნტარი) - ბირსა (64. ნიანგი) - რობინიო, მატრი.

**გაფრთხილება:** პაციენცა, ხრიტოდულოპულოსი, მანტოვანი, დიამანტი - დე იონგი, ნიანგი

**კუთხური:** 5-9; **ჯარიმა:** ; **თამაშგარე:** 13-19; **კარში დარტყმა:** 15-16 (6-8); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 23 000

### კიევო-იუვენტუსი 1:2

**გოლები:** 1:0 ტერო (28), 1:1 კვალიარელა (47), 1:2 ბერნარდინი (65-საკ. კარში)

**კიევო (4-1-3-2):** პუჯონი - სარდო, ჩესარი, ბერნარდინი, დოს სანტოსი - დრამი - ბენტივოლიო, რიგონი, ესტიგარიბია (66. რადოვანოვიჩი) - პალოსკი (69. არდემანი), ტერო (87. პელისიერი).

**იუვენტუსი (3-4-1-2):** ბუფონი - ბარძალი, ოგბონა, კიელინი - ისლა (64. ლიხტშტაინერი), პოგბა, პირლო, მარკიზიო - პელუზო - კვალიარელა (75. ტევესი), ლორენტე (88. ვიდალი).

**გაფრთხილება:** დრამი, სარდო, ბენტივოლიო

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 5-18 (3-8); **ბურთის ფლობა:** 29%-71%.

**მაყურებელი:** 14 000

### ლაციო-კატანია 3:1

**გოლები:** 1:0 ედერსონი (4), 1:1 ბარიენტოსი (6), 2:1 ლულიჩი (39), 3:1 ერნანეში (90)

**ლაციო (4-2-3-1):** მარკეტი - კავანდა, სიანი, კანა, პერეირინია - ონაზი, ლედესმა - კანდრევა (89. გონსალესი), ედერსონი (76. ერნანეში), ლულიჩი - ფლოკარი (70. პერეა).

**კატანია (3-4-1-2):** ანდუხარი - ბელუში, ბირაგი, სპოლი - პ. ალვარესი, ალმირონი (76. ტახციდისი), პლაშილი, გუარენტე (58. ბოატენგი) - მონსონი - ბარიენტოსი, პეტკოვიჩი (58. ლეტო).

**გაფრთხილება:** კანა, ონაზი - ბელუში, ბარიენტოსი, პ. ალვარესი

**გაძევება:** ბელუში (61. კატანია)

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 29-10 (13-1); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 19 000

### ლივორნო-კალიარი 1:1

**გოლები:** 1:0 ლუჩი (23), 1:1 იბარბო (53)

**ლივორნო (3-4-1-2):** ბარდი - ჩეკერინი, ემერსონი, კოდა - სკიატარელა, ლუჩი, დანკანი, მბაიე (75. ლამბრუგი) - გრეკო (83. რინაუდო) - ემეგარა (55. ბელინგერი), პაულინიო.

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი - პერიკო, როსეტინი, ასტორი, აველარი - კონტი, დესენა (59. კაბრერა), ნაინგოლანი - ეკდალი (79. ერიქსონი) - ნენე (პინილია, 65), იბარბო.

**გაფრთხილება:** ლუჩი, დანკანი - იბარბო, დესენა, პერიკო, როსეტინი

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 15-8; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 10-20 (3-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 18 000

### ნაპოლი-სასუოლო 1:1

**გოლები:** 1:0 ჯემაილი (15), 1:1 ძაძა (20)

**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა - მესტო, კანავარო, ფერნანდესი, არმერო - ინლერი, ჯემაილი - პანდევი (62. კალიეხონი), ჰამშიკი, მერტენსი (75. ინზინიე) - იგუაინი.

**სასუოლო (4-3-3):** პეგოლო - ანტეი (79. როსინი), აჩერბი, ბიანკო, ლონგი - კურტიჩი, მანიანელი, ლარიბი - სკელოტო (57. მარძორატი), ძაძა, ბერარდი (84. მისიროლი).

**გაფრთხილება:** ფერნანდესი, ინლერი - მარძორატი, ლარიბი

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 18-10; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 19-17 (8-6); **ბურთის ფლობა:** 72%-28%.

**მაყურებელი:** 33 000

### პარმა-ატალანტა 4:3

**გოლები:** 1:0 მესბა (19), 1:1 ბონავენტურა (20), 2:1 პაროლო (28), 3:1 როზი (35), 4:1 პაროლო (40), 4:2 დენისი (44), 4:3 ლავაია (79)

**პარმა (3-4-1-2):** მირანტე - ბენალუანი, მენდესი (80. ფელიპე), ლუკარელი - როზი, გარგანო, პაროლო, მარკიონი - მესბა (84. გობი) - ამაური, კასანო (62. ნ. სანსონე).

**ატალანტა (3-4-2-1):** კონსილი - სტენდარდო, იეპესი, კანინი (46. მარილუნგო) - რაიმონდი (68. ლივაია), კარმონა, ბრიენცა (61. მორალესი), ჩიგარინი - დელ გროსო, ბონავენტურა - დენისი.

**გაფრთხილება:** მესბა, ობი, ბენალუანი, მარკიონი - რაიმონდი, სტენდარდო, დელ გროსო, იეპესი

**გაძევება:** ამაური (53. პარმა)

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 22-17; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 14-12 (6-4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 12 000

### სამპდორია-რომა 0:2

**გოლები:** 0:1 ბენატია (65), 0:2 ჟერვინიო (89)

**სამპდორია (3-4-2-1):** და კოშტა - გასტალდელო, პალომბო, კოსტა (83. ბარილა) - დე სილვესტრი (74. პოცი), ობიანგი, კრსტიჩიჩი, რეჯინი - ჯ. სანსონე, ვშოლეკი (62. ბიარნასონი) - გაბიადინი.

**რომა (4-3-3):** დე სანკტისი - მაიკონი (35. დოდო), ბენატია, ლეანდრო, ბალცარეტი - სტროოტმანი, დე როსი, პიანიჩი - მარკინიო (62. ტოტი), ჟერვინიო, ბორიელო (84. ფლორენცი).

**გაფრთხილება:** კრსტიჩიჩი, კოსტა, ბარილა - სტროოტმანი, ლეანდრო, ბორიელო

**გაძევება:** ბარილა (90. სამპდორია)

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 13-10 (3-4); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 25 000

### ტორინო-ვერონა 2:2

**გოლები:** 1:0 ჩერჩი (36-პენ), 1:1 ხუანიტო (44), 2:1 ჩერჩი (53), 2:2 მორასი (66-პენ)

**ტორინო (3-4-1-2):** პადელი - როდრიგესი, ბოვო, მორეტი - დარმიანი, ბაშა, ბელომო, ფარნერუდი (64. ელ ქადური) - დ'ამბროზიო - მეჯორინი (72; იმობილე), ჩერჩი (83. ბრიგი).

**ვერონა (4-3-3):** რაფაელი - კაჩატორე, მორასი, გონსალესი, ალბერტაცი (59. ჩირილიანო) - რომულო, ჟორჟინიო (83. დონადელი), ჰალფრედსონი - იანკოვიჩი, ხუანიტო (79. სალა), ტონი.

**გაფრთხილება:** ჩერჩი

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 11-7; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 11-7 (7-6); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 5 | 5 | 0 | 0 | 12-1 | 15 |
| 2. ნაპოლი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-4 | 13 |
| 3. იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-4 | 13 |
| 4. ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 13-1 | 10 |
| 5. ფიორენტინა | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 6. ლაციო | 5 | 3 | 0 | 2 | 9-8 | 9 |
| 7. ლივორნო | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 8 |
| 8. ტორინო | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 9. უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 10. ვერონა | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 11. კალიარი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-8 | 6 |
| 12. მილანი | 5 | 1 | 2 | 2 | 10-10 | 5 |
| 13. პარმა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |
| 14. ჯენოა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 15. კიევო | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 4 |
| 16. ბოლონია | 5 | 0 | 3 | 2 | 7-11 | 3 |
| 17. ატალანტა | 5 | 1 | 0 | 4 | 6-10 | 3 |
| 18. სამპდორია | 5 | 0 | 2 | 3 | 4-10 | 2 |
| 19. კატანია | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |
| 20. სასუოლო | 5 | 0 | 1 | 4 | 2-16 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 - ჩერჩი (ტორინო); 4 - ჰამშიკი (ნაპოლი), ჯ. როსი (ფიორენტინა); 3 - კალიეხონი (ნაპოლი), პაულინიო (ლივორნო), პალასიო (ინტერი), ტევესი (იუვენტუსი), ვიდალი (იუვენტუსი), ბალოტელი (მილანი), იგუაინი (ნაპოლი).

**დღეს**

**ინტერი-ფიორენტინა 22:45**

**დისკვალიფიკაცია:** პისარო (ფიო)

**ტრავმა:** კივუ, ძანეტი, კარისო (ინტ); კუადრადო, გომესი, ჰეგაზი (ფიო)

**ურთიერთშეხვედრები**

**სულ 150 თამაში: +61=50-39 (226-185)**

### სავარაუდო შემადგენლობა

**ინტერი (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი - კამპანიარო, რანოკია, ჟუანი - ჯონათანი, გუარინი, კამბიასო, ტაიდერი, ნაგატომო - რ. ალვარესი - პალასიო.

**ფიორენტინა (4-3-2-1):** ნეტო - ტომოვიჩი, როდრიგესი, სავიჩი, პასკუალი - აკვილანი, ამბროზინი, ბორხა ვალერო - ხოაკინი, მ. ფერნანდესი - ჯ. როსი.

ეს მატჩი ორივე გუნდისთვის სერიოზული ტესტია. არის კითხვები, რომელსაც ამ ეტაპზეც შეიძლება გაეცეს პასუხი - რეალურად რა პერსპექტივები შეიძლება ჰქონდეთ „ინტერსა“ და „ფიორენტინას“ ამ სეზონში? ისე, „ნერაძურიმ“ ერთი მძიმე გამოცდა უკვე ჩააბარა - საკუთარ მოედანზე „იუვენტუსს“ დაუზავდა მატჩში, რომელშიც 75-ე წუთზე დანინაურდა.

„ფიორენტინას“ ძლიერი მხარე კი, როგორც ჩანს, გასვლითი მატჩებია, რასაც **ვალტერ მაძარი** უთუოდ გაითვალისწინებს - **ვინჩენცო მონტელას** გუნდმა სტუმრად ყველა მატჩი მოიგო, მათ შორის, ევროპალიგაზეც - პორტუგალიურ „პაკუშ ფერეირასთან“.

„ინტერს“ **დიეგო მილიტო** გამოუჯანმრთელდა და კვირას „სასუოლოსთან“ დუბლიც გაახერხა. თუმცა დღეს სასტარტოში ალბათ არ იქნება - ამხელა პაუზის შემდეგ მაინცდამაინც „ფიორენტინასთან“ მისი დაყენება სარისკოდ მოჩანს.

„ფიორენტინას“ კი ჯერ ვერავინ უბრუნდება: დისკვალიფიცირებულ **დავიდ პისაროს** ეს მატჩიც აქვს გამოსატოვებელი, ტრავმირებულ **ხუან კუადრადოსა** და **მარიო გომესს** კი - ბევრად მეტი. სამაგიეროდ, ჩინებულ ფორმაშია **ჯუზეპე როსი**, რომელიც გუშინდელ ტურამდე ნეაპოლელ **მარეკ ჰამშიკთან** ერთად სერია A-ს თანაბომბარდირი იყო (იხილეთ V ტურის ტექნიკური შედეგები)...

და კიდევ ერთი, რაც აუცილებლად უნდა ითქვას - „ფიორენტინამ“ „ინტერთან“ ბოლო 12 გასვლითი მატჩიდან ყველა(!) წააგო.

**გიორგი ბელაშვილი**

ტოპ-5. სტატისტიკა

ახალწვეულთა საშუალო რაოდენობა მოედანზე ტოპ-ლიგებში




2013 წლის ზაფხულის სატრანსფერო სეზონი ერთ-ერთი ყველაზე ბობოქარი იყო ფეხბურთის ისტორიაში. სწორედ ახლა დამყარდა მსოფლიოს ახალი რეკორდი ტრანსფერებში - მადრიდის „რეალმა“ „ტოტენჰემის“ 24 წლის უელსელ ვარსკვლავ **გარეთ ბეილში** 100 მილიონი ევრო გადაიხადა.

კლუბებმა ბევრი ახალწვეული დაიმატეს, მაგრამ სხვა საქმეა, რამდენად იყენებენ მათ. „ფეხბურთის ობსერვატორიამ“ მორიგი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, „ოპტას“ სტატისტიკური ბაზის მიხედვით, სად რამდენ ახალწვეულს ათამაშებენ ევროპის ტოპ-5 ლიგებში.

# ჯენოადან კალიარიმდე

## ვინ როგორ იყენებს ახალწვეულებს

გაირკვა, რომ ყველაზე ხშირად ახალწვეულებს სერია A-ში იყენებენ - საშუალოდ იტალიის ჩემპიონატის ტურებში მოედნებზე 3,09 ახალწვეულია. შემდეგ მოდის ესპანეთი (2,95), საფრანგეთი (2,53) და ინგლისი (2,51). ყველაზე ცოტა ახალწვეულს იყენებენ გერმანული კლუბები - 2,48 ახალწვეული საშუალოდ ერთ თამაშზე ბუნდესლიგაში.

თუმცა თავად ჩემპიონატებშიც სხვადასხვანაირად არის საქმე კლუბებს შორის. სიტყვაზე, „ჯენოა“ საშუალოდ 7,12 ახალწვეულით თამაშობს და ეს ყველაზე დიდი მაჩვენებელია, ტოპ-5 ლიგებში. მაშინ, როცა „კალიარი“ პრაქტიკულად არ ათამაშებს ახალწვეულებს (0,06). თუკი „ჯენოას“ მაჩვენებელი ყველაზე მაღალია, „კალიარის“ ყველაზე დაბალია ტოპ-5 ლიგებში.

### ტოპ-10 კლუბი, სადაც ყველაზე მეტ ახალწვეულს ათამაშებენ

| | | |
|---|---|---|
| 1. ჯენოა | სერია A | 7,12 |
| 2. სასუოლო | სერია A | 6,23 |
| 3. ჰალი | პრემიერლიგა | 5,64 |
| 4. მონაკო | ლიგა 1 | 5,47 |
| 5. ელჩე | ლა ლიგა | 5,47 |
| 6. რომა | სერია A | 5,00 |
| 7. ტოტენჰემი | პრემიერლიგა | 5,00 |
| 8. ბეტისი | ლა ლიგა | 4,88 |
| 9. სელტა | ლა ლიგა | 4,85 |
| 10. სანდერლენდი | პრემიერლიგა | 4,84 |

საშუალოდ 1 ახალწვეულზე ნაკლებს ათამაშებენ: „არსენალი“, „ევერტონი“, „ნიუკასლი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ბარსელონა“, „ბორდო“, „ბაიერნი“, „ლაციო“ და „კალიარი“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## ბრეშას მწვრთნელის უცნაური ამბავი

უცნაურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი სერია B-ს კლუბ „ბრეშაში“ - გუნდის თავკაცი **მარკო ჯამპაოლო** უბრალოდ გაქრა და მხოლოდ სამი დღის თავზე გამოჩნდა. ჯამპაოლო მას შემდეგ გაქრა, რაც მას „ბრეშას“ უკმაყოფილო ფანებთან შეხვედრა ჰქონდა და მისი მისამართით ერთი-ორი უსიამოვნო ფრაზაც მოისმინა.

მწვრთნელი არ გამოჩენილა გუნდის ვარჯიშებზე, მან ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩიც გააცდინა! ჟურნალისტებს მწვრთნელის ძმა **ფედერიკო ჯამპაოლო** წარუდგა:

*„ის კარგად არის და ახლა თავის სახლში იმყოფება სანაპიროზე. მარკოს ტელეფონი ჰქონდა გამორთული ამიტომ, მისი პოვნა ვერავინ შეძლო. რაც შეეხება „ბრეშასთან“ დაკავშირებულ სიტუაციას, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ კლუბს გადადგომა სთხოვა და უარი უთხრეს“.*



მარკო ჯამპაოლომ კალენდარული მატჩი გააცდინა

## მილანში ბალოტელისთვის ფსიქოლოგის აყვანაზე დაფიქრდნენ

„მილანის“ ხელმძღვანელობა დაფიქრდა, ხომ არ აუყვანოს თავქარიან ფორვარდ **მარიო ბალოტელის** პერსონალური სპორტული ფსიქოლოგი.

შეგახსენებთ, რომ იტალიაში დაბრუნებული ბალოტელი ძირითადად კარგად იქცეოდა „მანჩესტერ სიტიში“ ყოფნისგან განსხვავებით, მაგრამ მე-4 ტურის მატჩში „ნაპოლის“ წინააღმდეგ აურია:

მან ჯერ თამაშის მერე წითელი ბარათი მიიღო, შემდეგ კი - 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია. ახლა კიდევ ერთი სკანდალი აგორდა, რადგან ბალოტელი რეფერის მოკვლით დამუქრებია, რის გამოც მას შეიძლება სასჯელი დაუმძიმონ.

ამიტომაც, მასიმილიანო ალეგრი ფიქრობს, რომ სანამ სიტუაცია ბალოტელისთან დაკავშირებით უმართავი გახდა, ჯობს, მას ფსიქოლოგი მიამაგრონ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საფრანგეთი. ლიგა 1. VII ტური

### აიაჩო-ლიონი 2:1

**გოლები:** 1:0 არაჩე (18), 1:1 მალბრანკი (56), 2:1 ა. კამარა (70)

**ლიონი (4-1-4-1):** ლოპეში - ფოფანა, კონე, უმტიტი, ბედიმო - გონალონი - ბრიანი (75. ბლი), მალბრანკი (76. ფეკირი), გრენიე, ლაკაზეტი - გომისი

**გაძევება:** ლაკაზეტი (94. ლიონი)

### ბორდო-რეიმსი 0:0

### გენგამი-სოშო 5:1

**გოლები:** 1:0 მანდანე (9), 2:0 ბოუვე (17), 3:0 ატიკი (33), 3:1 ბაკამბუ (47), 4:1 სანხარე (70), 5:1 ლანჟილი (93)

### ნანტი-ნიცა 2:0

**გოლები:** 1:0 ჯორჯევიჩი (27), 2:0 არისტიგუიტა (88)

### ტულუზი-ლორიანი 1:0

**გოლი:** 1:0 ბრაითვაიტი (72)

### ვალანსიენი-პსჟ 0:1

**გოლი:** 0:1 კავანი (45)

**პსჟ (4-3-3):** სირიგუ - ჟალე, კორეა, ალექსი (46. ზ. კამარა), დინი - პასტორე, ვერატი, მატუიდი - კავანი (83. ტიაგო მოტა), იბრაჰიმოვიჩი, ლავეცი (63. რაბიო)

### მონაკო-ბასტია 3:0

**გოლები:** 1:0 რივიერი (39), 2:0 ფალკაო (41), 3:0 ფალკაო (89)

**მონაკო (4-4-2):** სუბაშიჩი - რაგი (79. ფაბინიო), რ. კარვალიო, აბიდალი, კურზავა - ჯ. როდრიგესი, მოუტინიო, კონდოგბია (61. ობადი), ოკამპოსი (65. ფერეირა) - ფალკაო, რივიერი

**26 სექტემბერი**

**მონპელიე-რენი 23:00**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონაკო | 7 | 5 | 2 | 0 | 13-3 | 17 |
| 2. პსჟ | 7 | 4 | 3 | 0 | 10-4 | 15 |
| 3. მარსელი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-5 | 14 |
| 4. ლილი | 7 | 4 | 1 | 2 | 8-4 | 13 |
| 5. სტ. ეტიენი | 7 | 4 | 0 | 3 | 9-7 | 12 |
| 6. რენი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-4 | 11 |
| 7. ნიცა | 7 | 3 | 2 | 2 | 10-9 | 11 |
| 8. ლიონი | 7 | 3 | 1 | 3 | 12-7 | 10 |
| 9. ნანტი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-7 | 10 |
| 10. რეიმსი | 7 | 2 | 4 | 1 | 5-4 | 10 |
| 11. ტულუზი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-8 | 9 |
| 12. გენგამი | 7 | 2 | 2 | 3 | 10-9 | 8 |
| 13. ბასტია | 7 | 2 | 2 | 3 | 5-8 | 8 |
| 14. ევიანი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-13 | 8 |
| 15. მონპელიე | 6 | 1 | 4 | 1 | 8-10 | 7 |
| 16. ლორიანი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-9 | 7 |
| 17. აიაჩო | 7 | 1 | 3 | 3 | 5-8 | 6 |
| 18. ბორდო | 7 | 1 | 3 | 3 | 6-10 | 6 |
| 19. ვალანსიენი | 7 | 1 | 0 | 6 | 4-12 | 3 |
| 20. სოშო | 7 | 0 | 2 | 5 | 4-14 | 2 |

**ბომბარდირები:** 7 - რადამელ ფალკაო (მონაკო); 6 - ემანუელ რივიერი (მონაკო); 5 - კევინ ბერიგო (ევიანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. პრესკონფერენცია

# კურტანიძემ ზარები დაარისხა

## ქართველები გერმანული აქცენტით მოემზადებიან

**გუშინ ჭიდაობის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ მწვრთნელთა ცვლილებების შესახებ განაცხადა! მას არ დაუმალავს უკმაყოფილება ბუდაპეშტში განცდილი მარცხის გამო, სადაც ჩვენმა სრულად დაკომპლექტებულმა ორმა ნაკრებმა მხოლოდ ერთი ბრინჯაო მოიპოვა - მას თავისუფალ ჭიდაობაში მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი დაეუფლა. 14 კაციდან ერთი მედალი საკმარისზე მეტი მიზეზია განგაშის ზარების შემოსაკრავად და კურტანიძემაც შემოჰკრა...**

მისი თქმით, 15 ნოემბერს მწვრთნელებთან საბოლოო საუბარი ექნება, რის შემდეგაც პრეზიდიუმს განსახილველად წარუდგენენ ახალ სამწვრთნელო შტაბს. ოღონდ ისიც დასძინა, რომ ის გუნდი უკვე ოლიმპიადამდე გააგრძელებს მუშაობას და თამაშებამდე რეფორმები აღარ მოხდება. ამით მწვრთნელებიც დაცულად იგრძნობენ თავს და არ ექნებათ შიში, რომ პირველივე ნაფორხილება გადადგომად დაუჯდებათ. კურტანიძემ სხვა მოსალოდნელი სიახლეებიც გაამხილა - ჩამოჰყავთ გერმანელი ფიზმომზადების მწვრთნელები, რომლებიც უკვე დეკემბერში გასამართ საქართველოს ჩემპიონატს დაესწრებიან და პრაქტიკულადაც შეუდგებიან მუშაობას. მან პრესკონფერენციის დასასრულს კერძო საუბარში ისიც თქვა, რომ ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება უცხოეთში წასულ ერთ-ერთ ქართველ მწვრთნელთან, თუმცა ვინაობა არ დაგვისახელა.

კურტანიძემ ბუდაპეშტში ჩვენი ორი ნაკრების გამოსვლა სხვადასხვაგვარად შეაფასა - ლიდერებით დაკომპლექტებული „თავისუფლებისგან“ თურმე ბევრად მეტს, 4-5 მედალს მოელოდა და მათით უკმაყოფილოა, ხოლო ბერძენ-რომაელებში, სადაც „მომავლის გუნდს“ აშენებენ, ძირითადად დებიუტანტები ჰყავდათ წაყვანილი გამოცდილების მისაღებად და ამ მხრივ მისია შესრულებულია. კურტანიძის თქმით, მათ დაგვანახეს, რომ მომავალ ოლიმპიადაზე სტაბილური და ძლიერი გუნდი გვეყოლება. აქვე დავამატებთ, რომ „თავისუფლების“ შემთხვევაში უკმაყოფილება მიმართულია მწვრთნელების და არა სპორტსმენების მისამართით, რადგან, პრეზიდენტის სიტყვებით რომ ვთქვათ, დამრიგებლებმა არ თუ ვერ შეასრულეს მითითებები, საწვრთნელ პროცესში შეცდომები დაუშვეს. *„ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ოლიმპიადის წინაც - სალიცენზიო სეზონშიც და უშუალოდ თამაშებზეც უძლიერესი ნაკრები გვეყოლება ორივე სახეობაში. ამაზე პასუხს ვაგებ მწვრთნელთა იმ გუნდთან ერთად, რომელიც სათავეში მოვა“* - დაგვამშვიდა კურტანიძემ. ბერძენ-რომაელთა ნაკრებზე საუბრისას პრეზიდენტი ცალკეული ფალავნებიდან ბევრზე არ შეჩერებულა, მხოლოდ რამდენიმეზე ისაუბრა: *„ილია გულბათაშვილმა და გიორგი ცირეკიძემ აჩვენეს, რომ კონკურენტუნარიანები არიან და მომავალში ნაკრებს დიდ ჩათვლას მისცემენ. დანარჩენებიდან რევაზ ლაშხზე შევჩერდები, რომელიც ერთადერთი გამოცდილი და ტიტულოვანი ფალავანი იყო ნაკრებში - მას წონის პრობლემა აწუხებდა და შეიცვლის კიდეც, მომავალში ახალ წონაში გადავა“.*

*„ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში, თან - ძალიან ახალგაზრდა, თუმცა მათთანაც ბევრი სამუშაოა იმ დანაკლისის აღმოსაფხვრელად, რაც ახლა დააკლდათ. ესაა მობილიზება, ჟინი და სხვა თვისებები“* - ასე დაახასიათა მან „თავისუფალთა“ ნაკრები. კურტანიძემ ისიც თქვა, რომ მომავალში თვითონაც ჩაერევა ნაკრების მზადებაში, თუ დაინახავს, რომ რაღაც არასწორად კეთდება. ახლა შეგნებულად არ ვერეოდი საწვრთნელ პროცესში, ინფორმაციებს მწვრთნელებისგან და მეგობრებისგან ვიღებდი, მაგრამ ასეთი მიდგომა არ ყოფილა მთლად სწორიო, დაამატა ნათქვამს. თან დასძინა, რომ აქვს საამისო გამოცდილება, რადგან ზურგს ხანგრძლივი სპორტული კარიერა უმაგრებს: *„უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დავეხმარები ნაკრებს მაღალ დონეზე მომზადებაში. ამპარტავანი არ ვარ და ვიცი, როგორ უნდა მივიყვანო ნაკრები გამარჯვებამდე. ამ გამოცდილებას მწვრთნელებს აუცილებლად გავუზიარებ. უკვე არაა იმის დრო, მოვლენებს ზევიდან ვუყურო, როგორც ხელმძღვანელმა. ჩარევა საჭიროდ მიმაჩნია, რადგან 33-წლიანი გამოცდილება მაქვს და არცთუ ურიგო. შენიშვნები ადრეც მქონდა, მაგრამ კატეგორიულად არ ვერეოდი, ახლა კი ასე აღარ იქნება. ბევრი რამეა შესაცვლელი. სპორტსმენმა მაქსიმალური მობილიზება უნდა შეძლოს და მაქსიმალურად დაიხარჯოს. მსოფლიოზე სწორედ ეს მაქსიმალიზმი ვერ დავინახე“.*



ლუკა კურტანიძე — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

დაგვეთანხმებით, ფიზმომზადების მწვრთნელთა ჩამოყვანა მნიშვნელოვანი თემაა და დიდი ინტერესიც გამოიწვია. ძალიანაც კარგი, ამ მარადიულ პრობლემას და ქართული სპორტის „აქილევსის ქუსლს“ თუ რამე ეშველება, მაგრამ რატომ გერმანელები და არა, მაგალითად, ჩრდილოკავკასიელები, სადაც უძლიერესი სკოლა შექმნეს? ასევე შეიძლებოდა ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრციდან მოწვევაც, ორივე ეს ვარიანტი კი ფინანსურადაც უფრო მომგებიანი იქნებოდა გერმანულზე. თან გერმანელთა კვალიფიკაციითაც დავინტერესდით და იმითაც, რა იქნება მათი კონკრეტული დავალება, ჩაატარებენ თუ არა ისეთ კომპლექსურ გამოკვლევებს, რასაც **პეტერ ზაიზენბახერი** აკეთებდა ძიუდოისტთა ნაკრებში; იქნებიან თუ არა მოჭიდავეები მუდმივი დაკვირვების ქვეშ? ამაზე კურტანიძემ შემდეგი გვიპასუხა: *„გერმანელებთან საკლუბო დონეზე 12-წლიანი გამოცდილება მაკავშირებს და კარგად ვიცნობ ფიზმომზადების იქაურ სკოლას, რომელიც საუკეთესოა მსოფლიოში. გერმანელებს ამაში ბადალი არ ჰყავთ. ისინი ჩვენთან მხოლოდ კონსულტაციებით არ შემოიფარგლებიან - მინდა, აქტიურად ჩაერთონ ნაკრების მუშაობაში. ლაპარაკია ძალიან გამოცდილ ხალხზე, რომელთა ვინაობასაც რამდენიმე დღეში დავასახელებ. მიმაჩნია, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ, რადგან კარგად ვიცნობთ იმ ადამიანების მუშაობას“.*

> **დაგვეთანხმებით, ფიზმომზადების მწვრთნელთა ჩამოყვანა მნიშვნელოვანი თემაა და დიდი ინტერესიც გამოიწვია. ძალიანაც კარგი, ამ მარადიულ პრობლემას და ქართული სპორტის „აქილევსის ქუსლს“ თუ რამე ეშველება**

პრესკონფერენციის დასასრულს კურტანიძეს ცალკე გავესაუბრეთ და დავინტერესდით, ფიზმომზადების გარდა, უცხოეთიდან მთავარ მწვრთნელთა მოწვევაც ხომ არ იგეგმება. თუნდაც - ქართველების სამშობლოში დაბრუნება. პრეზიდენტს არ დაუმალავს, რომ მართლაც აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთში დასაქმებულ ერთ ქართველთან, ოღონდ მას იქაურ ფედერაციასთან კონტრაქტი აკავშირებს 2016 წლის, ანუ ოლიმპიადის ბოლომდე და ბევრი რამე ამაზეც იქნება დამოკიდებულიო. მწვრთნელმა მეტი დაკონკრეტება არ ისურვა, თუმცა რატომღაც ვიეჭვე, რომ ეს აზიური ქვეყანა იქნებოდა. კურტანიძე დამეთანხმა, რომ ნამდვილად აზიაა, მეტად კი აღარ დააკონკრეტა და არც მე ჩავეძიე. უბრალოდ, დავძენ, რომ იმ აზიურ ქვეყანაში ინდოეთი ვიგულისხმე, თუმცა ვარაუდების დაწერას მეც მოვერიდები და გვარს არ დავასახელებ.

პრესკონფერენციას გორელი მოჭიდავეები - გენო პეტრიაშვილი და **ვლადიმერ ხინჩეგაშვილიც** (60) ესწრებოდნენ. პეტრიაშვილს რუს **ჰაჯიმურატ გაცალოვთან** (რომელსაც უკვე თამამად შეიძლება ლეგენდარული ვუწოდოთ) წაგებაზე დავეკითხეთ, რამ გამოიწვია ის: *„იმ მომენტში ვიჩქარე. თან გამოცდილებითაც მაჯობა და მომატყუა, ბევრად გამოცდილია - ერთ მხარეზე წავედი ტრიალზე და მეორეზე რომ გადმოვედი, ილეთზე დამიჭირა“.* ხინჩეგაშვილი აღიარებს, რომ ვერ იჭიდავა: *„კარგ ფორმაში ვერ ვიყავი, უკეთესადაც მიჭიდავია. მონღოლმა ტაქტიკურად მაჯობა. მასთან მონაგები მქონდა და მომზადებული იყო ჩემთან საჭიდაოდ“.*

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა. რეფორმები

# ბრიუსოვისეული ვერსიით

## საჭიდაო სამყარო ისევ ცვლილებების მოლოდინშია

ჩვენ უკვე ვწერდით მედიაში გაჟღერებულ მოსალოდნელ რეფორმებზე, რაც ვაჟებში წონითი კატეგორიების ერთით შემცირებას ეხებოდა, რომელიც პროექტი იყო და არა უკვე მიღებული გადაწყვეტილება. ამ საკითხთან დაკავშირებით მსოფლიოს პირველობის შემდეგ რუსულ მედიასთან იქაური ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გიორგი ბრიუსოვმა** ისაუბრა და საკითხში გარკვეული სიცხადე შეიტანა, თუმცა საბოლოოდ ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. *„დღეს უკვე დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ წონითი კატეგორიები ბერძნულ-რომაულსა და თავისუფალ ჭიდაობებში განსხვავებული იქნება. ორიენტაცია აღებულია იმაზე, რომ „თავისუფალში“ წონები იყოს 57-სა და 130 კილოგრამს შორის, ბერძნულ-რომაულში – 60-სა და 135-ს შორის. ეს ერთ-ერთი საფუძველია იმ კრიტიკისა, რომელიც ჭიდაობამ სოკ-ის მხრიდან დაიმსახურა, მეორე – გეოგრაფიის გაზრდაა. ტექნიკურ კომისიას მზად აქვს ახალი წონების პროექტი, რომელსაც ფილას მორიგ კონგრესზე განიხილავენ, მომავალი წლის სექტემბერში ტაშკენტში რომ გაიმართება“* - განაცხადა ბრიუსოვმა.



ამდენად, მის სიტყვებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მინიმუმ, ერთი წელიწადი, წონითი კატეგორიები აღარ შეიცვლება. თუ გავითვალისწინებთ, რომ გაისად სექტემბერში ტაშკენტში, 8-14 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება, ისიც ძველი წონებით ჩატარდება. ამდენად, ცვლილებები ძალაში 2015 წლიდან შევა, რადგან მეტი დრო არც ფილას რჩება – როგორც უკვე გაცნობეთ, სოკ-მა მას მკაცრი მითითება მისცა, რომ 2016 წელს, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე ქალებისა და ვაჟების წონითი კატეგორიები რაოდენობრივად უნდა გათანაბრდეს და 6-6 გახდეს. არადა, სასურველი იყო, ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილება ძალაში ოლიმპიადამდე უფრო ადრე შესულიყო. იმ თავდაპირველი პროექტით, რომელზეც ვწერდით, ორივე სახეობაში 60 კილოგრამი იკვეცებოდა, ბრიუსოვისეული ვერსიით კი ის ბერძნულ-რომაულში რჩება. თუმცა ტაშკენტურ ტურნირამდე და სექტემბრამდე მთელი წელიწადი რჩება, იქამდე კი მოჭიდავეები რას შეცვლიან, მიდი და გაიგე.

**ირაკლი თავაძე**

სუმო. აკი ბაშო. 15-29 სექტემბერი



# მარცხი მონღოლ არწივთან

სუმოს ელიტის ერთადერთ ქართველს, **თეიმურაზ ჯუღელს** (გაგამარუ) ზედიზედ მეორედ აჯობეს, რის გამოც მისი ბალანსი ისევ უარყოფითი გახდა - 5-6.

ქართველის მეტოქე მონღოლი „არწივი“ **ტამავაში** იყო, ორთაბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა, მეტოქემ ჩვენებური ოშიდაშით განდევნა დოჰიოს რკალიდან.

მომდევნო მეტოქე მე-5 მაეგაშირა **ტოკიტენკუა**, კიდევ ერთი მონღოლი, ვისთანაც გაგამარუ ურთიერთშეხვედრებში 2:7-ს აგებს.

**XI დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-მიოგირიუ (კოტენაგე), ჰარუმაფუჯი-გოეიდო (იორიკირი), კისენოსატო-კაისეი (ოშიდაში), კაკურიუ-ტაკარაფუჯი (ოკურიდაში), კოტოშოგიკუ-ჩიოტაირიუ (ცუკიოდოში), ტამავაში-**გაგამარუ** (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**10-1**: ჰაკუჰო (იოკოძუნა).
**9-2**: ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი)... **5-6**: გაგამარუ (მაეგაშირა 9).

**XII დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-კისენოსატო, ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, კაკურიუ-ტოიოჰიბიკი, გოეიდო-ამინიშიკი, **გაგამარუ**-ტოკიტენკუ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალოსნობა




გიორგი ლომთაძე

# მცირე ოქრო და დიდი ვერცხლი

ზედიზედ მესამე დღეა, ახალგაზრდა ქართველი ათლეტები უმედლოდ არ ტოვებენ ტალინურ ფიცარნაგს.

ესტონეთის დედაქალაქი 20 და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობას მასპინძლობს. გუშინ 23-წლამდელებში ჩვენებურთაგან ქუთაისელმა **გიორგი ლომთაძემ** იასპარეზა 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მესამე ცდაზე მან 148 კილოგრამი აიტაცა, რამაც ქართველ სპორტსმენს მცირე ოქროს მედალი მოუტანა. 146 კილოგრამით მეორე ადგილი დაიკავა ადრიან ჩისოუმ (რუმინეთი), 145 კილოგრამით მესამე იყო ალეხანდრო გონსალესი (ესპანეთი). მართალია, ამდენივე აიტაცა იანდერ ბეითულამ (ბულგარეთი), მაგრამ იგი კონკურენტზე 0,25 გრამით მძიმე აღმოჩნდა და მე-4 ადგილით დაკმაყოფილდა.

აკვრაში ქართველი ძალოსნის ორი ცდა აღმოჩნდა შედეგიანი. საბოლოო 180-მა კილოგრამმა ლომთაძეს მხოლოდ მეოთხე ადგილი მოუტანა. 185 კილოგრამით მცირე ოქრო ალეხანდრო გონსალესს ხვდა, რომელმაც ორჭიდშიც 330 კილოგრამით ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. 328 კილოგრამით მეორე ადგილზე გიორგი ლომთაძე გავიდა, 326 კილოგრამით მესამე იყო იანდერ ბეითულა. აკვრაში 181-181 კილოგრამით ვერცხლი და ბრინჯაო, შესაბამისად, ანგელოს კანავასმა (საბერძნეთი) და ბეითულამ გაინაწილეს.

ხვალ ტალინურ ფიცარნაგზე 105 და +105 კილოგრამი წონით კატეგორიის ძალოსნები გავლენ. ქართველთაგან **ვილიამინ ალექსიძე** (აჭარა) და **ლაშა ტალახაძე** (საჩხერე) იბრძოლებენ მედლებისთვის.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვა ნახევარფინალშია

ჩინურ ნინგბოში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 125.000 დოლარი), რომლის წყვილთა პაექრობაში წარმატებით ასპარეზობს თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა**. უკრაინელ ირინა ბურიაჩოკთან ერთად ჩვენებურმა პირველ წრეში, როგორც გაუწყეთ, იულია ბეიგელზიმერსა (უკრაინა) და კატარზინა პიტერს (პოლონეთი) აჯობა, გუშინ მეოთხედფინალში ჩეხების - პეტრა ცეტკოვსკას და კაროლინა პლიშკოვას დუეტს დააყრევინა ფარხმალი - 6:3, 6:3. ქართულ-უკრაინული ტანდემი ნახვარფინალში დაუპირისპირდება ჩინელ ჰინიუნ ჰანსა და მიკი მიიამურას, რომლებმაც პირველ წრეში მე-2 ნომრად განთესილ ტიმეა ბაბოშსა (უნგრეთი) და ალისია როსოლსკას (პოლონეთი) აჯობეს (7:6, 6:4), გუშინ კი შუ-ინგ ჰსიე (ტაილანდი) და იი-ფან ქსუ (ჩინეთი) ჩამოიშორეს გზიდან - 6:2, 6:4. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ითამაშებენ: იუნგ-იან ჩანი (ტაილანდი), შუაი ჟანი (ჩინეთი) - ირინა-კამელა ბეგუ (რუმინეთი), ჟანეტ პუსაროვა (სლოვაკეთი). ოქსანამ და ირინამ 85 სარეიტინგო ქულა უკვე დაიმსახურეს, ფინალის მონაწილეებისთვის 117, ხოლო გამარჯვებულთათვის 160 ქულაა გათვალისწინებული.

ვაჟა დანელია

# თელავს შაფათავა შემორჩა

ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი), რომელსაც თელავი მასპინძლობს, გუშინ ერთეულთა თანრიგში პირველი წრის შეხვედრები გაიმართა. ექვსი ქართველიდან მეორე წრეში მხოლოდ **სოფიო შაფათავა** (იგი მერვე ნომრადაა განთესილი) გავიდა. მან იოლად მოუგო პოლონელ კატარზინა კავას და მეორე წრეში **ეკატერინე გორგოძის** მძლეველ (1:6, 6:4, 6:3) მისა ეგუჩის (იაპონია) დაუპირისპირდება. დანარჩენ ქართველთა შეხვედრები ასე დასრულდა: **მარგალიტა ჩახნაშვილი** - ალექსანდრა პანოვა (რუსეთი) 5:7, 4:6, **თამარ ჭალაგანიძე** - ირინა ხრომაჩევა (რუსეთი) 1:6, 1:6, **სოფიო ქვაცაბაია** - ოლგა იანჩუკი (უკრაინა) 6:4, 5:7, 1:6, **მარიამ ბოლქვაძე** - მაშა ზეკ-პესკირიჩი (სლოვენია) 5:7, 1:6.

წყვილთა პაექრობებში გუშინ სოფიო შაფათავას და ეკატერინე გორგოძის, ასევე, მარგალიტა ჩახნაშვილისა და სოფიო ქვაცაბაიას დუეტებს არ უთამაშიათ.

■ ■ ■

ლას ვეგასის (აშშ) ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) მონაწილეობს **ანა ტატიშვილი**. ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში იგი, როგორც გაუწყეთ, სამანტა კრაუფორდს (აშშ) დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში მე-4 ნომრად განთესილ მარია სანჩესსა და ჩიე-იუ ჰსუს (ორივე-აშშ) შორის უძლიერესთან გაარკვევს ურთიერთობას.

წყვილებში ანამ აილა ტომლიანოვიჩთან (ხორვატია) ერთად პირველი წრე იოლად გადალახა - მესამე ნომრად განთესილ ამერიკელებს - ჟაკლინ კოკოს და ნატალი პლუშკოვას აჯობა 6:2, 6:3. მეოთხედფინალში მეწყვილესთან ერთად გზიდან კიდევ ერთი ამერიკული დუეტის (სამანტა კრაუფორდი, საჩია ვიკერი) ჩამოშორებას შეეცდება.

■ ■ ■

თურქეთში ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩაება **თემურ ძაგნიძე**, რომელიც პირველსავე წრეში თანასით ისარაპორნთან (ტაივანი) დამარცხდა - 1:6, 3:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ვაჟა დანელია

ხელბურთი

# საქართველოს ნაკრებს სერბი უთავკაცებს

2015 წლის იანვარში ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ყატარში გაიმართება. მედლებისთვის პლანეტის 24 საუკეთესო გუნდი იასპარეზებს. გადამწყვეტ რაუნდში მონაწილეობა განაღდებული აქვთ მასპინძლებსა და მსოფლიოს ჩემპიონ ესპანელებს. შეჯიბრებაზე ევროპას 12 ადგილი აქვს გამოყოფილი (ესპანეთის გარდა). ჩემპიონატის სამ საგზურს 2014 წლის ევროპის პირველობის მედალოსნები მიიღებენ. ამ შეჯიბრების დანარჩენი 12 მონაწილე და გერმანია, როგორც საუკეთესო რეიტინგის ნაკრები, შესარჩევ ჯგუფებში 5 გამარჯვებულთან ერთად პლეი ოფში გავა. იქ კი ორმატჩიან სერიაში (შინ და გარეთ) გამოვლინდება ის 9 ნაკრები, რომლებიც ყატარში გაემგზავრებიან. 2014 წლის იანვარში კი ევროპის ჩემპიონატში (დანია) ითამაშებენ: დანია, ჩეხეთი, მაკედონია, ავსტრია, ისლანდია, უნგრეთი, ნორვეგია, სერბეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, რუსეთი, ხორვატია, შვედეთი, ბელარუსი, ჩერნოგორია და ესპანეთი.

ბებერი კონტინენტის დანარჩენი წარმომადგენლები ხუთ შესარჩევ ჯგუფში გაერთიანდნენ. **I ჯგუფში** საქართველოსთან ერთად პლეი ოფის ერთადერთი საგზურისთვის იბრძოლებენ ლიტვა, თურქეთი და ფინეთი.

**II ჯგუფი:** სლოვაკეთი, რუმინეთი, კვიპროსი, იტალია; **III ჯგუფი:** სლოვენია, უკრაინა, შვეიცარია, ლუქსემბურგი; **IV ჯგუფი:** ჰოლანდია, ისრაელი, საბერძნეთი, ბელგია; **V ჯგუფი:** პორტუგალია, ბოსნია, ლატვია, ესტონეთი;



ჯორჯე რასიჩი

შესარჩევი ტურნირისთვის საქართველოს ნაკრები კარგა ხანია შეუდგა მზადებას, ხელბურთის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი **ზურაბ კაკაბაძე**) გუნდის უკეთ გასაწვრთნელად სერბი სპეციალისტი **ჯორჯე რასიჩი** (მას **ირაკლი კეკელიძე** და **ბექარ ორჯონიკიძე** დაეხმარებიან) მოიწვია. 55 წლის რასიჩი მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელია. 12 წლის განმავლობაში „მეტალოპლასტიკის" შემადგენლობაში შვიდჯერ იუგოსლავის ჩემპიონი გახდა და ორჯერ ევროპის ჩემპიონთა თასი (1985, 1986 წ.წ.) მოიგო, სხვადასხვა დროს ფრანგულ „ლილსა" და ესპანურ კლუბებში („ტეკა", „ავილესი", „პონტევედრა", „კანგასი") თამაშობდა.

- ჯორჯე რასიჩი იუგოსლავიის ერთ-ერთი საუკეთესო ხელბურთელი იყო, მერე სახელი გაითქვა, როგორც წარმატებულმა მწვრთნელმა, - გვითხრა ზურაბ კაკაბაძემ. - სერბი სპეციალისტის ხელმძღვანელობით თავიანთი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ „მეტალოპლასტიკა" (სერბეთი), „ბუდუჩნოსტი" (ჩერნოგორია), „ტატრანი" (სლოვაკეთი). ლიბანის „ალ სადთან" ერთად 2010 წელს ქვეყნის ჩემპიონატიც მოიგო და აზიის ჩემპიონთა ლიგა, 1999 წელს მისი ხელმძღვანელობით სერბულმა „ნაპრედაკმა" ევროპულ „ჩელენჯ კაპში" გაიმარჯვა. რასიჩმა წარმატებით იმუშავა რუმინულ, უნგრულ და ესპანურ კლუბებში. სულ მის ანგარიშზე 22 საკლუბო ჯილდოა.

**- ნაკრებში მუშაობის გამოცდილება თუ აქვს?**

- წლების განმავლობაში იუგოსლავიის გოგონათა ნაკრებს წვრთნიდა და მისმა შეგირდებმა 2001 წელს ხმელთაშუა ზღვის თამაშებზე მე-4 ადგილი დაიკავეს, სერბეთ-ჩერნოგორიის ჭაბუკთა ნაკრებმა კი მსგავს წარმატებას 2006 წელს ევროპის პირველობაზე მიაღწია.

**- რასიჩმა საქართველოს ნაკრებთან პირველი ვარჯიშები უკვე ჩაატარა. კმაყოფილი ხართ?**

- ნაყოფიერი წვრთნა იყო, ბიჭები კმაყოფილნი დარჩნენ, თუმცა გადაჭრით ჯერჯერობით რამის თქმა ნაადრევია. იგი 18 ოქტომბერს კვლავ ჩამოვა საქართველოში და უშუალოდ შესარჩევი ტურნირისთვის დაიწყებს მზადებას. ამ დროისთვის ეროვნული ნაკრების კანდიდატებს (გიგა ტორონჯაძე, ილია გოგოლაძე, ზურაბ აბრამიშვილი, ოთარ ამირანაშვილი, რატი მსხვილიძე, ლევან ბერძენიშვილი, თეიმურაზ ორჯონიკიძე, აკაკი ტალახაძე, უჩა გამზარდია, ზურაბ სიმონია, უჩა მაისურაძე, გიორგი გვაზავა) ლეგიონერები - შოთა თევზაძე, რევაზ ჭანტურია, სერგო დათუკაშვილი, ვლადიმერ რუსია და ირაკლი ჩიქოვანიც დაემატებიან. მართალია, ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ წარმატების იმედიც გვაქვს. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი ოფის ის ერთადერთი საგზური მოვიპოვოთ. იქ კი ვნახოთ...

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# თეთრების უიღბლო ტური

ტაშკენტში მოჭადრაკე ქალთა გრან პრის გათამაშების მე-7 ტური უიღბლო აღმოჩნდა ქართველი დიდოსტატ **ბელა ხოტენაშვილისთვის**. იგი თეთრი ფიგურებით ხვდებოდა ჩინელ ცზიუ ვენძიუნს და 38-ე სვლაზე დამარცხდა. სხვათა შორის, გუშინ კიდევ სამმა მოჭადრაკემ დათმო პარტიები თეთრებით: ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი) - ჰამფი კონერუ (ინდოეთი) 0:1, ჟაო სიუე ჩინეთი) - ელინა დანიელიანი (სომხეთი) 0:1, გულისხან ნახბაიევა (ყაზახეთი) - ოლგა გირია (რუსეთი) 0:1. ორმა პარტიამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა - დაზავდნენ: ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) - ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) - კატერინა ლაგნო (უკრაინა).

შვიდი ტურის შემდეგ: კონერუ - 5,5, ლაგნო, დრონავალი - 5-5, ხოტენაშვილი, ვენძიუნი - 4-4, ჟაო სიუე - 3,5, კოსტენიუკი, გირია, სტეფანოვა - 3-3, მუმინოვა, დანიელიანი - 2,5-2,5, ნახბაიევა - 1 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: კოსტენიუკი - გირია, ვენძიუნი - ნახბაიევა, დანიელიანი - ხოტენაშვილი, კონერუ - ჟაო სიუე, ლაგნო - მუმინოვა, სტეფანოვა - დრონავალი.

## გუშინ

ქოჯაელში (თურქეთი) 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობის ბოლოსწინა ტურის შეხვედრები გაიმართა, **მერი არაბიძემ** ალექსანდრა გორიაჩკინასთან (რუსეთი) წააგო და 7.5 ქულით მე-11 ადგილზეა. ქართველმა დიდოსტატმა მედლის მოპოვების შანსი დაკარგა, რადგან გორიაჩკინას 9.5, ჟანსაია აბდუმალიკს (ყაზახეთი) - 9, ანდრეა როდრიგესს (კოლუმბია) - 8.5, ხოლო 6 მოჭადრაკეს 8-8 ქულა აქვს. **ანა კუჭავამ** ანი კრუმოვა (ბულგარეთი) დაამარცხა და 6.5 ქულა მოაგროვა. ვაჟებში **ზურაბ ჯაფარიძემ** დრაგომირესკუს (რუმინეთი) აჯობა და 7 ქულას მოუყარა თავი. 10.5 ქულით იუ იანი (ჩინეთი პირველობს.

ვაჟა დანელია

კალათბურთი. ქართველები ესპანეთში



# 30 ქართული

ესპანეთში ქართველებმა, **ვიქტორ სანიკიძემ** და **გიორგი შერმადინმა** ერთობლივად პირველი მატჩი ჩაატარეს. მათი „სარაგოსა" მეორელიგელ „კლავიხოს" შეხვდა და ათი ქულის სხვაობით დაამარცხა - 78:68.

მატჩის საუკეთესო კალათბურთელი გიორგი შერმადინი გახდა, რომელმაც 19 წუთში 6-დან 6 ორქულიანი ჩააგდო და 16 ქულას 7 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა-დაფარება მიამატა.

გიორგის თანაგუნდელმა ვიქტორ სანიკიძემ ორით ნაკლები, 14 ქულა მიითვალა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე ერთი მოხსნა და ამდენივე ჩაჭრა და დაფარება იყო.

„სარაგოსა" მომდევნო მატჩს 27 სექტემბერს გამართავს, **ნიკა ცქიტიშვილის** ყოფილ გუნდ „ფუენლაბრადას" დაუპირისპირდება.

ვაჟა სიმონიშვილი

# ფედერაციის გამგეობის სხდომა...

25 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის სხდომა, რომელმაც მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

- საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება არაუგვიანეს 2013 წლის 14 დეკემბრისა.

- გამგეობამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა საქართველოს ეროვნული ნაკრების გამოსვლა ევროპის 2013 წლის ჩემპიონატზე.

- გამგეობამ დაამტკიცა 2013-14 წლების ჩემპიონატის დაწყების თარილი და მონაწილე გუნდები. ჩემპიონატი დაიწყება 2013 წლის 19 ოქტომბერს და მასში მონაწილეობას მიიღებს 9 გუნდი: "შსს აკადემია", "ოლიმპი", "არმია", "ქუთაისი", "დინამო", "სოხუმი", "რუსთავი", "ბათუმი", "მაქაბი". 5 ოქტომბერს დაიწყება დუდუ დადიანის მემორიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი



# ვინ იქნება შემდეგი?

**საქართველოს ჩემპიონატის წლევანდელ გათამაშებაში სამი ტური მიილია. ხაუმარცხებელი ორი გუნდია, „არმია" და ბოლნისის „ყოჩები". თუმცა, არმიელებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ გამართული. ცხადია, სამი ტური საბოლოო დასკვნების გასაკეთებლად ცოტაა, მაგრამ განვლილი შეხვედრები იმის საშუალებას კი გვაძლევს, რომ შექმნილი საერთო სურათი ალვწეროთ.**

სატურნირო ცხრილში უჩვეულო ვითარებაა. სათავეში მოქცეულმა ერთბაშად ოთხმა გუნდმა თანაბარი, 10-10 ქულა დააგროვა. მათ თითო ქულით კიდევ ორი გუნდი ჩამორჩება. ასეთი სიმჭიდროვე ცხრილის ზედა ნახევარში აქამდე არასდროს ყოფილა. თუ კიდევ უფრო კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ უკვე გამოიკვეთა შვიდი გუნდი, რომლებიც, სავარაუდოდ, პლეი ოფში გასვლისთვის და, შესაბამისად, ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ.

სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე ბოლნისის „ყოჩები" იმყოფება. არადა, ამ გუნდმა შარშანდელ ჩემპიონატში, როცა ჯერ კიდევ თბილისის სახელით გამოდიოდა, ბოლო ადგილი დაიკავა. ვითარება სეზონებს შორის შესვენებაზე რადიკალურად შეიცვალა. „ყოჩები" ბოლნისის მუნიციპალიტეტმა შეიფარა. გუნდს მისივე აღზრდილი მორაგბეები დაუბრუნდნენ და ძველებური, სოლიდური სახე მიიღო.

„ყოჩებმა" პირველივე ტურში საქართველოს ჩემპიონი „ლელო" დაამარცხა, რამაც გუნდის მოთამაშეებს თავდაჯერებულობა შემატა. მათ ირწმუნეს, რომ ორწლიანი მუდმივი წარუმატებლობის შემდეგ, „ყოჩებს" მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შეუძლია. გუნდმა სამი თამაშიდან ორი მოიგო და ერთიც ფრედ დაასრულა. განვლილ ტურში „ყოჩებმა" ერთ-ერთ აუტსაიდერ „აკადემიას" გაჭირვებით მოუგეს. თუმცა, ამის ახსნა ობიექტური მიზეზით შეიძლება. გუნდს აკლდა საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებში მივლინებული ფულბეკი **შავლეგ მახარაშვილი** და გარემარბი **ლევან გოგოლაშვილი.** მათი არყოფნა „ყოჩებს" საგრძნობლად დაეტყოთ. ამასთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტრავმირებულია და ჯერ არ უთამაშია კიდევ ერთ გარემარბს **ირაკლი გეგენავას.** დასუსტებული უკანა ხაზით „ყოჩებს" მეტოქის ძლევა გაუჭირდა.

სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზე თბილისის „არმაზია". გუნდი, რომლისგანაც წლეულს შარშანდელზე მეტს ელიან. არმაზელები სეზონის წინ საგრძნობლად გაძლიერდნენ. გუნდს დაემატა საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ირაკლი აბუსერიძე.** პარადოქსია, მაგრამ ამავე გუნდში თამაშობს „ბორჯღალოსნების" ამჟამინდელი კაპიტანი **ირაკლი მაჩხანელი.** „არმაზს" ნამდვილად გაუმართლა. ორი ისეთი მორაგბე, რომელთა გამოცდილებას ზურგს მსოფლიოს თასის სამი გათამაშება უმაგრებს, სხვა ქართულ გუნდს არ ჰყავს. სწორედ ამიტომ ელიან არმაზელთაგან უფრო მეტს.

განვლილ ტურში „არმაზის" მწვრთნელებმა სერიოზული შეცდომა დაუშვეს. „ჯიქები" ახალგაზრდული, მებრძოლი გუნდია და მის მიმართ არასათანადო დამოკიდებულებას არავის ჰპატიობს. ასე მოხდა ამჯერადაც. „არმაზის" წამყვანი მოთამაშეების დიდმა ნაწილმა პირველი ტაიმი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ისინი მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდნენ, თითქოს მდგომარეობაც გამოასწორეს, მაგრამ ფორტუნამ მაინც ზურგი აქცია და დამარცხდნენ. ასეთ შეცდომას, იმედია, „არმაზის" თავკაცი მომავალში აღარ დაუშვებს. სხვა მხრივ, გუნდს რეალურად შესწევს ძალა ჩემპიონობისთვის იბრძოლოს.

ქუთაისის „აია" ის გუნდია, რომელიც ყოველი სეზონის წინ მოთამაშეებს უხვად კარგავს, თუმცა ადგილობრივი სარაგბო სკოლიდან მუდმივად ივსება. ქუთათურებს, ცხადია, წლეულსაც საჩემპიონო ამბიციები აქვთ. მესამე ტურამდე წინ მიიწევდნენ, მაგრამ...

თბილისის „ლოკომოტივი" „აიას" ძველი, ტრადიციული კონკურენტია. ქუთათურებს მუდამ უჭირდათ მასთან თამაში. ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზელებს საუკეთესო დროება არ უდგათ, „აიამ" მეტოქეს ვერაფერი დააკლო. „ლოკომოტივი", შესაძლოა ისევ ისეთი მრისხანე ვერ არის, როგორიც თუნდაც ორიოდ წლის წინათ იყო, მაგრამ ისიც ცხადია, რომ იოლად არავის არაფერს დაუთმობს.

მეოთხე გუნდი, რომელმაც 10 ქულა დააგროვა, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი თბილისის „ლელოა". პირველივე ტურში განცდილი მოულოდნელი მარცხის შემდეგ გუნდი ციდან მიწაზე დაეშვა და მომდევნო შეხვედრებს გაცილებით უფრო სერიოზულად მოეკიდა. ლელოელებმა წაგებას ორი გამარჯვება მოუნაცვლეს და თამამად განაცხადეს, რომ არაფრის დათმობას აპირებენ.

„ლელოს" ერთი სერიოზული პრობლემა აქვს. დაშავებულია და ვერ თამაშობს საქართველოს ნაკრების მგეზავი **ლაშა ხმალაძე.** „ქოქოსას" გარეშე კი, „ლელოს" უკანა ხაზი ისეთივე მობილური და მრისხანე ველარ არის. სწორედ ამიტომაა რუსთავის „ხარებთან" მატჩში გატანილი ხუთი ლელოდან ხუთივე მორკინალების ანგარიშზე.

გათამაშების პოტენციურმა ლიდერმა „არმიამ" მესამე ტური გამოტოვა. არმიელთა გუნდი სხვებთან შედარებით ყველაზე დაბალანსებულად გამოიყურება. საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებში, რომელმაც ახლახან ბუქარესტში იასპარეზა, უმრავლესობა სწორედ „არმიადან" იყო.

ნელ-ნელა შარშანდელ რენომეს იბრუნებს „ჯიქები", რომელმაც სამ ტურში ერთი მოიგო, ამდენივე ფრედ ითამაშა და წააგო. ეს გუნდი ყველასთვის სახიფათოა და მისგან დიდ სიურპრიზებს უნდა ველოდოთ. ერთი უკვე შემოგვთავაზეს, „არმაზი" დაამარცხეს. ვინ იქნება შემდეგი?

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ყოჩები | 3 | 2 | 1 | 0 | +26 | 10 |
| 2. არმაზი | 3 | 2 | 0 | 1 | +34 | 10 |
| 3. აია | 3 | 2 | 0 | 1 | +11 | 10 |
| 4. ლელო | 3 | 2 | 0 | 1 | +38 | 10 |
| 5. არმია | 2 | 2 | 0 | 0 | +39 | 9 |
| 6. ლოკომოტივი | 3 | 2 | 0 | 1 | -9 | 8 |
| 7. ჯიქები | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 7 |
| 8. ხარები | 3 | 0 | 0 | 3 | -53 | 1 |
| 9. აკადემია | 3 | 0 | 0 | 3 | -55 | 1 |
| 10. ბათუმი | 2 | 0 | 0 | 2 | -31 | 0 |

საქართველოს ჩემპიონატი

# ტრადიციული და ახალი გუნდების ამბიციები

**საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გათამაშების პარალელურად, იქ მოასპარეზე კლუბების სათადარიგო გუნდების შეჯიბრებაც მიმდინარეობს. სამი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი სამი გუნდია. ესენია: „ჯიქები", „აია" და „ლელო".**

როგორც სატურნირო ცხრილიდან ჩანს, ყველაზე კარგი მომავალი თაობა სწორედ ამ გუნდებს ჰყავს. თბილისის „ჯიქები" ყველა განზომილებით ახალგაზრდა გუნდია. ეს კლუბი დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს და ძალიან მოკლე პერიოდში წინ დიდი ნაბიჯებით სვლა მოახერხა.

ქუთაისის „აია" ტრადიციული კლუბია. აქ საკმაოდ ბევრი ბავშვთა გუნდია და შევსება ქუთათურთა მთავარ გუნდს უწყვეტად მისდის. მომავალ თაობასთან მუშაობა ყოველთვის უმაღლეს დონეზე იყო დაყენებული თბილისის „ლელოშიც", რაც სასურველ შედეგს დიდი ხანია იძლევა.

მესამე ტურში ლელოელებმა მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს რუსთავის „ხარები" - 13:10, რომელიც ასევე ერთ-ერთი გამორჩეულია მოზარდ თაობასთან მუშაობის დამოკიდებულებით და შესანიშნავი სარაგბო ინფრასტრუქტურა გააჩნია.

პირველი მარცხი აგემა თბილისის „არმაზს" გათამაშების ლიდერმა „ჯიქებმა" - 29:16. არმაზელებმა, მიუხედავად იმისა, რომ სათადარიგო გუნდში საკადრო პრობლემებს განიცდიან, საწყისი ორი ტური შესანიშნავად განვლეს, თუმცა მერე, კარგად ორგანიზებულ და ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში მაინც ვერას გახდნენ.

ძირითადი გუნდისგან განსხვავებით, „აიას" სათადარიგოებმა ყველაზე ძველი და პრინციპული მეტოქის, თბილისის „ლოკომოტივის" დამარცხება შეძლეს - 29:12. ქუთათურებს, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, რაც მათ საიმედო მომავალზე მეტყველებს.

ცხადია, ყველასთვის გასაკვირი იქნება „არმიას" სათადარიგო გუნდის დიდი ანგარიშით მარცხი შინ „ბათუმთან" - 0:124. თუმცა, შეგახსენებთ, რომ არმიელთა გუნდში ძირითადად სამხედრო მოსამსახურეები თამაშობენ, რომლებიც წლობით ნავარჯიშებ და განსწავლულ მორაგბეებს სერიოზულ წინააღმდეგობას ჯერ ვერ უწევენ.

**სათადარიგო გუნდები**

**III ტური**

**არმია-ბათუმი 0:124, არმაზი-ჯიქები 16:29, ყოჩები-აკადემია 25:21, ლელო-ხარები 13:10, აია-ლოკომოტივი 29:12**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ჯიქები - 15 ქულა, 2. აია - 14, 3. ლელო - 13, 4. არმაზი - 8, 5. ბათუმი - 7, 6. ხარები - 6, 7. აკადემია - 6, 8. ყოჩები - 5, 9. ლოკომოტივი - 1, 10. არმია - 0.**

ორხელისუფლიანობა გრძელდება პირველი ლიგის აღმოსავლეთ ზონაში. აქ 20-20 ქულით სატურნირო ცხრილს სათავეში თბილისის გუნდები „დინამო" და „თიბისი თსუ" უდგანან. მათსავით ჯერაც დაუმარცხებელია პატარძეულის „ვეფხვები", თუმცა ეს გუდნი ლიდერებს სამი ქულით ჩამორჩება, რადგან ოთხ მოგებულ მატჩში მხოლოდ ერთი პრემიალური ქულის აღება მოახერხა. დაწინაურებულმა დუეტმა კი, ოთხ-ოთხი პრემიალური ქულა მიითვალა.

პლიე ოფში გასვლისთვის ბრძოლა, სავრაუდოდ, სწორედ ამ სამეულს შორის წარიმართება, რომელშიც შესაძლოა თბილისის „ხულიგანაც" ჩაერიოს.

**I ლიგა**

**აღმოსავლეთი ზონა**

**IV ტური**

**დევები-ვეფხვები 21:26, სტუ-ჯვაროსნები 20:10, დინამო-ივერია 72:8, მგლები-თიბისი თსუ 3:90, ხულიგანა-წიქარა 48:0.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. თიბისი თსუ - 20 ქულა, 2. დინამო - 20, 3. ვეფხვები - 17, 4. ხულიგანა - 11, 5. სტუ - 9, 6. დევები - 9, 7. ივერია - 6, 8. ჯვაროსნები - 5, 9. მგლები - 0, 10. წიქარა - 0.**

**V ტური**

**ჯვაროსნები-მგლები, ივერია-ხულიგანა, წიქარა-სტუ, ვეფხვები-დინამო, თიბისი თსუ-დევები**

ასევე სამი დაუმარცხებელი გუნდია დასავლეთ ზონაშიც. ესენია: ფოთის „რაინდები", ქუთაისის „ბაგრატი" და ოზურგეთის „არწივები". ამათგან ფოთელებმა ერთით მეტი, სამი მატჩი გამართეს. „რაინდების" ეს წარმატება მოულოდნელი სულაც არ არის. ფოთური სარაგბო გუნდი წლების განმავლობაში ნელ-ნელა ძალებს იკრებს, ვითარდება, წინ მიდის და ალბათ შორს აღარ არის ის დრო, როცა, ეგრეთ წოდებულ, ქართული ფეხბურთის აკვანს უმაღლეს ლიგაში თავისი გუნდი ეყოლება.

თავად განსაჯეთ, ამ ქალაქის სკოლის აღზრდილები არიან საქართველოს ნაკრების წევრები **დიმიტრი ბასილაია** (ედინბურგი), **ზურაბ ჟვანია** (სატად ფრანსე) და **ირაკლი მირცხულავა** (ტარბი). აქაურები უხვად არიან მიმოფანტული საქართველოს სხვადასხვა კლუბში. ერთი სიტყვით, ფოთს რაგბის დიდი პოტენციალი აქვს და მას სათანადოდ გამოყენება, განვითარება სჭირდება

ცხადია, დასავლეთ ზონაში „რაინდებთან" ერთად ფავორიტი ქუთაისის „ბაგრატია", რომელსაც უმაღლეს ლიგაში გადასვლის შანსი შარშანაც ჰქონდა, თუმცა ის ვერ გამოიყენა. წარსულის გამოცდილებას ქუთათურები წლეულს, ალბათ, აუცილებლად გაითვალისწინებენ. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ კონკურენცია ამჟამად ბევრად მეტადაა გაზრდილი და ელიტაში გადაბარგება ძალიან ძნელი იქნება.

სასიამოვნო მოულოდნელობაა ოზურგეთის „არწივების" წარმატებული ასპარეზობა. თუმცა, ამ გუნდს ჯერ ფავორიტებთან არ უთამაშია და სწორედ მათთან დაპირისპირებისას გამოჩნდება, რამდენად საფუძვლიანია ოზურგეთელთა ამბიციები.

**დასავლეთი ზონა**

**III ტური**

**დელფინები-არწივები 6:32, რაინდები-დინოზავრი 13:6, ბაგრატი-ბათუმი XV 88:0**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. რაინდები - 13 ქულა, 2. ბაგრატი - 10, 3. არწივები - 9, 4. დინოზავრი - 6, 5. ბათუმი XV - 4, 6. დელფინები - 1, 7. ჯრუჭი - 0.**

**IV ტური**

**ბათუმი XV-ჯრუჭი, არწივები-რაინდები, დინოზავრი-ბაგრატი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



კალათბურთი


უეიდი და დურანტი

# ჩხუბი ტვიტერში

„მაიამი ჰიტისა“ და „ოკლაჰომა-სიტის“ ვარსკვლავები - **დუეინ უეიდი** და **კევინ დურანტი** „ტვიტერის“ სოციალურ ქსელში წაეკიდნენ ერთმანეთს, - წერს The South Florida Sun-Sentinel. ამის მიზეზი გახდა ჟურნალ Sports Illustrated-ის მიერ შედგენილი 10 საუკეთესო მოთამაშის რეიტინგი.

ყველაფერი დაიწყო CineSport-ის მიერ მომზადებული ვიდეორგოლით, რომელშიც დურანტმა აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ საუკეთესო ათეულში არ აღმოჩნდა მისი ყოფილი თანაგუნდელი **ჯეიმს ჰარდენი** და დუეინ უეიდის ნაცვლად მისი სიაში შეყვანის წინადადებით გამოვიდა. უეიდმა მალე გასცა პასუხი დურანტს - მოსთხოვა მას პატივი სცეს დუეინის ადგილს ისტორიაში. ამაზე „ოკლაჰომას“ ლიდერმა უპასუხა: *„დამიმტკიცე ეს მოედანზე და არა „ტვიტერში“.*

# ჯენინგსი კლუბში სცემეს


ბრენდონ ჯენინგსი

უსიამოვნო ისტორია შეემთხვა “დეტროიტის” ახალწვეულს **ბრენდონ ჯენინგს.** კალათბურთელი საკუთარ დაბადების დღეს აღნიშნავდა ლოს ანჯელესის ერთ-ერთ კლუბში. და როცა ჯენინგსი ერთ მომენტში დიდი ხნით შეყოვნდა მიკროფონთან, მას პირდაპირ სახეში მოხვდა მუშტი.

ბრენდონმა ეს დარტყმა ცნობილი რეპერისგან მიიღო, რომელიც ცნობილია The Game-ის ფსევდონიმით. როგორც აღმოჩნდა, მას მუშტიც ძლიერი ჰქონია, რაზეც მეტყველებს დიდი სისხლჩაქცევა კალათბურთელის სახეზე.

მუსიკოსი ლოს ანჯელესში დაიბადა და ხშირად სტუმრობს კლუბს, რომელშიც ინციდენტი მოხდა. თვითმხილველთა თქმით, მას არ მოეწონა კალათბურთელის ზედმეტი აქტიურობა, კერძოდ, მიკროფონში ბევრი ლაპარაკი. The Game-მა ჯერ რამდენიმე სიტყვა უთხრა ჯენინგსს, შემდეგ კი სახეში დაარტყა.

კონფლიქტი კლუბის დაცვამ მოაგვარა, როცა ორივე საპატიო სტუმარი ქუჩაში გააძევა.

ამბები

## ტორონტოს პირველი ოლ სტარი

როგორც ცნობილია, 2014 წელს “ყველა ვარსკვლავის მატჩი” ნიუ ორლეანში გაიმართება, გუშინ კი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა 2015 და 2016 წლის “ოლ სტარების” მასპინძელი ქალაქები.

2015 წელს, “ყველა ვარსკვლავის უქმეებს“ ნიუ იორკის “მედისონ სკვერ გარდენი” მიიღებს. ასეთი რამ ისტორიაში მეოთხედ მოხდება. ბოლოს ლეგენდარულმა არენამ “ოლ სტარს” დიდი ხნის წინ, 1998 წელს უმასპინძლა.

რაც შეეხება 2016 წლის “ოლ სტარს”, მისი ორგანიზატორი კანადის ქალაქი ტორონტო იქნება. ტორონტო იმ ექვსი ქალაქის (ბრუკლინი, მემფისი, ოკლაჰომა-სიტი, პორტლენდი და საკრამენტო) სიაში შედის, რომლებსაც არასოდეს მიუღიათ “ყველა ვარსკვლავის უქმეები”.

## უესტბრუკი ჯერ ვერ ვარჯიშობს

“ოკლაჰომა-სიტის” გამთამაშებელმა **რასელ უესტბრუკმა** ჯერ ვერ მიიღო ექიმებისგან სრულფასოვანი ვარჯიშების განახლების უფლება.

გუნდის გენერალური მენეჯერის **სემ პრესტის** სიტყვებით, უესტბრუკი საწვრთნელ ბანაკში ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშებს. პრესტიმ ვერ დაასახელა თარიღი, როდის შეუერთდება “ოკლაჰომას” ლიდერი გუნდურ ვარჯიშებს.

უესტბრუკმა გასული რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს მიიღო ტრავმა – მენისკი გაიწყვიტა და სამკურნალოდ ოპერაციის ჩატარება დასჭირდა.

## იასიკიავიჩუსი ჟალგირისს მიუახლოვდა

ლიტვური ინტერნეტ-რესურსის basketnews.lt-ის ინფორმაციით, 37 წლის გამთამაშებელი **შარუნას იასიკიავიჩუსი** უახლოეს დღეებში კონტრაქტს გააფორმებს „ჟალგირისთან“ და ახალ კლუბში დებიუტი ექნება ორშაბათს, როცა კაუნასელები ამხანაგურ მატჩს გამართავენ რუსეთის უნიქს-თან.

„ჟალგირისის“ გენერალური მენეჯერი **პაულუის მოტიეიუნასი** უარს ამბობს კომენტარზე, მაგრამ ამტკიცებს, რომ კლუბის კარი ყოველთვის ღიაა იასიკიავიჩუსისთვის.

ჩოგბურთი. ტურნირები

# ვინუსის გაკვეთილები ახალგაზრდებს

ტოკიოში მესამე წრის მატჩებით გაგრძელდა „პრემიერ“ კატეგორიის ტურნირი, თუმცა გუშინ, სრულფასოვანი სათამაშო დღე არ შედგა, რადგან წვიმის გამო, რამდენიმე მატჩი შემდეგი დღისთვის გადაიდო.

მორიგი ნაბიჯი გადადგა წინ სატურნირო ბადეში **ვინუს უილიამსმა.** შეგახსენებთ, რომ წინა დღეს მან სენსაცია შემოგვთავაზა, როცა ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** დაამარცხა და შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა თავის უმცროს დას - **სერენას.** გარდა იმისა, რომ ამ უკანასკნელს დღეს დაბადების დღე აქვს, აზარენკას წაგებით სერენამ გაინაღდა ამ წლის პირველი ჩოგანის რანგში დასრულება. ასეთი რამ უმცროსი უილიამსის კარიერაში მესამედ მოხდება. ის ამ მაჩვენებლით გაუსწრებს **კაროლინ ვოზნიაცკის** და გაუთანაბრდება **ჟუსტინ ანენს, მარტინა ჰინგისსა** და **მონიკა სელეშს**. მის წინ რჩებიან **ლინდსი დავენპორტი** (ოთხი ფინიში პირველ ადგილზე), **კრის ევერტი** (ხუთი), **მარტინა ნავრატილოვა** (შვიდი) და **შტეფი გრაფი** (რვა).

ვინუს უილიამსი აზარენკას ძლევის შემდეგ **სიმონა ჰალეპს** ხვდებოდა, რომელმაც ზაფხულში ოთხი ტიტული მოიგო. რუმინელმა უკეთ დაიწყო შეხვედრა, ამერიკელი კი ბევრ შეცდომას უშვებდა. შედეგად, ჰალეპმა მალე 5:1 დაწინაურება მოახერხა და მართალია, ვინუსმა მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ სეტის გადარჩენა ვერ შეძლო. მეორე პარტიაში ჰალეპი სამჯერ გავიდა წინ ბრეიკით, თუმცა უილიამსი მაშინვე ახერხებდა ანგარიშის გათანაბრებას. სიმონა უფრო აქტიურად თამაშობდა, მაგრამ ამას ბევრი შეცდომაც ახლდა თან. საბოლოოდ, დაძაბულ სეტში უფრო ძლიერი ვინუსი აღმოჩნდა - 7:5.

გადამწყვეტ პარტიაში ჰალეპი ახლოს იყო იმასთან, რომ 3:0 წაეყვანა ანგარიში, მაგრამ უილიამსმა ჩავარდნა გადალახა, თამაში გააძლიერა და ძალიან დამაჯერებლად ჩაატარა მატჩის ბოლო ნაწილი - ბოლო სამ გეიმში მხოლოდ ერთი ქულა წააგო. ვინუსმა დიდ ტურნირზე ზედიზედ სამი მატჩი პირველად მოიგო 2012 წლის შემდეგ, როცა ცინცინატიში ნახევარფინალამდე მიაღწია.

დღეს უფროსი უილიამსი გააგრძელებს ახალგაზრდა თაობის გამოცდას. მეოთხედფინალში მისი მეტოქე იქნება 19 წლის **ეჟენი ბუშარი. სლოუნ სტივენსის** შემდეგ, 19 წლის კანადელი მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს **ელენა იანკოვიჩს** გაუსწორდა - 7:5, 6:2.

■ ■ ■

გუშინ, კიდევ ერთი მეოთხედფინალური წყვილი დაკომპლექტდა - ერთმანეთს შეხვდებიან **აგნიეშკა რადვანსკა** და **ანჟელიკ კერბერი.** პოლონელმა საკმაოდ დამაჯერებლად დაამარცხა **დომინიკა ციბულკოვა.** მატჩის სტარტზე ჩოგბურთელებმა ბრეიკები გაცვალეს, რის შემდეგაც რადვანსკმა დამაჯერებლად იღებდა თავის მოწოდებებს. საბოლოოდ, პოლონელმა კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე სეტში დომინიკამ შეძლო უფრო შედეგიანი თამაში და დიდი ხანი ჩავარდნის გარეშე მოქმედებდა. თუმცა არც აგნიეშკა აპირებდა დანებებას. ყველაფერი მაშინ გადაწყდა, როცა 4:4-ზე სლოვაკმა თავის მოწოდებაზე გეიმი ჩააგდო, რის შემდეგაც რადვანსკამ მატჩზე დამაჯერებლად ჩააწოდა.

რაც შეეხება კერბერს, მან ძალიან იოლად მოუგო **ანა ივანოვიჩს.** სერბი ცდილობდა ბრძოლას, მაგრამ მას მოწოდება არ უვარგოდა (შვიდი ორმაგი და მეორე მოწოდებიდან აღებული ქულების 27 პროცენტი), რითაც გერმანელმა ოთხი ბრეიკი მიითვალა. ამ მოგებით კერბერმა გაზარდა წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის შანსები. ტოკიოს ტურნირამდე ის მერვე ადგილზე მყოფ ელენა იანკოვიჩს 459 ქულით ჩამორჩებოდა, ახლა კი სხვაობა 100 ქულამდე დავიდა. ახლოსაა **კაროლინ ვოზნიაცკიც,** რომელიც კერბერს მხოლოდ 39 ქულით ჩამორჩება. ასე რომ, სტამბოლში გასამგზავრებლად ბრძოლა ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს.

**Pan Pacific Open**

**ტოკიო (იაპონია). ხარდი**

**1/8 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 4)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:1, 6:1; **ეჟენი ბუშარი (კან)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 6) 7:5, 6:2; **ვინუს უილიამსი (აშშ)**-სიმონა ჰალეპი (რუმ, 13) 4:6, 7:5, 6:3; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 12) 6:4, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 2)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 16) 6:3, 6:4; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 5)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 11) 6:4, 6:2.


ეჟენი ბუშარი

# ქორწილი ერთი წლის შემდეგ

სასიხარულო ინფორმაცია შეიტყვეს სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩის** თაყვანისმცემლებმა. მსოფლიო პირველი ჩოგანი თავის შეყვარებულზე - **ელენა რისტიჩზე** დაქორწინებას აპირებს.

ნოვაკისა და ელენას ურთიერთობა დაახლოებით რვა წელია გრძელდება. სავარაუდოდ, ქორწილი 2014 წლის ბოლოს შედგება, ცერემონიის ჩატარების ადგილი ჯერ განსაზღვრული არ არის. *„დიახ, ისინი დანიშნულები არიან. ეს არის ყველაფერი, რისი თქმაც შემიძლია. მე მათ ბედნიერებას ვუსურვებ“,* - განაცხადა ჯოკოვიჩის დედამ.

*„ელენა - მთელი ჩემი ცხოვრების სიყვარულია. ის ამბიციური და ძლიერი გოგონაა. როჯერ ფედერერმა გააუმჯობესა თავისი თამაში და ფსიქოლოგიურად უფრო მდგრადი გახდა მას შემდეგ, რაც მიროსლავა ვავრინეცზე იქორწინა. ჩემი დროც დადგება“,* - თქვა ამასწინათ ნოვაკ ჯოკოვიჩმა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ელენა და ნოვაკი

ამბები

## რაფამ აბუ დაბი დაადასტურა

მსოფლიოს მეორე ჩოგანი **რაფაელ ნადალი** მონაწილეობას მიიღებს აბუ დაბის საგამოფენო ტურნირში, რომელიც ამ წლის ბოლო დღეებში გაიმართება.

ნადალის გარდა, საემიროების დედაქალაქში გამოსვლა დაადასტურა რეიტინგის ტოპ-სამეულის ორმა სხვა წევრმა – სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და ბრიტანელმა **ენდი მარეიმ.** ექსკაციანი ტურნირის კიდევ სამი მონაწილე მოგვიანებით გახდება ცნობილი.

*“წარუმატებელი გასული წლის შემდეგ, მე დაპირება მივეცი საამიროელ გულშემატკივრებს, რომ აბუ დაბიში კიდევ დავბრუნდებოდი. კარგია, რომ ეს ასე მალე მოხდება. ეს იქნება აქ ჩემი მეხუთე გამოსვლა. ვფიქრობ, აბუ დაბის ტურნირი სეზონის წინ მზადყოფნის შემოწმების კარგი შესაძლებლობაა. დარწმუნებული ვარ, ბრძოლა დაძაბული იქნება და იმედია, ამ ტიტულს მესამედ მოვიგებ. აბუ დაბიში ატმოსფერო ყოველთვის შთამბეჭდავია”,* - ამბობს ნადალი.

ტრადიციული საგამოფენო ტურნირი Mubadala World Tennis Championships 26-28 დეკემბერს გაიმართება. ადრე ნადალს აბუ დაბი 2010 და 2011 წლებში აქვს მოგებული. შარშან, ტურნირის ჩემპიონი გახდა ჯოკოვიჩი.

## ჩილიჩმა უიმბლდონზე იცრუა

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ხორვატმა **მარინ ჩილიჩმა** გამოიგონა მუხლის ტრავმა უიმბლდონის ტურნირის მსვლელობისას იმის გამო, რომ დაემალა ნეგატიური ინფორმაცია დადებით დოპინგსინჯზე. შეგახსენებთ, რომ მაშინ ჩილიჩი არ გავიდა მეორე წრის მატჩზე ფრანგი **კენი დე შეპერის** წინააღმდეგ.

როგორც იცით, ხორვატი ჩოგბურთელი ცხრა თვია არის დისკვალიფიცირებული დოპინგის მიღებისთვის. დადებითი შედეგი აჩვენა სინჯმა, რომელიც მისგან მიუნხენის ტურნირზე აიღეს. ორგანიზმში აღმოჩნდა აკრძალური პრეპარატის – ნიკეტამიდის კვალი, რომელიც სტიმულატორის ფუნქციას ასრულებს.

დისკვალიფიკაცია ძალაში 2013 წლის პირველ მაისს შევიდა და ის 2014 წლის 31 იანვრამდე იმოქმედებს.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ევრო 2014

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| შოტლანდია-უელსი | 0:0 |
| სლოვენია-უნგრეთი | 4:2 |
| ნორვეგია-კვიპროსი | 4:2 |
| ესპანეთი-მოლდოვა | 3:0 |

#### ინგლისის ლიგის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-სუონსი | 3:1 |
| მანჩესტერ იუნ-ლივერპული | 1:0 |
| ნიუკასლი-ლიდსი | 2:0 |
| ტრანმერი-სტოკი | 0:2 |
| ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1:1 პენ. 3:4 |

#### იტალია

| | |
|---|---|
| ბოლონია-მილანი | 3:3 |
| კიევო-იუვენტუსი | 1:2 |
| ლაციო-კატანია | 3:1 |
| ლივორნო-კალიარი | 1:1 |
| პარმა-ატალანტა | 4:3 |
| ნაპოლი-სასუოლო | 1:1 |
| სამპდორია-რომა | 0:2 |
| ტორინო-ვერონა | 2:2 |

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| გრანადა-ვალენსია | 0:1 |
| სევილია-ვალეკანო | 4:1 |
| ელჩე-რეალი | 1:2 |

#### გერმანია

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ბოხუმი II-ობერჰაუზენი | 0:2 |
| კიოლნი II-შალკე II | 0:1 |

**რეგიონალლიგა (ს-დ)**

| | |
|---|---|
| კასელი-აინტრახტი II | 2:1 |

#### გერმანიის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| აინტრახტი-ბოხუმი | 2:0 |
| ფრანქფურტი-ინგოლშტადტი | 0:2 |
| კაიზერი-ჰერტა | 3:1 |
| ზაარბრიუკენი-პადერბორნი | 2:1 |
| ბაიერნი-ჰანოვერი | 4:1 |
| დარმშტადტი-შალკე | 1:3 |
| ფრაიბურგი-შტუტგარტი | 2:1 |
| ოსნაბრიუკი-უნიონი | 0:1 |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| აიაჩო-ლიონი | 2:1 |
| ბორდო-რეიმსი | 0:0 |
| გინგამი-სოშო | 5:1 |
| ნანტი-ნიცა | 2:0 |
| ტულუზა-ლორიანი | 1:0 |
| ვალანსიენი-პსჟ | 0:1 |
| მონაკო-ბასტია | 3:0 |

#### ჰოლანდიის თასი

**1/32 ფინალი**

| | |
|---|---|
| აფკ-გრონინგენი | 0:2 |
| რვვჰ-ვიტესი | 1:3 |
| რიინსბურგსი-როდა | 1:2 |
| სმიტშოეკი-ბრედა | 1:2 |
| პსვ ეინდჰოვენი-ტელსტარი | 4:1 |
| ასვჰ-ადო 20 | 1:0 |
| ალკმაარი-სპარტა | 1:1 დ.დ. 4:1 |
| დე ზუავენი-ნორდვიიკი | 0:2 |
| ჰოეკი-კრაეიენჰაუტი | 3:0 |
| ცვოლე-სიტარდი | 2:0 |
| უტრეხტი-დენ ბოში | 4:1 |
| აიაქსი-ვოლენდამი | 4:2 |

#### ბელგიის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-ეუპენი | 7:0 |
| ვიზე-ჰევერლე | 0:2 |
| გეელი-ლოკერენი | 0:1 |
| გენკი-ტუბეკე | 3:1 |
| ჰამე-ვარეგემი | 1:2 |
| მეხელენი-ბორინაჟი | 5:1 |
| ოსტენდე-ჯაიანტსი | 5:1 |
| რუზელარე-ვაასლანდი | 1:5 |
| შარლერუა-ვესტჰოეკი | 1:0 |
| ტემპო-კორტრიიკი | 0:1 |
| ვესტერლო-მონსი | 1:1 პენ. 4:3 |
| ვოლვერტემი-სერკლი | 0:3 |
| გენტი-ოსტერზონენი | 4:0 |
| ლომელი-ლიერსი | 2:3 |
| ბრიუსელი-სტანდარდი | 0:4 |
| უდენაარდე-ბრიუგე | 0:1 |

#### პორტუგალია

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ფარენსე-მარიტიმუ | 0:2 |
| მორეირენსე-ჟილ ვისენტე | 0:0 |
| სანტა კლარა-ბელენენსეში | 0:0 |
| ბეირა მარი-აროუკა | 0:1 |

#### შოტლანდია

**ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ფალკირკი-აბერდინი | 0:5 |
| დანდი იუნ-პარტიკი | 4:1 |
| ჰართსი-ქუინი | 2:2 პენ. 4:1 |
| ლივინგსტონი-მოზერველი | 1:2 |

#### დანიის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ნაესბი-ნორდსილანდი | 0:2 |
| დიუსლანდი-მიდტიულანდი | 2:4 |
| სვენდბორგი-ოდენსე | 0:2 |
| ბრამინგი-სიდვესტი | 1:3 |
| ნაესტვედი-ვეილე | 3:3 დ.დ. 3:5 |
| ლფა-ჰობრო | 0:2 |
| ბრონშოი-აგფ ორჰუსი | 1:3 |
| ფრედერის.-სონდერიისკი | 1:1 პენ. 4:2 |
| ნორდვესტი-ელიტ 3000 | 3:0 |
| ჰვიდოვრე-კოპენჰაგენი | 2:4 |

#### ნორვეგიის თასი

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-ჰაუგესუნდი | 2:1 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ბრომაპოიკარნა-ელფსბორგი | 1:0 |
| ჰაკენი-სირიანსკა | 4:0 |
| ჰელსინგბორგი-მალმიო | 0:3 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გაის-ფალკენბერგსი | 3:1 |

#### ავსტრიის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| დორნბირნერი-რიდი | 0:2 |
| შტურმი-ვინერი | 0:0 დ.დ. 3:0 |
| ჰერცი-პელეტსი | 1:4 |
| ტიმ ვენა-ადმირა | 0:0 პენ. 5:6 |
| ფრაიცაიტინ.-ზალცბურ. | 1:1 პენ. 5:6 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ლუცერნი-გრასჰოპერსი | 0:2 |
| სიონი-ლოზანა | 2:1 |
| თუნი-ბაზელი | 0:2 |

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| კიასო-ბილი | 2:0 |
| სერვეტი-ვილი | 0:1 |

#### საბერძნეთის თასი

**1/16 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ასტერასი-ლევადია | 2:1 |
| იანინა-აიგინიაკოსი | 0:0 |
| ირაკლისი-ვერია | 3:1 |
| ნიკი ვოლუ-პანთრაკიკოსი | 2:1 |
| ასტერასი-ჩანია | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-ფოკიკოსი | 5:1 |
| პანათინაიკოსი-ერგოტელისი | 2:1 |
| პანიონიოსი-კალამარია | 3:1 |

#### თურქეთის თასი

**II რაუნდი**

| | |
|---|---|
| ბელედიე-მანიშა | 2:0 |
| დიარბაქირი ბბ-ისქენდერ. | 1:1 პენ. 5:6 |
| ერზურუმი-ადანა | 2:2 პენ. 4:4 |
| კაჰრამანამარა-თოსია | 3:0 |
| შანლიუფა-გირეშუნი | 0:1 |
| ანკარაგიუჯუ-ქარამანი | 2:1 |
| ბაირამფაშა-იესილი | 3:1 |
| ბერგამა-ბუგსასი | 2:1 |
| ჩანკირი-ელაზიგი | 1:0 |
| დერინჩე-ანადოლუ | 0:4 |
| გაზიოსმანფაშა-ალანია | 0:1 |
| გიონგურენი-თარსუსი | 1:2 დ.დ. |
| ინეგოლი-ნევსეჰირი | 3:1 |
| კეჩიორენგუჩუ-ბანდირმა | 1:2 |
| კიზილჩაჰამამი-იესილ ბურსა | 0:1 |
| მენემენი-ნაზილი | 0:1 დ.დ. |
| ოსმანიე-ჰათაი | 0:2 |
| პენდიქი-ბაიბურთი | 1:0 |
| სარიერი-გენჩლერი | 1:2 |
| თეპეჩიქი-სილივრი | 0:1 |
| თოფათი-უსაქი | 2:0 |
| თურგუთლუ-ქირქლარელი | 2:0 |
| ბოლუ-ბათმანი | 3:2 დ.დ. |
| ერჩიესი-ედირნე | 2:0 |
| ქარსიაქა-ოფი | 2:1 |
| ელაზიგსფორი-ანკარა | 2:0 |
| ესქისეჰირი-ისთანბული | 7:0 |
| ფეთჰიე-ქიზილჩაბოლუქი | 3:1 |

#### ისლანდია

| | |
|---|---|
| აკრანესი-რეიკიავიკი | 3:1 |

#### ჩეხეთის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ვლაშიმი-სლოვანი | 2:2 პენ. 3:5 |
| ჰლუჩინი-ბოლესლავი | 1:5 |
| ჰრადეცი-იაბლონეცი | 0:1 |
| ისკრა-კარვინა | 3:1 |
| ჩრუდიმი-სიგმა | 0:2 |
| პარდუბიცე-სლოვაცკო | 1:2 |
| რუდნიცე-ბრნო | 0:4 |
| პრევისოვი-ზნოიმო | 1:4 |
| ტრშინეცი-დუკლა | 1:1 პენ. 6:7 |
| უტი-ბანიკი | 2:0 |
| ჟიჟკოვი-ლიბერეცი | 2:2 პენ. 5:4 |

#### სლოვაკეთის თასი

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ნემსოვა-ჟილინა | 0:1 |
| დუნაისკა ლუჟნა-სლოვანი | 0:3 |

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| კრილია-ზენიტი | 1:4 |
| სპარტაკი-კრასნოდარი | 3:2 |
| ყუბანი-ტერეკი | 3:1 |
| ცსკა-ანჟი | 0:0 |

#### პოლონეთი

| | |
|---|---|
| შლიონსკი-კრაკოვია | 0:3 |
| ვიძევი-რუხი | 0:1 |
| იაგელონია-ლეგია | 2:3 |

#### სლოვენია

| | |
|---|---|
| ტრიგლავი-დომჟალე | 0:3 |
| სელიე-ზავრცი | 2:1 |
| ოლიმპია-კოპერი | 1:0 |
| მარიბორი-რუდარი | 1:1 |
| გორიცა-კრკა | 1:2 |

#### ხორვატიის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| სუჰოპოლიე-დინამო | 0:6 |
| დრავა-სიბალია | 0:3 |
| ტორპედო-ოსიეკი | 0:3 |
| ნოვიგრადი-ვარაჟდინი | 3:0 |
| მარსონია-ზაგრები | 0:5 |
| პოდრავინა-შიბენიკი | 1:0 |
| სლავონია-ისტრა | 1:2 |
| ლუჩკო-პომორაცი | 4:1 |
| გორიცა-ინტერი | 0:0 პენ. 1:2 |
| სეგესტა-ზადარი | 0:2 |
| ჟელინა-ვინოგრადარი | 0:1 |
| ჰასკი-ზაგორა | 1:2 |

#### უნგრეთის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბიატორბადი-მოსონმადიარ. | 2:1 |
| ფელსოჟოლცა-სიგანდი | 1:1 პენ. 2:4 |
| გერესდლაკი-ბაიაი | 1:3 |
| ჰევიჟი-დუნაუივაროში | 1:7 |
| ნადიკოროში-ვარდა | 0:3 |
| ნირბატორი-ნირედიაზა | 0:2 |
| პილიში-კეჩემეჩე | 1:2 |
| სარჟენტმიკლოში-ჩაკვარი | 0:1 |
| ჟეკსარდი-ელორე | 1:0 |
| ტიჟაუივაროში-სეგედი | 0:1 დ.დ. |
| ვოიაჟი-ესმტკ | 2:3 |
| ჟალაჟენგროტი-დირმოტი | 0:2 |
| სოპრონი-პუშკაში | 2:2 დ.დ. 2:3 |

#### ბულგარეთი

| | |
|---|---|
| ბოტევი-ჩერნო მორე | 2:0 |
| ლოკომოტივი (ს)-ლუდოგორეცი | 1:2 |
| პირინი-ბეროე | 1:0 |
| ლევსკი-ნეფტოხიმიკი | 6:0 |
| ჩერნომორეცი-სლავია | 2:2 |

#### ლატვია

| | |
|---|---|
| იურმალა-ვენტსპილსი | 0:2 |
| მეტალურგსი-დაუგავა | 2:2 |

#### ლიტვა

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-ეკრანასი | 3:0 |

#### მოლდოვა

| | |
|---|---|
| დინამო-ოლიმპია | 2:1 |
| აკადემია-კოსტულენი | 0:2 |
| მილსამი-დაჩია | 1:4 |
| სპერანტა-შერიფი | 0:5 |

#### ბოსნია

| | |
|---|---|
| ჟვიეჟდა-მლადოსტი | 2:1 |
| რადნიკი-შიროკი ბრიეგი | 1:1 |
| რუდარი-ველეჟი | 2:1 |
| ტრავნიკი-ოლიმპიკი | 2:2 |
| ვიტეჟი-სელიკი | 1:1 |
| სარაევო-ბორაცი | 0:0 შეწყდა |
| ჟელეზნიჩარი-ლეოტარი | 4:1 |
| ჟრინსკი-სლავია | 2:0 |

#### მაკედონიის თასი

**1/8 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ბრეგალ.-ტურნოვო | 1:0 პენ. 3:0 (0:1) |
| დრიტა-სილექსი | 1:0 პენ. 8:7 (0:1) |
| მაკედონია-შკენდია | 0:2 (0:2) |
| მირავჩი-პელისტერი | 2:0 პენ. 2:3 (0:2) |
| ნაპრედოკი-რინია | 1:2 (3:0) |
| ნოვაჩი-რაბოტნიჩკი | 1:2 (0:4) |
| რენოვა-ტეტექსი | 2:2 პენ. 4:5 (2:2) |
| ვარდარი-მეტალურგი | 2:1 (0:1) |

#### ჩერნოგორია

| | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი-რუდარი | 0:1 |
| დეჩიჩი-მოგრენი | 1:1 |
| გრბალი-ზეტა | 2:0 |
| მორნარი-მლადოსტი | 4:2 |
| პეტროვაცი-სელიკი | 1:0 |
| სუტიესკა-ლოვჩენი | 0:0 |

#### რუმინეთის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| პანდური-ფარული | 4:0 |
| გლორია-ბოტოსანი | 0:2 დ.დ. |
| ბრაშოვი-კლუჟი | 3:1 |

#### სერბეთის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| პარტიზანი-მეტალაკი | 2:0 |
| ბორაცი-რადი | 2:1 |
| ტრშტენიკი-ნოვი პაზარი | 0:2 |
| რადნიჩკი-ბანატი | 1:0 |
| ტელეოპტიკი-სლობოდა | 0:3 |
| პროლეტერი-ცრვენა ზვეზდა | 0:3 |
| სლოგა-ვოივოდინა | 1:1 პენ. 1:3 |
| მლადოსტი-ოფკ | 0:0 პენ. 3:5 |
| ნაპრედაკი-იავორი | 2:1 |
| რაკოვიცა-იაგოდინა | 1:4 |
| სმედერევო-ჩუკარიჩკი | 0:1 |
| ბორჩა-იედინსტვო | 0:1 |
| ბეჟანია-რადნიჩნი (ნ) | 0:2 |
| რადნიჩკი (ს)-დონი შრემი | 1:0 |
| პარტიზანი (ბ-ბ)-სპარტაკი | 2:0 |

#### უკრაინის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| შახტარი (ს)-მირი | 3:1 |
| ჰირნიკი-დესნა | 1:2 დ.დ. |
| მიკოლაივი-ჟირკა | 2:1 დ.დ. |
| ზაკარპატია-არსენალი | 0:1 |
| ავანგარდი-ზორია | 3:1 დ.დ. |
| ენერგია-ჩერნომორეცი | 0:4 |
| ბუკოვინა-დნიპრო | 0:2 |
| სტალი-მეტალურგი (ზ) | 1:2 |
| სლავუტიჩი-ტავრია | 3:1 |
| ტერნოპოლი-პოლტავა | 3:3 დ. დ. 4:3 |
| ოლექსანდრ.-მეტალისტი | 1:1 დ.დ. 1:4 |
| ვორსკლა-ვოლინი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| დინამო (კ)-მეტალურგი (დ) | 3:2 |
| ოლიჩივეცი-შახტარი | 0:3 |
| კარპატი-სევასტოპოლი | 1:0 |

#### აზია

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| კაშივა-გუანგჯოუ | 1:4 |
| სეული-ესტეგლალი | 2:0 |

### ფრენბურთი

#### ევრ. ჩემპიონატი

**კაცები**

| | |
|---|---|
| ფინეთი-იტალია | 1:3 |
| საფრანგეთი-რუსეთი | 1:3 |
| ბელგია-სერბეთი | 1:3 |
| გერმანია-ბულგარეთი | 1:3 |

### ხელბურთი

#### ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| დინამო (მნ)-ვარდარი | 26:24 |
| დროტი-ფლენსბურგი | 27:37 |

### ჰოკეი

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ბლუზი-ილვესი | 0:1 |
| კერპეტი-პელიკანსი | 2:3 |

### ჩოგბურთი

#### ATP. ბანგკოკი

| | |
|---|---|
| ლუ-დონსკოი | 6:3, 6:2 |
| ჰაასე-სისლინგი | 7:6, 4:6, 6:7 |
| იეონგი-ისტომინი | 3:6, 0:6 |
| ფ. ლოპესი-სოედა | 7:6, 6:3 |
| იუნი-ლორენცი | 6:3, 6:2 |
| ბერდიხი-ბაუტისტა აგუტი | 6:3, 6:3 |

#### ATP. კუალა ლუმპური

| | |
|---|---|
| ჰარისონი-სოუზა | 3:6, 2:6 |
| ტურსუნოვი-რამი | 7:5, 6:0 |
| ბაღდატისი-ბერლოკი | 7:6, 6:3 |
| დელ ბონისი-პოსპიშილი | 7:6, 7:6 |
| მანარინო-ალმაგრო | 6:4, 6:3 |
| ბენეტო-პრსიეუნი | 7:6, 6:4 |
| ფერერი-ვიოლა | 6:2, 6:3 |

#### WTA. ტოკიო

| | |
|---|---|
| რიბარიკოვა-ვოზნიაცკი | 1:6, 1:6 |
| ბუშარი-იანკოვიჩი | 7:5, 6:2 |
| ვ. უილიამსი-ჰალეპი | 4:6, 7:5, 6:3 |
| საფაროვა-სტოსური | 6:4, 6:4 |
| ციბულკოვა-ა. რადვანსკა | 3:6, 4:6 |
| კერბერი-ივანოვიჩი | 6:4, 6:2 |

## სნუკერი



სტივენ ლი

# ლის 12 წელი აკმარეს

დასრულდა ბრიტანელი სნუკერისტის **სტივენ ლის** საქმე. შეგახსენებთ, რომ ეს მოთამაშე გასულ კვირას დამნაშავედ სცნეს ჩაწყობილი თამაშების ორგანიზებასა და მონაწილეობაში. და აი, გუშინ, დამოუკიდებელმა ტრიბუნალმა გამოიტანა ვერდიქტი, რომლის მიხედვითაც ლი 12 წლით არის დისკვალიფიცირებული.

სასჯელის ათვლა იწყება 2012 წლის 12 ოქტომბრიდან, რადგან სწორედ იმ მომენტიდან არის ლი ჩამოშორებული ტურნირებს, რომლებიც WPBSA-ის ეგიდით იმართება.

## ამბები

### ველოსპორტი

# ჰოლანდიური ოქროთი დაიწყო

იტალიის ქალაქ ფლორენციაში დაიწყო ველოსპორტში მსოფლიოს ჩემპიონატი. მედლების პირველი კომპლექტი გაითამაშეს ქალებმა დროზე განცალკევებით რბოლაში.

ამ სახეობაში მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა **იუდიტ არნდტმა** კარიერა დაასრულა, ამიტომაც, ფავორიტად მიიჩნეოდა ჰოლანდიელი **ელენ ვან დაიკი**, რომელმაც ამ სეზონში თითქმის ყველა რბოლა მოიგო. მას არც ამჯერად ჰყოლია კონკურენტი. ფინიშზე ვან დაიკმა უახლოეს კონკურენტს 24 წამი მოუგო, რაც 25-კილომეტრიან დისტანციაზე უდიდესი უპირატესობაა.

მეორე ადგილზე გავიდა ზელანდიელი ლინდა ვილუმსენი, რომლისთვისაც ეს არის მეხუთე პოდიუმი მსოფლიოს ჩემპიონატებზე, თუმცა გამარჯვება მას არასდროს ჰქონია. დიდი ბრძოლა გაიმართა ბრინჯაოსთვის. ორ ამერიკელს - **კარმენ სმოლსა** და **ეველინ სტივენსს** შორის სხვაობამ მხოლოდ ოთხი მეასედი წამი შეადგინა! მესამე ადგილი სმოლს ერგო.

**საბოლოო შედეგი**

1. **ელენ ვან დაიკი** (ჰოლ) - 27:48; 2. **ლინდა ვილუმსენი** (ზელ) - +0:24; 3. **კარმენ სმოლი** (აშშ) - +0:28; 4. **ეველინ სტივენსი** (აშშ) - +0:28; 5. **ტრიქსი ვორაკი** (გერ) - +0:31; 6. **ანიკა ლანგვადი** (დან) - +0:39...

# კონტადორმა 2014 დაგეგმა

თანამედროვე ველოსპორტის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, ესპანელმა **ალბერტო კონტადორმა** უკვე დაგეგმა საკუთარი კალენდარი 2014 წლის სეზონში.

ესპანური AS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ველოსაჯინიბო Saxo-Tinkoff-ის ლიდერმა განაცხადა, რომ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას ესპანურ ველომარათონ ვუელტაში, მანამდე კი მას დაგეგმილი აქვს ტურ დე ფრანსზე გამოსვლა.

"ახალ სეზონს წლევანდელზე გაცილებით გვიან დავიწყებ, - ამბობს კონტადორი. – მინდა რამდენიმე ადრეული გამარჯვება მოვიპოვო. ერთხელ უკვე ვთქვი, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ვუელტაზე აუცილებლად გამოვალ".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# დევიდ კულტჰარდი: ფეტელი და ალონსო სხვა განზომილებაა

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **დევიდ კულტჰარდმა** დაგმო იმ გულშემატკივრების საქციელი, რომლებმაც "რედ ბულის" პილოტს **სებასტიან ფეტელს** სინგაპურის გრანპრის პოდიუმზე უსტვინეს. ბრიტანელის სიტყვებით, ადამიანებმა უნდა აღიარონ, რომ ფეტელი უკვე მიიჩნევა ფორმულა 1-ის ერთ-ერთ უდიადეს მოთამაშედ.


დევიდ კულტჰარდი

*"ხალხს არ უნდა შურდეს ვინმეს წარმატების. ისინი აღფრთოვანებული უნდა იყვნენ ფეტელით. დიახ, სებასტიანი გამოდის "რედ ბულში" და ისე გამოვიდა, რომ მიხაელ შუმახერის მიერ მოგებული შვიდი ტიტულის შემდეგ, კიდევ ერთი დიადი გერმანელი პილოტი გამოჩნდა. თუმცა სხვა გუნდებმაც უნდა სცადონ იმის გაკეთება, რასაც "რედ ბული" დღეს გვიჩვენებს.*

*ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რას მიაღწია ფეტელმა. სებასტიანი უკვე შედის დიადთა რიცხვში, თუმცა ხალხს უჭირს ამის აღიარება. თუ ის დომინირებს ეტაპებზე იმის წყალობით, რომ ჰარმონიულად მუშაობს შესანიშნავ მანქანასთან, ამის გამო ჩვენ ის უნდა ვაკრიტიკოთ.*

*ის არის ადამიანი, რომელსაც მხარს უჭერს "რედ ბული". ეს გუნდი არც ისე კარგად ემშვიდობებოდა სხვა პილოტებს, რომლებიც არ აჩვენებდნენ სასურველ შედეგებს, სებასტიანმა კი გაამართლა. ყველა დიადი პილოტი იღებდა კარგ ან ცუდ გადაწყვეტილებას იმაზე, რომელ გუნდში გაეგრძელებინა გამოსვლა. და მრბოლელის თვისებების ნაწილად მიიჩნევა საჭირო დროს საჭირო ადგილას ყოფნა.*

*ალონსო, რომელმაც სინგაპურში კვლავ აჩვენა კარგი სამუშაო არც ისე სწრაფი ბოლიდით, რა თქმა უნდა, მოხარული არ იქნება ფეტელის კიდევ ერთი ჩემპიონობით. მაგრამ ფერნანდო ალონსო და სებასტიან ფეტელი დიად პილოტთა რიცხვში არიან. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი ტიტულია მათ ანგარიშზე. ისინი თანაბარნი არიან. რეალურად, ფეტელი და ალონსო თანამედროვე ფორმულა 1-ში ცალკე ლიგაში იმყოფებიან"*, - ამბობს კულტჰარდი BBC-თან კომენტარში.

# რედ ბულის საიდუმლო ამოხსნილია?

იტალიური გამოცემა La Stampa-ის ტექნიკურმა ექსპერტმა **პაულო ფილიზეტიმ** ანალიზი გაუკეთა სინგაპურის გრანპრიზე "რედ ბულის" ფანტასტიკურ გამოსვლას და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ავსტრიული საჯინიბოს კონსტრუქტორულმა ბიურომ **ედრიან ნიუის** ხელმძღვანელობით გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა კონკურენტებს. როგორც გახსოვთ, სინგაპურის გრანპრის დროს, სებასტიან ფეტელი წრეზე ორ წამს უგებდა მოწინააღმდეგეებს.

ფილიზეტის მიაჩნია, რომ ბოლო ტექნიკური განახლების წყალობით, "რედ ბულს" დიდი უპირატესობა ექნება იმ ტრასებზე, სადაც ბოლიდს მაქსიმალურად მაღალი მოჭიდების ძალა სჭირდება.

როგორც ირკვევა, "რედ ბულში" გადახედეს დიფუზორის კონსტრუქციას. ახლა, დიფუზორის გარე ფრთები გვერდზეა გადახრილი, რისი წყალობითაც იქმნება ე. წ. "ვენტურის ეფექტი". ასევე დიფუზორის ფრთები ორივე მხარეს გააფართოვეს. შედეგად, ნიუიმ შექმნა ერთგვარი ორმაგი დიფუზორის ეფექტი, რომელიც დამონტაჟებული იყო 2009 წელს "ბრაუნის" ბოლიდზე. სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული კონსტრუქცია ნაკლებად რთულია და ამასთან, ის სრულად პასუხობს ფორმულა 1-ის დღევანდელ ტექნიკურ რეგლამენტს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ნიკო ჰიულკენბერგი

# ნიკო ლოტუსს მიუახლოვდა

გერმანული გამოცემა "ბილდის" ინფორმაციით, წინ არაფერი უდგას "ლოტუსსა" და **ნიკო ჰიულკენბერგს** შორის კონტრაქტის გაფორმებას. გერმანელი ჟურნალისტების მონაცემებით, მალაიზიური საჯინიბოს ხელმძღვანელობა მოელაპარაკა არაბ ინვესტორებს, რამაც ბევრ საკითხს მოჰფინა ნათელი და შეამცირა **ფელიპე მასას** შანსები მოხვდეს "ლოტუსის" შემადგენლობაში. ახლა, ამ გუნდისთვის აღარ არის პრინციპული ის, რომ მასას გაფორმებას შეუძლია "ლოტუსს" 10 მილიონი ევრო მოუტანოს.

როგორც "ბილდი" ამტკიცებს, "ლოტუსსა" და ჰიულკენბერგს მხოლოდ რამდენიმე დეტალი აქვთ მოსაგვარებელი. გარდა ამისა, ნიკო აკვირდება სიტუაციას "მაკლარენში, სადაც არ არის დადასტურებული **სერხიო პერესთან** კონტრაქტი, მის მექსიკელ სპონსორებს კი ჯერ ფული არ ჩაუდიათ ბრიტანულ საჯინიბოში.

*"ჯერ არაფერი არ არის გაფორმებული, მაგრამ კარგ მდგომარეობაში ვიმყოფებით"*, - აღნიშნა ჰიულკენბერგის მენეჯერმა **ვერნერ ჰაინცმა**.







დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608